

# თეატრი უწოდებ და 5 2002 ცხოვლების





გავს მომიტფონსბადი - 75

# თეატრი და ცხოვრება

ჩერაქებონი  
გარამ აათია ვვიდი

საჩერაქებო კოლეგი

პოვი აღვესიძე,  
მოაზ გაგავეილი,  
ოდაზ გაგავაციძე,  
ვაცილ ქიანაძე,  
ზოაზო ცევავა,  
გიოგამ მამოზაციძე,  
ნათება აჩვაძე,  
თავაზ ჩხეიძე,  
თავაზ ჭილაძე.

პრეზიდენტის მოწევი  
ნინო შეკუთხისნი

1910-1926 „თეატრი და ცხოვრება“

1950-1990 „თეატრალური მოამზე“

5

2002

სეზონი  
ოქტომბერი

საქართველოს თეატრის მოღვაწეთა გამოქვება კავშირი

## შიდაარსე

გიგა ლორთქიფნიძე – 75	3
მეგობართა წრეში (შეხვედრა გ. ლორთქიფნიძესთან დ. ჯანელიძის სახ. თეატრისა და კინოს ისტორიისა და თეორიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში) – 25	

### პოზიცია

კოტე მახარაძე – რუსეთის პრეზიდენტს ქართველი „სკომირობისაგან“ – – – – 34	
---	--

### სპეციალური

ხათუნა ნულაძე – მოლოდინიდან მოლოდინამდე – – – – 46	
ზაზა სოფრომაძე – „ეს თავისუფალი პეტლები“ – – – – 50	

### ზასტივალი

ზაზა სოფრომაძე – „საჩუქარი“ მწირი პროგრამით – – – – 53	
საერთაშორისო ფესტივალზე – – – – 57	
განანა პაიჭაძე – „შემოდგომის თბილისი“ ათი წლისაა – – – – 58	

საქართველოს პრეზიდენტის მილოცვა მედეა ჩახავას საიუბილეო საღამოს გამო – – – – 62	
--	--

### თეორია

მერაბ კიკნაძე – თამაში, როგორც უმაღლესი რეალობა, იღუზია თუ მედიტაცია – – – – 63	
--	--

### პოლიტიკი

ნოდარ გურაბანიძე – დიდი მსახიობის დიდი ბერეფისი ლესტიცირში – – – – 69	
ირენა გორდაძე – დარეჯან ჭამაური – – – – 77	
თეატრისათვის არასოდეს მიღალატია! (დავით პაპუაშვილი) – – – – 82	

### გეგეარები

ვახილ კიკნაძე – გამოთხვება მოგონებებთან (გაგრძელება) – – – – 85	
---	--

### გამოსხივება

ლეილ კაპანაძე – – – – 103	
---------------------------	--

# საქართველოს პრეზიდენტის განცარგულება

2002 წლის 13 ოქტომბერი

ქ. თბილისი

## გრიგოლ (გიგა) ლორთქიფანიძის

### ღისების ორდენით დაჯილდოვადის უსახება

საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობაში. ქართული თე-  
ატრალური და კინოხელოვნების განვითარებაში, მის პოპულარიზაციასა და ახა-  
ლგამიშრო შემოქმედია აღნიშვნაში შეტანილი განსაკუთრებული წელილისათვის, მა-  
ლალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი, პედაგოგიური და სა-  
ზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის  
თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორი, თბილისის ვასო აბაში-  
ძის სახელობის სახელმწიფო მუსიკალური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი.  
საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე, შოთა რუსთაველის  
სახელობის ეროვნული და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, სა-  
ქართველოს სახალხო არტისტი, კინორეჟისორი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე,  
პროფესიონალი გრიგოლ (გიგა) ლორთქიფანიძე დაჯილდოვდეს ღისების ორდენით.

**ეღუარდ შევარდნავა**

## ბატონ გიგა ლორთქიფანიძის დაბადების დღესთან დაკავშირებით

ჩემო გიგა,

მოსალოცი ბარათის ჟანრის მიხედვით, ეს ტექსტი დიდი არ უნდა იყოს, მაგრამ  
როგორ ჩავტიო ამ პატარა ბარათში ისე ჩვენი ურთიერთობა, რომელიც რამდენიმე  
ათეულ წელს ითვლის და ერთმანეთის სიყვარულითა და ერთმანეთის თანადგომით  
არის გამორჩეული, როგორ ჩავატიო აქ ის მაღლიერება, რაც შენი მხარდაჭერის  
გამო ყოველთვის მაქსი, ის აღტაცება, რომელიც ყოველთვის მეუფლება შენი და-  
დგმებისა და ფილმების ნახვის დროს, ის სიყვარული, რა სიყვარულითაც მიყვა-  
რხარ, როგორც დიდად ნიჭიერი, არაორინალური პიროვნება და კაცი, რომელიც  
მუდაც ხმალამოღებული იბრძვის საქართველოსათვის.

გიგა, სადაც მიხედვი, თეატრსა თუ პარლამენტში, თეატრალურ ინსტიტუტა  
თუ თეატრის მოღვაწეთა კავშირში, ყველგან დაანიში შენი სასიცეოო კვალი, ლო-  
რთქიფანიძეთა შესანიშნავი გვარის კვალი.

ვიცი, რომ ახლა ძალიან გიჭირს, შენს ინსტიტუტსაც უჭირს და შენს მსახი-  
ობებსაც, უჭირანეს და უნიჭიერეს ხალხს. მაღლობა მინდა გითხრათ ყველას ამ  
გაჭირებათა გაღატანისათვის და როგორც საშუალება ექნება ქვეყანას – დაგეხმა-  
რებით.

დანარჩენი, რაც მინდა გითხრა, იმ ჩვენი შეხვედრების დროს ითქმება, რომე-  
ლსაც დანატრებულები ვართ და რომლისთვისაც დრო არც ერთს არ გვყოფნის.

ვულოცავ შენს დას მარჯვს, ასეთი ძმის დობას.  
ვულოცავ შენს მეუღლეს, ქალბატონ ქეთევანს, შენს შეიღებსა და შეიღიმვი-  
ლებს, შენს დიდ საქალეოს – გაგიფრთხილდნენ ქვეყნის სასიცეოო, მოგეფერონ  
და შენით იამაყონ.

**პატივისცემითა და სიყვარულით  
ეღუარდ შევარდნავა**

# გიგა ლორთქიფანიძე 75 წლისაა?!!



ამას კაცი ვერ დაიჯერებს... მისი სახე, ხასიათი, გამომეტყველება, მღვარე, აბობოქერებულ, დაუდეგარ ზღვის ტალღასავით დაუოებელი ჭაბუკური ენერგიით სავსეა. მრავალმხრივი ნიჭით დაღდასმული, გრინობიერებით სავსე შემოქმედი, მოღვაწე, მასში საოცრად შერწყმულია ვაჟა-ცური უტეხი პირდაპირობა, ბალდური გულჩვილობა, საოცარ სითბოსა და სინაზესთან, კაცომლევარეობასთან, გასაჭირში ჩატარდნილის მიმართ გამოწენილი გულმხურვალე თანადგომასთან, ამიტომაც შეუძლებელია მისი არშეფარება, მისით არგაოცება და არაღიროვნება.

ჩემთვის ის არა მხოლოდ ერთ „ემბაზში“ მონათლული კოლეგა და თანამოაზრეა, გიგა ჩემთვის ძმის სადარი არსებაა, უსაყვარლესი, რომლისთვის ჟოველივე ძვირფასს შევთხოვ მამაზეციერს, შევთხოვ სულის ამოფშვინვაძლე.

ლილი იოსალიანი

## გამონ გიგა ლორთქიფანიძეს

მე თქვენ ყოველთვის ბატონ გიგას გეძახდით და ეს საესებით ბუნებრივი იყო, მაგრამ ახლა თითქოს დაგეწიეთ ან იქნებ თქვენ დამიცადეთ, ასე მგრინია, თანატოლები ვართ. მიუხედავად ამისა, რა თქმა უნდა, მაინც ასე მოგმართავთ: ძვირფასო ბატონი გიგა, მუდამ ახალგზარდა იყავით და დარწმუნებული ვარ, სულ ასეთი უბრიებელი, მჩქეფარე ბუნებისა იქნებით. მჯერა, თქვენ კიდევ დადგამთ სპექტაკლებს, რომლებიც ქართული თეატრის ისტორიაში ჩაიწერება. დღეგრძელობას გისურვებთ!

თქვენი რობიანი

ბატონმა გიგამ უკვე იმდენი და ისეთი სპექტაკლი თუ ფილმი განახორციელა, მის რეჟისორას შეეფასება აღარ სჭირდება. შეფასება დრომ და საზოგადოებამ მოახდინა უკვე. მის ნამუშევარს, რეჟისორულ მანერას რომ ყოველთვის ყველასაგან გამოარჩევ ნიშნავს, რომ მან თავისი მტკიცე ადგილი და იმგვიდრა ქართულ რეჟისურაში. მის მიერ განხორციელებულთაგან არის ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც ქართული თეატრისა და კინოს ოქროს ფონდში შევიდა. ესეც არ ხდება ყოველი ფეხის ნაბიჯზე. აღბათ, არ ვიქნები ორივინალური, მაგრამ მაინც უნდა ავღნიშნო, რომ ბატონი გიგას დასახურებაა ნოდარ დუმბაძის ლიტერატურული სამყაროს თეატრში მოტანა. ფაქტია, მას მოუვიდა აზრად პირებელად, რომ აქ აქტიური დრამატურგია დევს. ასე გაჩნდა დუმბაძის თეატრის ფენომენი.

ჩემს მეხსიერებას მტკიცედ შემორჩინა და ბოლომდე გაჰყვება „სირანო დე

ბერეულიავი“, „მე, ბებია, იღიო და იღარიონი“, „ფიროსმანი“ – ეს შესანიშის მარტინი შენავი სკექტაკლი. „დათა თუთაშხია“ ეს პირდაპირ საოცრებაა ბრწყინვალე გალერეით, ამდენი ერთად თავმოყრილი კარგი არტისტითა და კარგად განსახიერებული პერსონაჟით. აღარაფერს ვამბობ მეღვინეთუხუცესსა, არჩვაძესა და იარვეტზე. ფილმი ამ ძლიერ სამცუთხედს ეკრანისა, მაგრამ სხვების ნამუშევარი, ორსიტყვანი ეპიზოდებით დაწყებული, მსახიობის ოსტატობის უმაღლეს დონეზე შესრულებული.

ჩემი აზრით, ცალკე მცნებაა გიგა ლორთქიფანიძე, როგორც თეატრის ორგანიზატორი. იმ წლებში ახალი თეატრის გახსნა (რუსთავის თეატრის ვეულისხმობ) და იქ ძლიერი გუნდის წაყვანა დიდი და როგორი საქმე იყო. გარდა ამისა, რომელ თეატრსაც ხელმძღვანელობდა, ყველას კვალი დააჩნია. მისი ხელმძღვანელობით არ მიმუშავია, მაგრამ ყოველთვის საგრძნობია ამ ადამიანის მაღალი ორგანიზატორული ნიჭი.

ფაქტია, რომ ბატონ გიგას საიდანდაც ამოუწურავი ენერგია აქვს. მშვიდად, ინდიურენტულად მას არაურის კეთება არ შეუძლია. მოლად ახალგაზრდა არ არის და გასაოცარია, რომ მუდამ აქტიურია, მოვლენების ცენტრში დგას, ყოველთვის მნიშვნელოვანია მისი აზრი. მას ყოველთვის გამოკვეთილი აქვს პოზიცია, ძირითადი აზრი, სათქმელი. იგი ხომ შესანიშნავი ორატორია. რაც უნდა არაპოპულარულ რაიმეს ამბობდეს, ყოველთვის მტკიცედ სჯერა საკუთარი მრწამსისა და ხმირად ბევრი ადამიანი საკუთარ პოზიციაზე გადაუყავნია. ერთი სიტყვით, ასე შეიძლება მისი ფენომენის დახასიათება – თავისი ბუნებით იყო მებრძოლია.

ცალკე პუნქტად შეიძლება გამოიყოს, როგორი საინტერესო მოხრობელია. ერთად რომ მოეცვდებით, არ ვასენებ, შევახსენებ ხოლმე, ახლა ეს გვიამბეტ-ტქო, იმდენად მომხიბლავი თხრობა აქვს.

ერთი ძალიან კარგი თვისებაც ახასიათებს ბატონ გიგას. რაც არ უნდა სხვაგვარად ფიქრობდეს, სხვისი ნამუშევარი აეტორისავე ხედვის კუთხიდან, იმისსავე პოზიციიდან შეუძლია დაინახოს, გაანალიზოს და შეაფასოს.

მინდა ვუსურეო, ასეთივე შემართული იყოს დიდხანს.

## თეატრ ჩემი

გიგა ლორთქიფანიძე პოპოვისა და ქნებელის მოწაფეა. თბილისში ჩამოვიდა თუ არა, პირველივე დღიდან თეატრალურ ინსტიტუტში და მარჯანიშვილის თეატრში დიდი წარმატებით იწყებს მუშაობას. ინსტიტუტში აკაკი დვალიშვილთან ერთად ოსტროვსის „შემოსავლიან ადგილს“ დაგმს. თეატრში ვერიყო ანჯაფარიძესთან ერთად ქმნის ბრწყინვალე საექტაკლს „სასტუმროს დაისახლისს“, ამას მოპყვა „დაბრუნება“ სერგო ზაქარიაძისა და მარინე თბილელის დიდებული დუეტით.

სულ რამდენიმე წელიწადში თეატრის ხელმძღვანელი ხდება.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქართულ თეატრში მის მიერ ნოდარ დუმბაძის მოყვანა. ეს მისი დამსახურებაა. რაც შექება „მე, ბებია, ილიკო და ილარიონს“, რა თქმა უნდა, მათი თანამშრომლობის გვირგვინია, ხოლო სესილია თაყაიძეილი ამ სპექტაკლში აბსოლუტურად გენიალური გახლდათ.

მისი თაოსნობით შეექმნა ქ. რუსთავის თეატრი. ვფიქრობ,

იმ წლებში ჩვენი თეატრი საუკეთესო იყო. „სირანო და ბერუერაკი“, „ასი წლის შეძლებ“, „ოსკერზე“, „საბრალდებო დასკვნა“, „ფიროსმანი“. ცალკე უნდა აღინიშნოს „კახაბერის ხმალი“, როგორც ერთხელ თვით გიგა ლორთქიფანიძემ ბრძანა, მისი რეჟისურის საუკეთესო ნიმუში.

კინოში „დათა თუთაშხია“... ამ ფილმშე ჭაბუა ამირეჯიბმა თქვა, ამ სურათის მთავარი ღირსება ისაა, რომ დაახლოებით 100 ერთმანეთზე უკეთესი მსახიობი გამოჩნდათ. მსახიობის შერჩევა როლისთვის გიგა ლორთქიფანიძის განსაკუთრებული თვისებაა. ამ მხრივ ვერავის შევადარებ. ასევე ზუსტად იცის ღროის შესაუერისი ნაწარმოების პოვნა. უაღრესად მუსიკალურია, ემოციური, რიტმის განსაკუთრებული გრძნობა აქვს. თვალი აქვს უნაკლო: არაური გამოეპარება, მთავარი ხაზი არასოდეს ერთდილება, ავტორის ერთგულია, უყვარს და ენდობა არტისტს, მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მხატვართან, კომპოზიტორთან მუშაობას.

ბევრი კარგი მოწაფე გაზარდა როგორც რეჟისურაში, ასევე მსახიობებშიც. თეატრალურ სახოგადოებას დიდი ხანია ხელმძღვანელობს.

თავის ღრისებ თეატრიდან პენსიაზე გასულ მუშაკს სახოგადოების სახსრებიდან პენსიაზე იმდენს უმატებდა, რომ მუშაობის ბოლო წლის ხელფასს უტოლდებოდა. თეატრალურ ინსტიტუტში სტუდენტებისათვის უფასო კვება დააწესა.

მერე მისი აქტიური მოღვაწეობა პარლამენტში. წარმოუდგენელი ენერგია აქვს. ბრწყინვალე ორატორია, მრავალმხრივ განათლებული, მებრძოლი, პატრიოტი. ბედის მადლიერი ვარ, წლების განმავლობაში მასთან რომ მომიხდა მუშაობა.

ვულოცავ საიუბილეო თარიღს და ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს. კიდევ ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია.



გიგა ლორთქიფანიძე ჩვენი თანამედროვე ხელოუნების ერთ-ერთი უთაჭრებულსაჩინოები წარმომადგენელია. მან დიდი ღვაწლი დასდო ქართულ კულტურას არა მარტო როგორც თეატრისა და კინოს რეჟისორმა, არამედ როგორც სახოგადო მოღვაწემ და პედაგოგმა. იგი ყოველდღიურ ცხოვრებაშიც გამოიჩინა სხვებისაგან მკეთრი ინდივიდუალობით, შეუპოვრობით, უკომინობისობით და პიროვნული სიძლიერით.

ბატონ გიგას აქეს იუმორის არაჩეულებრივი გრძნობა, რაც ნიჭიერი ადამიანის დამასასიათებელი ნიშან-თვეებაა. არაერთხელ, ურთულეს ვითარებაში, როდესაც ქართული კულტურის პრობლემების გადაჭრისას დილექტის წინაშე ვძმდგარუარ, სწორედ გიგა ლორთქიფანიძე ამომდგომია მხარში და საკითხის დადგებითად გადაწყვეტაშიც ლომის წილი შეუტანა.

## სასილი გოგიგერიძე

გიგა ლორთქიფანიძე უაღრესად მაღალი დონის პროფესიონალი რეჟისორი და ამავე დროს, უკეთილშობილების პიროვნებაა. მის თავზე ერთი წისქვილის ქვა არ დატრიალებულა, თორემ დაწყებული მშობლების უბედურებიდან, პიროვნებად ჩამოყალიბების ურთულეს გზაზე არა ერთი ბრძოლა გადახდენია. ჩემს თავს უფლებას არ მივცემ შევაფასო ის, როგორც ხელოვანი, მაგრამ ერთი მაინც უნდა ვთქვა, რომ ის ჰქონდარითად ქართული სულის მქონე შემოქმედია. ქართული ხასიათის უბადლო გამომხატველი, რის მაგალითად თუნდაც „დათა თუთაშხა“ გამოდგებოდა. გიგა ლორთქიფანიძე ცოდნისა და განათლების საჭურჭლეა.

უბრწყინვალები და პყავს, მარიამი – შესანიშნავი მეცნიერი, ეტყობა დაქმას სისხლში აქვთ გამჯდარი ქართული პრობლემებისადმი განსაკუთრებული, ყურადღებიანი დამყიდვებულება. დიდი ხნის განმავლობაში გიგა ლორთქიფანიძესთან ერთად ვმოღვაწეობდი პარლამენტში და ვთვლი, რომ დიდი სამსახური გაუწია საქართველოს კულტურასა და კონკრეტულად, ქართულ თეატრს; კულტურული მემკვიდრეობისა თუ თეატრის შესახებ კანონები ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს.

მისი ყოველი მონათხოვი თეატრალურ სანახაობას წარმოადგენს – ისე ნიჭიერად და სახიერად ყვება რაიმე ამბავს, რომ გავიწყდება, უბრალო მოკვდავს უსმენ თუ ზეციურ არსებას, რომელიც პიპოზს გიყეთებს და ყოველდღიურ ჭირ-ერამს უცბად გავიწყებს. ეს კი დიდი რამაა ჩვენი ყოველდღიური სიძნელეებით აღსავსე ცხოვრებაში. იმდენად სასიამოვნო პიროვნებაა, რომ მასთან ყოველი შეხევდრა ჩემთვის ნამდვილი დღესასწაულია.

## ცოდარ ამაღლობელი



დე ბერეურაკი"-ის რეპეტიციებს ვესტრებოდი. მსახიობების ასეთი ერთსულოვნება არსად და არასდროს არ მინახავს. თუ სცენაზე იყო ოთარი, ან რეზო, ან ქეთინო, ან ლეიილა... ფეხლა თავისუფალი მსახიობი კულისებიდან უფრობდა და ქომაგობდა. მათი სახე არ დამავიწყდება, ანთებული თვალებით, როგორც ფეხბურთშე, ერთი აკლდათ რომ დაეხახათ „მიდი, მიდი, დაგლიჯე“.

რა თქმა უნდა, ეს ბატონი გიგასაგან მოდიოდა. მერე ბედმა გამიღიმა და უკვე ნათამაშებ რო სპექტაკლში დუბლიორად მეც დავინიშნე. „სირანში“ – როქსანაზე. და ..ას წელში“ ელის ჩერემისოვაზე. მადლიერი ვარ თქვენი, ბატონი გიგა, ამ არაჩეულებრივი როლებისათვის. მადლიერი ვარ მარგარიტასთვის „ფიროსმანში“. ჩვენ ოჯახებით ვმეგობრობდით და ოთარი და ბატონი გიგა ზოგჯერ გაიბუტებოდნენ და არ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. უნდა გენახათ ბატონი გიგას დედა, საოცარი ქალბატონი ნინო. იყონებდა რაღაცებს, მირეკავდა და მეუბნებოდა, „ბოშო, თქვენ აქ მოდით და გიგა რომ მოვა, მე ვეტყვი რომ არ ვიყავი კარგად და მე დაგიძახეთ“. არაჩეულებრივი ქალბატონი იყო. ვერ იტანდა მათ ჩხუბს. უნდოდა, სულ კარგად ყოფილებენ. არ დამავიწყდება ბატონ გიგასთან სახლში საოცარი საღამოები, კულა თეატრი, რომელიც კი მოსკოვიდან ჩამოდიოდა, მასთან სტუმრობდა. არაჩეულებრივად იოლია მასთან მუშაობა, არ გაღინიანებს, პირიქით, გეხმარება. მისი „დათა თუთაშია“ საუკუნეებს დარჩა. მე ასეთი სრულყოფილი ფილმი მსახიობებით, მუსიკით, მხატვრობით და რეჟისურით, ცოტა მინახავს.

ბატონი გიგა, ძვირფასო, იცოცხლეთ დიდხანს და მადლობელი ვარ, რომ თქვენ არსებობთ.

თბილისში გადასჭირდება  
მენივი“ რომ ჩამოვიდა, მე კარგი შურით მშერდა; მათ ასეთი საოცარი თეატრი პეტრი პეტრი პეტრი არავის არ პეტრი და. მე ბავშვს ველოდებოდი და „სირანო

**გურალე გაგუნია**

# ქართული თეატრის პატრონი და შირისეფალი



გიგა ლორთქიფანიძე უპირველესად თეატრის რეჟისორია, თუმცა საკამად ნაყოფიერად იმუშავა კინოშიც. მას აქვთ უტფუარი ალბო, ზესტად შეარჩიოს ლიტერატურული თუ დრამატული ნაწარმოები და თითქმის ათიანში მოარტყას შესახიობების განაწილებისას. ეს არის მისი, როგორც რეჟისორის, ძირითადი იარაღი.

ეს თვისებები სრულყოფილად გამოვლინდა „დათა თუთაშხიას“ შექმნისას. ეს ნაწარმოები იმდენად მიიღო და შეითვისა მეითხველმა, რომ ყველას ჩამოუყალიბდა აზრი ამა თუ იმ პერსონაჟის შესახებ. გიგა ლორთქიფანიძემ შეძლო არ დაერღვია ეს წარმოსახვა არც მეითხველისა და არც მაყურებლისათვის, რაც ძალიან მნელია. გიგა ლორთქიფანიძის შემოქმედებითი ცხოვრუბის შენინულებები რეჟისორამ მრავალი ეტაპი და მიმდინარეობა განვლო. რეჟისორები ცდილობდნენ ხარჯი გაეღოთ ყველა „იზმისათვის“ და მათ შორის თავისი მხატვრული პრინციპებით გიგა ლორთქიფანიძე აღმოჩნდა ყველაზე სტაბილური, რადგანაც მას არასდროს უღალატია თავისი შემოქმედებითი გეზისათვის – ეს იყო და არის სიმართლე, რეალიზმი ამ სიტყვის მაღალმხატვრული გავებით, უბრალოება, აზრის ტევადობა და იუმორი. ამ მხრივ, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსაი ის სკექტაკლები, რომლებიც ნოდარ დუბაძის შემოქმედების საფუძველზე შეიქმნა. აღსანიშნავია, რომ ბ-ნმა გიგამ პირველმა განახორციელა ამ მწერლის ბრწყინვალე ლიტერატურული ნიმუშები თეატრში, ვეგეტობ, გიგა ლორთქიფანიძის შემოქმედება ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე შესწავლილი და ზემო ხესნებული მისი შემოქმედებითი თავისებურებები და პრინციპები სათანადო ანალიზს მოითხოვს.

რაც შეეხება გიგა ლორთქიფანიძეს, როგორც პიროვნებასა და სახოგადო მოღვაწეს, თამამად მინდა განვაცხადო: ბ-ნი გიგა არის ქართული თეატრის პატრონი და მისი ჭირისუფალი. ეს გამოვლინდა მისი თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარეობისა და თეატრისა და კინოს სახელმწიფო ოსტრიტუტის რექტორობის პერიოდში. სიტყვა „პატრონში“ მე ვგულისხმობ არა დაპატრონებას, არამედ მოვლასა და ზრუნვას საზოგადოებისა და დაწესებულებების, რომლებსაც ის ლიდერობს.

და მე მიმართ, რომ ყველა ამ თვისებით შემცირდი არის მხოლოდ გიგა ლორთქიფანიძე. არა მგონა, არსებობდეს ადამიანი, რომელიც იცნობდეს მას და არ უყვარდეს. ესეც მისი, როგორც გამორჩეული პიროვნების, განსაკუთრებული თვისებაა. ყოველივე ეს მაძლევს საფუძველს დავასკვნა, რომ გიგა ლორთქიფანიძე დიდი ავტორიტეტის მქონე საზოგადო მოღვაწე, სიცოცხლით სავსე, ენერგიული პიროვნებაა, რომელსაც წლები ვერასოდეს დაპერებს.

გოგი ქავთარაძე



ძეირფასო ბატონო გიგა!

ჩემი ეს მცირე მოსალმება, რაც არავის შეუკვეთია, ისევე მოულოდნელად დაგადგებათ თავს, როგორი მოულოდნელობითაც დაგადგათ ის 75-ე წლისთვის, რომელიც, თქვენ თვითონ რომ არ გაგემზილათ, ვერავინ მიხვდებოდა!

მაგრამ ჩვენ, თქვენი ნიჭის თაყვანისძლებელი, სხვა - უფრო მნიშვნელოვან რამებს ვართ მიხვდებოდნი!

მაგალითად იმას, რომ თქვენ დიდი შემოქმედი ხართ!

მაგალითად იმას, რომ თქვენ მეტისძეტად სჭირდებით ჩვენს ქვეყანას!

და, იმასაც, უერთგულეს დამცველად რომ ევლინებით ყველა დროის ქართულ კულტურას!..

სხვებს რომ თავი დავანებოთ, მე პირადად, იმის მიუხედავად, ცოტა გვიან რომ გაგიცანით, მაინც ბევრი რამ ვიცი თქვენზე!

მაგალითად, ვიცი ის, რომ მეგობრისთვის თავდადებული მეგობარი ხართ!

მაგალითად, ვიცი ის, რომ მტრისთვის თავგადაკლული მტრი ხართ!

ისიც ვიცი, თუ რა მშვენივრად შეგიძლიათ გაუძღვეთ ქართულ სუფრას, რა დიდებულად ხმარობთ ხელჯობს - თუკი ვინმე ან ამ სუფრას, ან ლირებას შეგიგინებს!

ხოლო სიმღერა, თქვენ რომ იცით, ისეთი უნდა!

გუშინაც გნახეთ, შეძლევომის ყვავილებით - სიმღერ-სიმღერით - დიდებასთან რომ მიგქონდათ!..

არ გაგივირდეთ, ბატონო გიგა და, რაც თქვენ არ იცით, - მე ისიც ვიცი! თუ გნებავთ, ჩამოვითვლით! -

თქვენ არ იცით დალატი - ათასში ერთხელ, ცოლს რომ უდალატებ, ის არ ითვლება!

თქვენ არ იცით შური - სხვას ისეთი არაფერი აქვს, თქვენი შესაშურებელი რომ იყოს და, იმიტომ!

და, რაც მთავარია, თქვენ არ იცით ფულის სიყვარული, რადგან ის თქვენ მოჭარბებულად, არასოდეს გქინიათ, მისი შეყვარება რომ მოგესწროთ!

დვინო და ქეიფი კი გიგართ და, ღმერთმა შეგარგოთ!

ამ საქმეში კი, თქვენი არ იყოს, - „მეც ასეთი ვარ და ვერავისთვის გამიმხელია!..“

სხვათა შორის, ღვინოშე, არც ახლახანს დამოწმებული სტრიქონის ავტორი, გალაკტიონი. ამბობდა უარს.

და, საერთოდაც, ამ თემამ რომ არ გამიტაცოს, ბატონო გიგა, თქვენი ცხოვრების ამ მნიშვნელოვან თარიღსაც უნდა დავუბრუნდე!

მოკლედ ვიწყვი:

გაყეთებული საქმეების მიხედვით, ეს ასაყი ახლა თქვენ რომ ხართ, - ცოტაა!

ხოლო იმასთან შედარებით, როგორც გარებნულად გამოიყურებით, - ბერი!

ისე კი, რომელი ვარსკვლავთმრიცხველი მე ვარ, წლები რომ გითვალოდნენ უბრალოდ ვატყვი, რასაც შეტს იცოცხლებო, თქვენთვისაც კარგია და ჩვენთვისაც, კიდევ უკეთესი კი – ჩვენი ქვეყნისთვის იქნება!

ახლა, რა თქმა უნდა, თქვენი ცხოვრების შემოდგომაა და, ის ყვავილები, თქვენს შემოქმედებაში რომ არიან გაბნეული, აუცილებლად დიდებასთან უნდა მიიტანოთ!

მე, ერთ კაცს, ეს მჯერა!

ვისაც არა, – შევეცდები დავაჯერო!..

უდრმესი პატივისცემით,

## თამაზ ჟივჭივაპა

ჩემო გიგა!

ყოველი შეხვედრა შენთან და შენს ხელოვნებასთან იმდენად სავსეა ნიჭიერებით, იუმრით, ვნებით (შენ ხომ ვნების გარეშე არაუერს აკეთებ), რომ მე პირადად სიცოცხლეს მიხანგრძლივებს და, ჯანდაბას, ეგოიზმად ჩათვალე – მინდა, რომ შენი არსებობით დიდხანს გვიხანგრძლივებდე სიცოცხლეს.

1959 წლის შემოდგომაა. მე და ოთარ აბესაძე დავამთავრეთ ჩვენი პირველი ფილმი, რომელიც დაიკარგილის მოთხოვის მიხედვით გადავიღეთ. ამ ფილმით ჩვენ დიპლომიც უნდა დაგვეცვა. კინოსტუდიის ქართველი მუკრული იყო განცხადება, რომ ფილმის განხილვა ხვალ შედგებოდა.

ჩვენი ფილმის დირექტორმა გვერდზე გამიყენა და ჩურჩულით მითხრა, რომ ხვალ, განხილვისას მე და ოთარს დამარხვას გვიპირებენ. ზუსტად ასე თქვა – დამარხვას გიპირებენ და მომავალში ფილმის გადაღებას ვეღარ მოეწრებოთ.

შევწეხდი, ვეღარ მოვისვენე, ამ დროს, ბუნებრივია, ახლობელს გინდა გაუშიარო წუხილი. წავედი ელდარ შენგელაიასთან, ვხედავ სუფრას უსხედან ელდარი, თამაზ მელიავა, ნოდარ ლემბაძე და გიგა ლორთქიფანიძე. ერთი ბოთლი კონიაკი უდგათ, მაგრამ ისეთი ჟრიამულია, დიდი წვეულება გეგონებათ. წარმოიდგინეთ, ეს ოთხი ნიჭითა და იუმრით სავსე კაცი რა ცეცხლს დაანთებდა. მარტო მე ვიჯერი ყურჩამოწოდილი. ბოლოს და ბოლოს თამაზმა მითხრა, – რა დაგმართა, მერაბულკა, თქვი რამე, ან იმღერე, ან გაიცინე მაიც. თამაზმა მერაბულკა შემარქვა, რადგან კინოინსტიტუტში ასაკით ყველაზე უმცროსი და ალბათ, მიამიტი ქართველი მე ვიყავი.

ვუთხარი რაშიც იყო საქმე.

– ვინ? – იყითხა თამაზმა. – ვინ თხრის სამარეს? კაკო ძიძიგურის (კინოსტუდიის დირექტორი) და დათვირ ჩხიფვიშვილის (ცეკას კულტურის განყოფილების გამგე) ხელში ლაფათვა არ მინახავს, ყანწი მინახავს.

არ ვიცი იმ ღამეს მათ რა მოიმოქმედეს, ვის ელაპარაკენ ან მოიმოქმედეს.



დეს კი რამე, მაგრამ მეორე დღეს არავის დაუსამარებივართ. განხილული ჩვეულებრივი კეთილგანწყობით მიმდინარეობდა. დამწეული რეესისორებს სულ თავზე გვისევს ხელი და როდესაც გაირკვა, რომ არავითარი საფრთხე არ გვემუქრებოდა და მიწაში არავინ არ გვდებს, მაშინ დაიწყო, რაც დაიწყო. დაიწყო პროფესიული საუბარი და ჩვენივე მეობრები მოგვაწვნენ, მაგრამ რას მოგვაწვნენ! თამაშმა, ნოდარმა და გიგამ ცეცხლი დაანთეს, მე და ოთარი თავს ვიცავდით, რაც შეგვემლო. მახსოვეს, მე ჩემი მასწავლებლის მიერ ნასწავლ ერთ ტერმინს ვიმეორებდი - „ტემპო-რიტმი“ და ვასაბუთებდა, რომ ფილმი არ შეიძლება სხვა „ტემპო-რიტმში“ იყოს გადაღებული. ამ ტემპო-რიტმა, როგორც ჩანს, გიგა გააღიზიანა, მან თავისი ჯოხი აღმართა და იატაკს დაპკრა:

- არ ვიცი მე ეს შენი ტემპო-რიტმი, მერაბულება, მაგრამ ვიცი, რომ დავით კლდიაშვილი არ შეიძლება იყოს მოსაწყენი!

იმის შემდეგ მე-ცეცხლივით მეშინია მოსაწყენი ხელოვნების და, როდესაც ფილმს ვიღებ, თვალწინ მიღას ჯოხმოლერებული გიგა ლორთქიფანიძე რომელიც მეუბნება:

- მერაბულება, ხელოვნება არ შეიძლება იყოს მოსაწყენი!

## გვრჩება კოკოჩაშვილი

მეოცე საუკუნის ქართული კულტურა მდიდარია ხელოვანი ადამიანებით. ნიჭიერება არასოდეს მოჰკლებია ქართულ თეატრს, მაგრამ საბჭოთა სისტემაში, როცა პარტიამ და მთავრობამ ხელში აიღო სადაც, სისტემის დონეზე აიყვანა ხალხზე ზრუნვის იდეოლოგია. კველაფერი მას უნდა ეკეთებინა, კველაფრის ხელმძღვანელი და წარმმართველი იგი უნდა ყოფილიყო. ასეთ პოლიტიკურ და სოციალურ პირობებში უაღრესად ძნელი იყო სახოგადოებაში ლიდერის მდგომარეობის მოპოვება და სახოგადო მოღვაწის ფუნქციის შესრულება. თითქოს დაიკარგა ან უფრო სწორად დანინდა თეატრის მე-19 საუკუნის ტრადიცია, როცა მწერლები და მსახიობები ამავდროულად სახოგადო მოღვაწეებიც იყვნენ, ბევრი საქმის გაკეთება უხდებოდათ ერთდროულად.

მეოცე საუკუნის ბოლოს და ოცდამეტთე საუკუნის დასაწყისისათვის ფაქტობრივად დამოუკიდებელ საქართველოში გიგა ლორთქიფანიძე ქართულ თეატრში რჩება ერთადერთი ფართო მასშტაბის სახოგადო მოღვაწედ, არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი თეატრალურ მოღვაწეთა კავშირს უდგას სათავეში. მას უკავია სახოგადო მოღვაწე რეესისორის, ლიდერის მდგომარეობა. ამგვარი მდგომარეობა კარგა ხანია არა აქვთ სხვა გამოჩენილ რეესისორებს. როგორც ვთქვით, ქართულ თეატრს არ აქლია ნიჭიერი ხალხი, მაგრამ ძალიან გვაკლია მოღვაწეები. გვაკლია ის ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ

შესრულონ იმედის, საყრდენის ფუნქცია.

ეს კი განსაყუთორებული ნიჭია!

გიგა ლორთქიფანიძეს მარტი „დათა თუთაშხია“ რომ გადაეღო, მაინც დარჩებოდა ქართული კინოსა და საერთოდ, ქართული კულტურის ისტორიაში. ამ ფილმის მნიშვნელობა ისტორიულია, რადგან იგი ბევრად სცილდება წმინდა კინემატოგრაფიულ ან, თუ გნებავთ, საერთო მხატვრულ ამოცანებს, მან შემოგვინახა ქართული თეატრის სამსახიობო სკოლის (დიახ, სკოლის) მიღწევები, რის საშუალებაც თეატრს თავისი სპეციფიკური ბუნების გამო არ შეეძლო გაეკეთებინა.

თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს თეატრს მომავალშიც ცველაშე მეტად დასჭირდება სწორედ გიგა ლორთქიფანიძესავით მებრძოლი, ეროვნული სულის ხელოვანი.

## ვასილ პიპაძე

გიგა ლორთქიფანიძეს 75 წელი შესრულდა. პირადად ჩემთვის იგი, უწინარესად, ქართული თეატრის მოღვაწეა, მიუხედავად იმისა, რომ მისი მკვეთრი ინდივიდუალობა მუდამ თვალსაჩინო იყო თავისი მასშტაბებით და მოღვაწეობის ასპარეზით. ამის მიზნები, რა თქმა უნდა, თავად მის პიროვნებაში უნდა ვეძოთ, რომელიც აღსავსეა ენერგიით, ნიჭით, ტემპერამენტით, იუმორის გრძნობით, უშუალობით, მდიდარი ემოციური სამყაროთ, საოცარი ოპტიმიზმით, აქტიურობით და დაუკებლობით. მასზე ამბობენ, ავ-კარგიანი კაციაო, მაგრამ განა წინააღმდეგობებით აღსავსე ბუნება არ ბადებს ადამიანში შემოქმედების მოთხოვნილებას?

გიგა ლორთქიფანიძის გზა არ არის მარტივი და სწორხაზოვანი. ვერც იმას ვიტყვი, რომ ამ გზაშე მოსიარულე თავშეეკვებული, ფრთხილი ან მოკრძალებული იყოს, ერიდებოდეს კონფლიქტურ სიტუაციებს, მნელ უღელტეხილებს, ციცაბოებს და რისკს. გიგა ლორთქიფანიძემ დასაბამი მისცა სრულად ახალი ტალღის წარმოქმნას. მან ახალი სასიცოცხლო ძალა შთაბერა განცდის სკოლის თეატრს, რომელიც სასცენო ხელოვნების უმთავრესი შტოა და ურომლისობაც ცოცხალი თეატრი აზრს დაკარგავს და შეწყვეტს თავის არსებობას.

გიგა ლორთქიფანიძემ ძალიან დიდი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში. მან გამიღო თეატრის კარი. ეს იყო 1964 წელს, როცა სოხუმის თეატრიდან დაბრუნებული ახალბედა რეჟისორი გრიბოედოვის თეატრში „ანა ფრანგის ღლიურის“ დასაღვემელად მიმიწვია. ბოლო ერთი წლის შემდეგ, როცა მარჯვნიშვილის თეატრის ხელმძღვანელი გახდა, მარჯვნიშვილის თეატრში მიმიყვანა. ჩემთვის ეს ორი ფაქტი საკმარისებელი მეტია. მე არ ვიცი, როგორ წარმატებულია ჩემი ცხოვრება, ასე რომ არ მომხდარიყო. მაგრამ გიგა ლორთქიფანი-


ძის ამაგი მარტო ამით არ შემოიფარგლება. ჩემს შემოქმედებითს ცხოვნიურად ბაში მეტად მნიშვნელოვანი იყო ლალი როსებას დრამატურგიასთან შეხვედრა. ეს ავტორი კი გიგა ლორთქიფანიძემ გამაცნო. მას ძალიან მოსწონდა „პროვინციული ამბავი“ და „პრემიერა“, ალბათ, განხორციელებასაც ფიქროდა, მუშაობდა, რამდენიმე წელი ინახავდა, მაგრამ ერთ შშვენიერ დღეს მითხვა, მე მგონი, ეს პიესები შენ უნდა დადგაო. იშვიათია შემთხვევა, მთავარი რეჟისორი კარგ პიესას სხვა რეჟისორისათვის იმუტებდეს. (ქართულ თეატრში მხოლოდ მარჯანიშვილი ყოფილა ასეთი).

## მედეა კუჭუხიძე

### ჩამო გიგა!

მინდა გისურვო კარგად ყოფნა და ჯანმრთელობა, გისურვებ კიდევ ბევრის გაკეთებას შენი ერისათვის და ოჯახისათვის. გრძელი გზა განვვლენ და კიდევ გასავლელი გვაქტეს. მინდა იცხოვრი ისე, როგორც შეშვენის ნამდვილ შემოქმედს. მიხარია, რომ ჩემგან ამ სიტყვების მოსმენა შენთვის დამაჯერებელი იქნება. მინდა ვიყო ყოველთვის შენს გვერდით „აქაც და იქაც“. გახსოვდეს, რომ ყველაზე საუკეთესო, რაც ჩვენ შევქმნით, არის ჩვენი ოჯახი, ჩვენი შვილები და შვილიშვილები.

### ქათევან კიბარა



იმ მრავალ განსაცვიფრუბელ თვისებებთან ერთად, რომელნიც გიგა ლორთქიფანიძის პიროვნებას ასე ამშენებს და ასე რიგად გამორჩეულს ხდის ხალხის თვალში. უკანასკნელი ადგილი უჭირავს მის საზოგადოებრივ ტემპერამენტს, რაც მისი ბუნების ღრმად ეროვნულობაში იღებს სათავეს.

ასეთი გულმხერვალე ადამიანი იშვიათად შემხვედრია. კარგიც და ავიც გულთან ახლოს მიაქვს, მისთვის სრულიად უცხოა ნეიტრალური პოზიცია. სამართლიანობის დასაცავად ხმალი მუდამ გაშიშვლებული აქვს და რაც დრო გადის, ეს ხმალი უფრო და უფრო ფხიანი ხდება, არ ბლაგვდება. ამიტომაც სცემენ მას პატივს და ამიტომაც ეშინიათ მისი. როცა თავის სიმართლეშია დარწმუნებული (იგი კი ყოველთვის თავის სიმართლეშია დარწმუნებული) სასტიკია თავისი ოპონენტების მიმართ, თუმც თავის მრისხანებას „არბი-

ლებს“ იუმორით და მახვილსიტუეაობით.

ვიმეორებ ჩემგან ადრე ნათქვამს – იგი ბუწებით ლიდერია, ახალი საქართველოს კულტურული გენერაციის წარმომადგენი არ იყო, როცა თეატრს სახელმწიფო პატრონობდა (და თითქოს, ლიდერის აუცილებლობაც არ იყო) და ახლაც ლიდერია (უფრო მეტად), როცა ახალმა სახელმწიფომ არსებითად ზურგი შეაქცია თეატრს და ლიდერობა აუცილებელი გახდა.

დარწმუნების დიდი ძალა აქვს, ყოველგვარი წინააღმდეგობის დაძლევა შეუძლია. ძალიან ადვილად იქნებს თანამოაზრებს და მათაც გადასცებს ხოლმე თავისი ტემპერატურის ცეცხლოვანებას. მხოლოდ ასეთ ადამიანს შეეძლო შეექმნა ახალი თეატრი, ცარიელ ადგილას აღმოეცენებინა ხელოვნების დიდი ტაძარი რუსთავში, სადაც დაგმული საექტუალები დღეს ლეგენდებითაა შემოსილი. მხოლოდ მას შეეძლო ჩვენს მწირ კულტურულ სიკრცეში გაეპრეცინებინა თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტი, რომლის აუდიტორიები ნებისმიერი ქვეყნის სათანადო ინსტიტუტს დამშვენებდა.

ხომ მებრძოლი და შეუპოვარია, მაგრამ არაჩეულებრივად ტოლერანტულია. ძალიან მალე ივიწყებს თავის მიერ მიყენებულ წევნას და უფრო მაღლე სხვისგან მიყენებულს. ამთ იგი სცილდება კერძო ურთიერთობებს და მაღლდება ზნეობრივ კეთილშობილების მწვერვალამდე. კველატერს იმ თვალით ზომაეს, თუ როგორ წაადგება ესა თუ ის საქმე თავისი ხალხის და თავისი ქვეყნის მომავალს. ამიტომაცაა იგი დიდი ქართველი.

## ნორა გურაბანიშვილი

### რა დამავიზუაბეს!

მრავალმა წელმა განვლო. ადამიანის მეხსიერებას შემორჩა ის, რამაც განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება დატოვა მასშე. ამჯერად დიდ ხელოვანსა და პიროვნებაზე – გიგა ლორთქისტიაბეჭებები მოგასხენებთ.

საოცარია ის ფაქტი, რომ ნახევარ საუკუნეზე მეტმა განვლო და დღესაც ქართველი მაყურებელი ისეთივე განცდით იხსენებს ბატონ გიგას მიერ 1956 წელს დადგმულ ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონს“. ნოდარ დუმბაძე კველასათვის საყვარელი მწერალი იყო, მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, ჩვენს უნიჭირეს რეჟისორს ხელი რომ არ მოკიდა ამ ნაწარმოების გასცენიურებისთვის, შესაძლოა ასეთი პოპულარული არც ყოფილიყო. მაშინ მე ახალგაზრდა მსახიობი გახლდით, მანამდე მრავალ ბრწყინვალე სპექტაკლს, დიდ მსახიობს შევესწარი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ბატონმა გიგამ, მაშინ სრულიად ახალგაზრდა რეჟისორმა იმ დიდ მსახიობებთან ერთად უდიდეს წარმატებას მიაღწია. ბრწყინვალე გამარჯვებით მან დიდი



სახელი დაიმტვიდრა. სესილია თაყაიშვილის ბებია ყველას ბებიად გვიშავის იმ წლიდან მოყოლებული დღემდე ბ-ნი გიგა თავისი დიდი ნიჭით, საოცარი ალოოთი, რაც ნიშანდობლივია მისი შემოქმედებისათვის, გრძნობს, ვინ რომელ როლზე დაკავოს.

ბატონმა გიგამ იცის, ვინ რას იმსახურებს. განცვიფრებული ვუსმენ, როდესაც რომელიმე მსახიობზე საუბრობს, არაფერს აკლებს, პირიქით, გადაჭარბებითაც კი აქებს. ამას იმიტომ აღვინიშნავ, რომ ბევრს ენანება კეთილი სიტყვით მაინც ახსენოს ის, ვინც მცირე წვლილი შეიტანა ხელოვნებაში.

მე არც თეატრის მცოდნე და არც კრიტიკოსი ვარ, ბ-ნ გიგას შემოქმედებაზე რომ ვილაპარაკო. ჩემგან მას ქება არ სჭირდება. მინდა ბ-ნ გიგას პიროვნებაზე მოგახსენოთ: მან, უხმაუროდ იცის სიკეთის კეთება. როდესაც ჩემი ცხოვრების თანამგზავრი მერაბ გეგეჭორი ამ ქვეყნიდან წავიდა, დიდ განცდაში მყოფს არ გამახსენდა, ჩემი რუსთაველის თეატრის დასი გასტროლებზე რომ იმყოფებოდა. ბატონმა გიგამ შეკრიბა მარჯვინიშვილის თეატრის მთელი დასი და სამძიმარზე მოვიდა. მაშინ ვიგრძენი, რა ძნელი იქნებოდა ჩემთვის, ბ-ნ გიგას ისინი რომ არ მოეყვანა. მან დიდი პატივი დასდო მერაბს, არაჩვეულებრივი გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა.

ბატონი გიგა პირდაპირი ადამიანი, სიტყვის პირში მოქმედია, მაგრამ მის ნათქვამს ზიანი არავისთვის მიუყენება.

ჩემი მეუღლე ბატონ გიგას შემოქმედებას დიდად აფასებდა. ერთ საღამოს შინ გვიან დაბრუნებულმა მითხრა: „იცი, რა სპექტაკლია „ფიროსმანი“, რა ბრწყინვალედ დადგა გიგამ. ვენაცვალე, ნამდვილად რეჟისორია, რა დიდი მსახიობია მეღვინეოთუხუცესი, რა სასიამოვნოა, რომ ისტორიაში დარჩება ორი ფიროსმანის სახე: სერგო ზაქარიაძისა და მელიქიორუხუცესის“.

ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა უღრმესი მაღლობა გადავუხადო ბატონ გიგას იმ ყურადღებისა და სიკეთისათვის, რასაც იგი კოლეგებისადმი იჩინს.

ერთხელ ჩემს ვაჟ გურამთან და რძალ ლალისთან ერთად ვიყავი ბებიაჩემის ელისაბედ ჩერქეზიშვილის ყოფილ ბინაში. იმ საღამოს გადაცემა იყო ტელევიზით ქ-ნ ვერიკო ანჯაფარიძის სახლიდან. იქ შეკრებილნი იყვნენ, როგორც ხმირად, შემოქმედი ადამიანები. ბ-ნ გიგას არაჩვეულებრივა გამოსვლამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებელზე. მე, აღტაცებულს, არ შემეძლო მისთვის არ დამერეკა. შუსაიფისას კედლიდან გადავარდა აგური და გაისმა ბრახუნი. ვაიმე-თქო, დავიძახ. ბატონმა გიგამ მკითხა, რა ამბავიაო. აგური ჩამოვარდა, ავარიულ მდგომარეობაშია ელისაბედ ჩერქეზიშვილის ყოფილი ბინა-შეთქი. „წილგანის ქუჩაა, არა?“ მკითხა. ამჟამად ეს ქუჩა დამბაშიძის სახელს ატარებს. წამომცდა, საიდან იცით ამ ქუჩის სახელი-მეთქი:



„როგორ არ ვიცი, ელისაბედი სადაც ცხოვრობდა?“ და იქვე დასძინა. მე ამ დღებში გამოვგზავნი ხელოსნებს. მართლაც, ორი დღის შემდეგ მოვიდნებული და კედელი გაამაგრეს. ეს მაგალითი მოვიყვანე იმის აღსანიშნავად, რაოდენ აფასებს ბ-ნი გიგა წარსული წლების შემოქმედთ.

მე დიდი ბენიერება მხვდა წილად, როდესაც რუსთაველის თეატრში ბ-ნი გიგა ოთარ მამურიას „მეტეხის ჩრდილის“ დასადგმელად მოიწვიეს. ვა-მაყობ, რომ მუშაობა მომიხდა ასეთ რეჟისორთან და პარტნიორობა სერვო ზაქარიაძესთან.

მინდა გავიხსენო ჩემი პედაგოგის, ცნობილი რეჟისორის გიორგი ტროსტუნიკოვის სიტყვები, ჩემს მეუღლეს რომ უთხა ბატონი გიგას შესახებ: „დიდი ნიჭის ახალგაზრდა რეჟისორია. მისი მომავალი დიდია“.

ბ-ნი გიგა დიდი ტრადიციების მქონე ოჯახიდანაა. რაოდენ სასიხარულოა, რომ საქართველოში არიან ისეთი ნამდვილი ქართული ტრადიციების მატა-რებლები, როგორიც ბატონი გიგა და მისი და – აკადემიკოსი მარია ლო-რთქიფანიძეა.

ბ-ნ გიგას საუბარში იგრძნობა ქართული ენის დიდი პატივისცემა. მისი ცოდნა და გაფრთხილება. როდესაც სპექტაკლ „მეტეხის ჩრდილის“ რეჟისორია მიმდინარეობდა რუსთაველის თეატრში, ბ-ნი გიგა დიდ ყურადღებას აცევდა მეტყველებას.

მეტად გახარებული ვარ, რომ თეატრალურ ინსტიტუტში ბატონ გიგას ხელმძღვანელობით მრავალი კარგი რეჟისორი და მსახიობი იზრდება. ვლო-ცავ და ყველას წინსვლას უუსურვებ ბატონ გიგას ხელმძღვანელობით.

## ეპათერიცე ვაჩავავა

### გიგა – 75?

ხშირად ერთ სიტყვაში უფრო მეტი შინაარსია, ვიდრე მთელ ლიტერატუ-რულ ნაწარმოებში. დაკვირვებული ადამიანი, რომელიც მიჩვეულია სწრაფ აზროვნებას და რომელსაც სულ ცოტა ხნის ურთიერთობა მაინც ჰქონა მა-სთან, ეძლევა საშუალება მოსცილდეს ყოველდღიურ უტილიტარულ მოვალე-ობებს და ზოგჯერ ფილოსოფიურ, ზოგჯერ კი იუმორისტული დამოკიდებუ-ლებით გახდოს ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდებს.

მისი გაცხარება ხშირ შემთხვევაში არაჩვეულებრივი აზროვნებისა, უტყუ-არი ცოდნისა და ინტუიციის გამო ხდება.

მისი სახით შევიძლიათ გყავდეთ მასწავლებელიც, დამრიგებელიც და მა-ჟამურიც!

მთავარია ძალიან გახსნილი იყოთ მასთან, სულ ცოტათი მაინც იცნობდეთ მის პიროვნებას, ფრიად განათლებულს, თავისი საქმის დიდ მცოდნეს და ძა-ლიან ხშირად სევდიანს – და თქვენ წარმოიდგინეთ – ცრემლიანსაც.



თუ რა დვაწლი აქვს ქვეყნის ხელოვნების განვითარების საქმეში, ამის მიზანი ლასათვის ნათელია და ამაზე ლაპარაკს მე თავს ვარიდებ, ჩემს პერსონას არ ვაძლევ უფლებას მისი შემოქმედება გვარაჩიო.

სამაგიეროდ, მაქვს უფლება აღტაცება გამოვხატო ამ საინტერესო ადამიანის ცხოვრებასა და სხვადასხვა სფეროებში მონაწილეობის გამო.

მოღვაწეობა – ეს ის სიტყვაა, რომელიც ასე ძალუმად გასდევს მის ბიოგრაფიას და პირდაპირი კონტექსტია მისი ცხოვრების დასახასიათებლად.

არა მგონია, ხელოვანისათვის უფრო საინტერესო რამ არსებობდეს ამ ქვეყანაშე, ვიდრე ადამიანი.

ბევრი შესძლებია მას, ვინც ბევრით ივალებს თავს!

ასეთია ჩემთვის გიგა...

ამ სახელსაც ადამიანების დიდ ნაწილში გამოარჩევ!

ჩვენი ცხოვრება მოგზაურობაა, აზრი და იდეა კი გზის მაჩვენებელი, და ეს ორი ფერმენტი არ არსებობს ადამიანებთან ურთიერთობის გარეშე.

ასეთია და ყოველთვის საინტერესო ჩემთვის გიგა, ჩემი უფროსი მეგობარი და მასწავლებელი.

ჩემთვის პირადად ადამიანში ორი საზომი არსებობს, გონება და მორალი და ეს ორივე გიგას სულიერების ნამდვილი იარაღია.

და კიდევ ყველაზე დიდი ძვირფასეულობა მასში – ოპტიმიზმი!

დაუღალავი შრომის უნარია აუცილებელი კანონი, როგორც ხელოვნებისათვის, ისე ცხოვრებისთვისაც; და დაუღალავი შრომა მისი ცხოვრების ნამდვილი სინონიმია.

ვისაც საყუთარი სათქმელი არა აქვს, მისთვის უკეთესია ჩუმად იყოს!

სწორედ ამიტომა ჩემთვის ძალიან გასაგები, თუ რატომ ვავალებთ სწორედ მას საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტას ჩვენს თეატრალურ მოღვაწეობაში.

არ არსებობს რაიმე საკითხზე შექმნილი აზრი, რომლის გამოხატვა არ შეიძლებოდეს უბრალოდ და მეტიოდ, გიგა ამ საქმის დიდოსტატია, თუ საღმეთავის მაღლიან სიტყვას დროულად მიაწვდიდა ხოლმე, იქ საქმეც არ წახდებოდა.

ადამიანი მხოლოდ თავისი ბედნიერებისთვის არ ცხოვრობს, მან უნდა შეიქცოს უდიდესი კანონი, ადამიანურობისა!

გიგა ყველას ქმსახურება, მაგრამ არავისთან არ მოსამსახურებოს, მას ამის უფლება აქვს, რადგანაც ამაყია და ეს სიამაყე მისი განვლილი ცხოვრებით მტკიცდება.

ერთხელ ძალიან მოწყვენილ გიგასთან მომიწა ყოფნა, უსაშობლო კაცს ჰგავდა, დარწმუნებული ვარ სწორედ მაშინ ფიქრობდა ქვეყანაზე!!!

– მეგობართან ბედნიერების დღეს მხოლოდ მიატასებით უნდა მიხეიდე და უდედურების დღეს დაუპატივებლად – და დიღხანს არც უნდა მოსცილდეო, მითხრა, ეს კაცური მოვალეობააო!



ვალდებულება ქვეყნისა თუ ხალხის წინაშე, მისი სასიცოცხლო ძალაა. გულიოთ მინდა, რომ დიდხანს არსებობდეს ამ ქვეყანაზე ჩემთვის საკუარელი, უფროსი მექობარი და მასწავლებელი – ფანტასტიური ოჯახის შვილი და გენიალური მამულიშვილი!

გველას გვსმენია იმ ქართულ სიტყვათა კონა, რომელსაც თავად გიგა ხმა-რობს ხოლმე გამოჩენილი ადამიანების დასახასიათებლად, სახეგანაოებული და ბედიერი – ეს კი არა გეულებრივი მონოლოგია სიხარულზე!!!

გილოცავ!!!

## შარი !!!

გიგა ლორთქიფანიძემ აღმოუჩინა ქართულ თეატრს ნოდარ დუმბაძე და დაუკიწყარი სახეები შექმნა მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლებში: „მე, ბება, ილიკ და იღარიონი“, „მე ვხედავ მზეს“.

გიგა ლორთქიფანიძემ ჩამოაყალიბა რესთავის თეატრი და სანამ იგი ხელმძღვანელობდა მას, ის იყო უბრწყინვალესი ქართული თეატრი.

გიგა ლორთქიფანიძემ გადაიღო, ახლა უკვე „საუკუნის ფილმად“ აღიარებული „დათა თუთაშეია“ და მისი მრავალმხრივი ტალანტის სხვა გამოვლინებებს რომც არ შევეხო, იქნება ეს იუმორის განსაცეირებელი გრძხობა, მომაჯადოებელი მუსიკალურობა, სიძღვის კულტურისა თუ მთხრობელის განსაკუთრებული ნიჭი, ზემოაღნიშული თითოეული მოვლენა სრულიად საკმარისი იქნებოდა ერთი, დიდად ნიჭიერი რეჟისორის ბიოგრაფიასათვის.

...და მაინც, განგებამ იმდენად უხვად მიპამდლა მას ღირსებები, იმდენად მძლავრადა მასში გამოკვეთილი ლიდერის თვისებები და იმდენად გულწრფელია მისი მოქალაქეობრივი პათისი, რომ XX საუკუნის დასასრულის ქართული ყოფა წარმოუდგენელიც კი ბატონი გიგა ლორთქიფანიძის უაღრესად კოლორიტული ფიგურის გარეშე.

## დაღი მუმლაპა

სანამ დაიწყებ თეატრში მუშაობას, გვონია, რომ თეატრში მუშაობა ბედნიერებაა, როცა იწყებ მუშაობას, ხვდები, რომ თეატრში მუშაობა მოვალეობაა, 20 წლის მუშაობის შემდეგ კი აღმოაჩენ, რომ თეატრში მუშაობა ბედნიერი მოვალეობაა. ხოლო თუ 30-40 და 50 წელი აქტიურად, ყოველდღიურად მუშაობ თეატრში, ამას უკვე შეწირვა პქვია.

გიგა ლორთქიფანიძე იმ ადამიანებს მიეკუთვნება, რომლებმაც თავი ქართულ თეატრს შესწირეს. თეატრში ასე შევეგარებელი ადამიანი მე ცოტა მინახავს, მას შეუძლია ამ სიკუარულის გამო ბევრი რამ დათმოს, ბევრ რამებებ თვალები დახუჭოს, საკუთარ პრინციპებზე და შეხედულებებზე უარი თქვას. მას კონკრეტულად მარტო მარჯანიშვილის ან რუსთავის თეატრი კი არ უყვარს. მე მინახავს როგორი გააფორებით იცავდა გიგა ლორთქიფანიძე



გორის, თელავის, უოთის თეატრებს, მინახავს გაავებული ლორთქიფილი თუმის თეატრის პარალიზების გამო, მინახავს მისი ცრემლიანი, ბედნიერი თვალები მესხეთისა და ქუთაისის თეატრების გამარჯვებების დროს. ორი თეატრი გაეხსენი და ორივეს გახსნა ჩემზე ძალიან უხაროდა, რადგან სჯეროდა, რომ ამ თეატრებით, ქართული თეატრი კიდევ უფრო მდიდრდებოდა. გიგა ლორთქიფანიძე თეატრში დღესაც ისევე შეევარებულია, როგორც ახალგაზრდა კაცი თავის პირველ შეევარებულში, მას მთელი ქართული თეატრი უფარს, ის მთელ ქართულ თეატრზეა შეწირული და ყოველივე ამის შემდეგ. განა საჭიროა ვილაპარაკოთ მასზე, როგორც სახიოდო მოღვაწეზე, ანდა თუნდაც როგორც რეჟისორზე? განა მისი ცხოვრება თეატრში, მისი როლი ქართული თეატრის ისტორიაში, უფრო მაღლა არა დგას, ვიდრე ნებისმიერი კანგრე სპექტაკლი? თეატრის ისტორიაში რეჟისორები და მსახიობები მარტო სპექტაკლებით არ რჩებიან, თეატრის ისტორიაში პირველ რიგში, თეატრს შეწირული მოღვაწეები რჩებიან.

## ავთო ვარსიავაზილი

გიგა ლორთქიფანიძე 1951 წლის სექტემბერში გავიცანი. მოსკოვიდან ახლად დაბრუნებულმა, „გიტისის“ კურსდამთავრებულმა რეჟისორმა თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაულტეტის IV კურსის სტუდენტებთან ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი“ დადგა.

უადრივის როლიდან მოყოლებული ჯერ მარჯნიშვილისა და შემდეგ რუსთავის თეატრში მის არა ერთ სპექტაკლში მიმიღა მონაწილეობა.

გიგა ლორთქიფანიძე იმ ლიდერ რეჟისორთა რიცხვს მიეკუთხება, რომლებიც იმკათა შემოქმედებითი ინტუციის წყალობით იოლად უდებენ ალღოს მსახიობის ინდივიდუალობას და უტყუარად აძლევენ მას „თავის“ როლს, რაც მომავალშიც ეხმარება ამ უკანასკნელს საკუთარი შესაძლებლობების შეცნობაში. ამით მსახიობიც იგებს და სპექტაკლიც. ის იმკათა ტაქტით ექცევა მსახიობს და შემაობის პროცესში ისე ესაუბრება, აცნობს თავის შეხედულებებს, თავის მრწამსს, რომ ამა თუ იმ სცენის დამუშავებისას ის მისი ზეგავლენის ქვეშ ბუნებრივად ექცევა. და რჩება შთაბეჭდილება, რომ ყველაფერს თავად ქნის, მით უფრო, რომ რეჟისორია არ უშლის ხელს თვითგამოვლენას შემოქმედებით პროცესში. სწორედ ეს არის ნამდვილი თანაშემოქმედება. გიგა ლორთქიფანიძე დამოუკიდებლად, მსახიობის გარეშე არასდროს წყვეტს ნებისმიერ შემოქმედებით ჩანაფიქრს. მისთვის, როგორც რეჟისორისათვის მსახიობი – მოელი თეატრია. აი, ეს არის ის უმოვლესი გზა, რომელზედაც იგი ნელ-ნელა იკრებს თანამოაზრებს, – ერთიანად კრავს მათ ისეთ მსატრულ კოლექტივად, რომელიც მომავალში შესაძლებელია ახალი თეატრის შემადგენლობადაც მოგვევლინოს.

გიგა ლორთქიფანიძის უდიდესი ღვაწლია რუსთავის თეატრის დაარსება.



დღეს თუ რესტავრი ასეთი მაღალპროფესიული დონის თეატრი არსებობს ეს, უპირველესად მისი დაშსახურებაა. ამიტომ იყო ლოგიკური მისი თეატრის დური სახოგადოების თავმჯდომარედ არჩევაც.

მის სპექტაკლებს ყოველთვის იცნობთ შინაგანი ოპტიმიზმით, სიცოცხლის ხალისით, იუმორით. რადგან მისი ავტორიც ამ თვისებების მატარებელია. გიგა ლორთქითანიძესთან ვერასდროს მოიწყენ. ის ყოველთვის კურადღების ცენტრშია. გულისხმიერი პიროვნებაა, რომელსაც როგორც ცხოვრებაში, ისე შემოქმედებაში მხნე და ფართო ნაბიჯებით უყვარს სიარული. გიგა ლორთქითანიძემ კარგად იცის სიყვარულისა და შეგობრობის ფასი და რაც მთავარია, თავისი პროფესია, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა.

## გიგა სისარულიძე

გარბიან დღეები, გარბიან წლები, გარბიან წუთები ჩვენი ცხოვრებისა და უკან რომ მოიხედავ, იმ მოგონებათა ნუსხა შეგრჩება, რომელმაც ცხოვრებაში რაღაც კარგი და სასიამოენო მოგცა. გიგას სახელი იძლენად ყოვლის მომცველია, რომ შენს წინაშე გაცოცხლდებან სრულყოფილი კაცის – ადამიანი სახე და თვისებები ნიჭიერების, კაცომოვეურობის, სიკეთის, ოჯახიშვილობის, სიმტკიცის, სათხოების, ქართული კულტურის, თეატრის, მუსიკის: კინემატოგრაფიის, ქართული დრამატურგიის დიდი მოღვაწისა. ხანდახან გაოცება გიაქორის ხოლმე, როდესაც ბატონი გიგას ცხოვრების განაწესებულება. არ არსებობს არც ერთი ღონისძიება, იგი რომ არ გამოეხმაუროს ან უშეალო მონაწილეობა არ მიიღოს.

55 წელია ბატონი გიგას გვერდით ვარ. 55 წელია ყოველდღე კხვდები და მიყვირს, რა დაუშრეტელი ფანტაზიისა და ნიჭიერების მქონე გახლავთ. 75 წელი ბატონი გიგასთვის შეასნია. ახლა ველოდებით მისგან შესანიშნავ სპექტაკლებს და კინოფილმებს. იგი არის კაცი, რომელსაც რომეოსავით სიყვარული შეუძლია. და თუ კაცს სიყვარული შეუძლია, იგი უკვდავია.

შენც, ჩემო ბატონო გიგა, შენც!

## შენი აზორ ქუთათელაძე

### მხრვალე გულის კაცი

ბატონი გიგას შემხედვარე ვერ ვიტყვი, რომ 75 წელი დიდი ასაკია, თუმცა, ზოგიერთისთვის ალბათ, ეს თარიღი შეიძლება რაღაც რაღაცეცხლშე ხელის აღებას და საპატიო დასვენების უფლების მოპოვებას ნიშნავდეს. მაგრამ არა ისეთი აქტიური და დაუღალავი კაცისთვის, როგორიც ბ-ი გიგაა.

ერთი შეხედვით ჩვეულებრივი და ამ ჩვეულებრივში არაჩვეულებრივი მუხტის მქონე, ქართული თეატრის პატრიარქი, ცხოვრებაში მუდამ მოუსევნარი



გიგა ლორთქიფანიძე კვლავ ჩეეული ენერგიით განაგრძობს ბრძოლას მას შემდეგ ნიმუში ფრთხოების და ეს შემართება მე მის უმცროს კოლეგას იმდინ მაცხოვებებს, ე.ი. ასაკი არაფრია, მთავარია გული არ იყოს ასაკის შესაფერისი.

ამ 25 წლის მანძილზე, რაც პატივი მაქეს მას ვიცნობდე, ბევრჯერ მინახავს იგი გაცეცხლებული, გახარებულიც, აცრემლებულიც ბევრჯერ მინახავს თავისი ახლობლების გასაჭირის გამო, ქვითშიც, საქმეშიც ბევრჯერ ვეოფალვარ მასთან ერთად და არასდროს შემიმჩნევია ყალბი, ორგინალობისათვის შეთხზული მანერები. ან მრავალმნიშვნელოვანი პაუზები, რაც ეხოდენ დამახასიათებელია ზოგიერთი მისი რანგის ხელოვნთათვის. ბ-ნი გიგა ყოველთვის არის გულწრფელი, მართალი, გასაგები და აღბათ ამიტომაც ძალიან საინტერესოა მასთან ურთიერთობა. ჩემი ღრმა რწმენით, ეს არის ის დიდი ნიჭი, რომელსაც შეფერიდება არ სჭირდება. ბ-ნ გიგას შეუძლია უინტერესო ამბავიც კი ძალიან საინტერესოდ აქციოს. და არსებული ატმოსფერო ერთბაშად, ერთი ხელის მოსმით, შეცვალოს. მახსოვეს საბჭოთა კავშირის დროის, თეატრის მოღვაწეთა ერილობაზე, კრემლში წარმოოქმული სიტყვა. მაშინ გორბაჩივის დრო იყო და ფერა უკვე აუცილებლად თვლიდა ვინმეს ლანძღვა-გინებით მოეპოვებინა მსმენელის ინტერესი. ამიტომ თითქმის მოელი ერილობა ერთმანეთთან გაუთავებელ კინგლაობაში მიმდინარეობდა. აქეთ ზახაროვი, იქით ლავროვი, აქეთ დარინინა, იქით ევრემოვი, იმის იქით ვიღაც კრიტიკისი ან ცინიკოსი... და ამ გაუთავებელი კრიტიკის ატმოსფეროში გამოდის გიგა ლორთქიფანიძე და ამბობს სიეთით სავსე, დადგებითი ემცი-ებით აღვხილ, პრინციურ სიტყვას. და ეს სიტყვა აღმოჩნდა, ჩემი აზრით, ყველაზე საინტერესო და გასაგები მსმენელთათვის. იქ იყო იუმორიც, პათოსიც. მაგრამ უმთავრესი ის გახლდათ, რომ ტრიბუნაზე იდგა ქართული თეატრის ქომაგი, რომელსაც ძალიან სჯეროდა თავისი თანამემამულების, სჯეროდა ქართული თეატრის, აწმეოსი და მომავლის (მაშინ ქართულ თეატრს მართლაც ბევრი რამ დაეჯერებოდა). დარწმუნებული ვარ, რომ ნებისმიერ სხვას იმ გარემოში ასეთი განწყობის გამოსვლა რომ ჰქონოდა, აღბათ სტკენით ჩამოიდებდნენ, მაგრამ გიგა ლორთქიფანიძეს, როგორც ზემოთ აღნიშნე, შეუძლია იმდენად საინტერესო იყოს, რომ ნებისმიერი ვითარება თავის სასარგებლოდ შეცვალოს, ამიტომაც არის ბ-ნი გიგა მუდმ კურადღების ცენტრში, ამიტომაც არის ყოველთვის იქ, სადაც ხალხმრავლობაა. მინდა უახლოეს ხანში ვიყო მაყურებელი გიგა ლორთქიფანიძეს ახალი ფილმისა, სადაც დარწმუნებული ვარ, იქნება ვაჟკაცობა, ძალიან დიდი მეგობრობა, თავგანწირვა. მტრის მტრულად დახვედრა, მოყვასის სიევარული, ერთმანეთის დანდობა და ძალიან დიდი იმდი. მოყლედ ყველაფერი ის, როთაც უკვე 75 წელი ცხოვრიობს თავად გიგა ლორთქიფანიძე თავისი დიდი მხურვალე გულით ამ თითქმის უკვე უგულო საქართველოში.

**ალექსანდრე (ნუპრი) ქათარია**



თამამად შემიძლია ვთქვა, რომ შემოქმედებით ასპარეზზე გამოსვლისას კონკურენცია მოუხდა რეჟისორთა უბრწყინვალეს ტანახუალისა და მომსახურების მიზანის მიხედვით არ არის გამო დუნდოენად, მაგრამ მანც მახსოვე მისი პირველი სპექტაკლი „სასტუმროს დიასახლისა“, რის შემდეგაც ბატონმა გიგამ თავისი ადგილი დაიმევიდრა ქართულ თეატრალურ ხელოვნებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ მასავით არავინ არ იცის როლების განაწილება.

დიდი წვლილი მიუძღვის ქართული კლასიკური პრობის სცენურ ინტერეტაციაში.

არსებობს კლასიკური დრამატურგია, მაგრამ არსებობს ასევე კლასიკური დრამატურგიის კლასიკური სცენური ვერსია. ასე მოხდა პ. კაკაბაძის „კახაბერის ხმლის“ შემთხვევაში. ამ პიესაში ბატონმა გიგამ ავტორისეული ტექსტის სრული დაცვა მოახერხა და შექმნა ქართული თეატრის ერთ-ერთი კლასიკური წარმოდგენა.

გარდა ამისა, მინდა აღნიშნო, რომ ბოლო ხანს საქართველოში ძალიან ბევრი თეატრი გაიხსნა, მაგრამ გიგა ლორთქითანიძის თაოსნობით დაარსებული რუსთავის თეატრი გამოირჩევა მრწამსით, პოზიციათა და საერთო სატეატროს არსებობით. ბატონ გიგას ხომ თანამოაზრეთა შემცურების საოცარი უნარი აქვს.

იგი აშკარად საჩოგადო მოღვაწეა, საჩოგადოებაში არსებული ჭოველგვარი პრობლემა აღლებებს. მისი ინტერესები დიდი ხანია გასცდა თეატრალურ სფეროს. თავისი მრწამსიდან გამომდინარე, ბატონ გიგას შეუძლია იყოს ქომაგი, ამიტომ მისი ყველას გვეიძება. დღეს თეატრის მუშავთაფის ქომაგის პრობლემა აქტიურად დაისვა, ეს კი ბატონ გიგას ზედმიწევნით რაინდულად გამოსდის.

## ნუგარ ლორთქიზანია

ვინც ჩვენს ქვეყანაში ცხოვრების მერვე ათეულს ითვლის, გზა ძალიან რთული აქვს გამოვლილი: სისხლიანი ოცდაათიანი წლები, მეორე მსოფლიო ომი, ყინულთლდებობის, უძრაობის და დღესაც ძირეულ გარდატეხათა ხანა... მით უფრო, თუ ბენებით ძალიან მერჩნობიარე ხარ და ამის გამო ადვილად ფეთქებადი, პროფესიად კი რეფისურა აირჩიე. თანაც არა მარტო სპექტაკლების რთული სტრუქტურის მართვა, არამედ მართვა თვით თეატრისა და მისი შექმნაც კი.

ძალიან მრავალმხრივია სათეატრო ხელოვნებაში შენი მოღვაწეობა. სადღეისოდ ეს ყველას მიერაა აღიარებული. ამ საჩივიო დღეს კი მინდა გიოთხრა, ჩემთვის რა არის ძვირფასი შენ შემოქმედებაში – განსაკუთრებული. გაუნედებელი სიყვარული მსახიობისა. ამ სიყვარულის შედევრია ის სცენური სახეები, რომელთა გარეშე არც მათ განმასახიერებულ მსახიობთა შემოქმედების წარმოდგენა შეიძლება და არც ჩვენი დროის ქართული თეატრისა.



მათ შორის რამდენიმეს გახსენებაც საკმარისია: შალვა ღამბაშიძის „ანთოლებული“ (ვ. გაბეგვირიას „უფსკრულთან“), სესილია თაყაიშვილის ევა ამაურ საქეტე კლიდან და ბებია ოლღა შენს მიერვე თეატრისოთვის აღმოჩენილ და გასცენურებულ ნ. ღუმბაძის რომანში „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, ვერიო ანჯაფარიძის ფატი გურიელი (ა. ჩხაიძის „შთამომავლობა“), სერგო ზაქარიაძის ძის ძალი შექრო (ო. მამუროვის „მეტების ჩრდილში“)...

ისინი ჩვენი დროის ქართველები არიან. არაა ეს შემთხვევითი, რადგან შენი – მოქალაქესა და ხელოვანის უმთავრესი ყურადღება მუდამ შენს ქვეყნას ეკუთვნოდა. ქართული თეატრის ეროვნული მისაც არასოდეს დაგვაწყებია. დღესაც, როცა ეს სამამულიშვილო მისია ცოტადა ვისმეს ახსოვს, მზად ხარ იბრძოლო მისთვის და იბრძვი კიდეც. ამის ძალასაც სიყვარული გაძლიერებს – საქართველოს და ქართული თეატრის სიყვარული.

თვითონაც იცი – ყველაზე დიდი ძალა სიყვარულია!

## ნათელა ურუშავა

გიგა ლორთქიფანიძე იმ პერიოდში მოვიდა ქართულ თეატრში, როდესაც შესაძლებოდა გარდატეხა და ე.წ. პერიოდულ და რომანტიზმულ გმირს სცენაზე შეკვეცვლიდა რიგოთი ადამიანი. რჩეული პიროვნების პრობლემის ნაცვლად წეველებრივი ადამიანის ტკიფილი ადიოდა სცენაზე. ერთ-ერთი პირველი დადგმა მარჯანიშვილის თეატრში, კ. გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“. როგორც ვიცით, მოვლენად იქცა. ყველამ დაინახა, რომ თეატრში მოვიდა საინტერესო რეჟისორი.

გიგა ლორთქიფანიძის ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება არის ის, რომ საოცრად ზუსტად ანაწილებდა როლებს კინოშიც და თეატრშიც, რაც უკვე წარმატებისაკენ მიმავალ გზის ნახევარს უდრის. ის დღესაც რჩება, უხეშად რომ კოქიათ, მსახიობის თეატრის მიმდევრად. ათასი „იზმების“ მიუხედავად მისთვის უმთავრესი საშუალება საოქმელის ამოთქმისა არის მსახიობი. სხვადასხეა ლიტერატურული თუ თეატრალური მიმდინარეობის ფონზე ერთგულია თავისი მრწამსისა – მისთვის მთავარია მართალი სიტყვა, სადა და არა თვითმმთნური რეჟისორული ხერხები და მიზანსცენები. ის ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მის სპექტაკლში წინა პლანზე მსახიობი იდგეს. ეს სპექტაკლები ქართული თეატრის ისტორიას ეკუთვნის.

## გია ცეითიშვილი

# მეცნიერებულის წერილი

შეხვედრა ე. ჟანერის სახ.  
თეატრისა და კინოს ისტორიის და თე-  
ატრიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრი

იუბილე ყოველთვის საშეიძო, მხიარული ნოტებითა და განწყობით აღსავს დღეა. ის ბ-ნი გიგასთვის არა 19, არამედ 14 ოქტომბერს ქ-ნი ქეთევან კინაძის მშობლიურ ქა-ლაქში დაიწყო.

**გიგა ლორთქიზანიშვილი:** მო-  
გებენებათ, ბორჯომელების სიძე  
კარ და ძალიან გამეხარდა, რომ  
ჩემი ნოდარი, ვასო, ოთარი, გურამი  
გამომყვნენ ბორჯომში, ყველაზე მე-  
ტად კი იმან გამახარა, დიდ ხილთან  
ადრე „სლავა კპს“ რომ ეწერა  
რუსულად. იმ ტრანსპარანტზე „დღ-  
ეგრძელობა გაგა ლორთქიფანი-  
ძესო“ რომ წაეყითხე. და აი, 16  
ოქტომბერს თქვენ მიღოცავთ.

პრესკონფერენციას გახსნილად  
ვაცხადებ და მყითხეთ, რაც გაინტე-  
რექსბოთ.

**ამაზა ლოლიშვილი:** ბ-ნი გიგა,  
თქვენსა და დრამატურგს შორის  
ყოველთვის იყო შემოქმედებითი  
ურთიერთობა, რაც ახლა, სამწეხა-  
როდ, გაწყვეტილია. უფრო შეტყიც,  
თანამედროვე ქართული პიესის მი-  
მართ დღეს უკვე შექმნილია წინა-  
სწარი განწყობილება...

**გ. ლორთქიზანიშვილი:** რა თქმა

უნდა, ეს კატასტროფაა. თეატრი  
ეროვნული დრამატურგიის გარეშე  
არ შეიძლება არსებობდეს. ქა-  
რთული დრამატურგიისა და სა-  
ერთოდ, ქართული მწერლობის გა-  
რეშე ჩვენი თეატრი ვერ იქნება ქა-  
რთული. გახსოვთ, „ორერა“ რომ  
წავიდა ამერიკაში, გენო ნადირა-  
შვილი სულ სინატრას სიმღერებს  
ძლიერდა და პარტერიდან ეძახდნენ  
„ფოლკლორი“. ამერიკას სინატრა  
ჰყავდა და ქართული ესტრადა აი-  
ნტერესებდა. უნდა იცოდე სად, რო-  
დის, რა აკეთო.

ჩემთვის, როგორც რეჟისორისა-  
თვის, საეტაპო მოვლენას წარმო-  
ადგენდა უურნალი „ცისკარი“ ვა-  
ხტანგ ჭელიძის რედაქტორობით.  
ვფიქრობ, ეს შესანიშნავი პირო-  
ვნება და ერუდიტი მწერალი დღეს  
უსამართლოდაა მივიწყებული. მისი  
უურნალის შემცველებით დაბერა ახა-  
ლმა სიომ ქართულ ლიტერატუ-  
რაში და გაჩნდა ნოდარ დუმბაძის,  
ოტია იოსელიანის, მერაბ გლიოჩა-  
შვილის, კრიტიკოსების ოტია პა-  
ჭკორიასა და სხვათა ახალი სახე-  
ლები. შეიქმნა ახალი. ადამიანური  
სახეები დრამატურგიაში. თქვენ შე-

აქციო, მხოლოდ შენსას პუჭავარობას შენი ერის უპირატესობას უნდა გრძნობდე, ეროვნული სიამაყე უნდა ჭარბობდეს შენმი. მე კარგა ხანია, გარდა მუსიკალურისა და საოპეროსა, სხვა სპექტაკლი აღარ დამიღვდამს და მიმაჩნია, რომ არაფერი ისე საჭირო არ არის დღეს ჩვენი ხალხისათვის, როგორც ყაზბეგი. იგი საესებით უმართებულოდ მიივიწყებ, არადა, აღექვანდორე ყაზბეგი თავისი შემოქმედებით შექსპირული ვნებებისა და ეროვნული ტემპერამენტის გამომხატველი, ქართველი ხალხის ამაყ ბუნებასა და ზენობრივ სისცეტაგებები მოგვითხრობს. ეს იქნება მრავალსერიანი ტელეფილმი, რომელშიც არ შევა მხოლოდ „ელისო“, რადგან ეს ისეთი გენიალური ფილმია, რომ ვერ გავგვდავ, ხელი მოვეკიდო. ფილმის ყოველი სხვადასხვა მოთხოვბას გააშეუქებს და მთლიანად, ამ სერიალს „ნამწყემსარის მოგონებანი“ გაერთიანებს. საღამობით მწყემსები ცეცხლს შემოუსხდებიან და გაიხსენებენ ამ ისტორიებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო ის სცენა რად ლირს, უცხოელები დამტერეული რუსულით რომ ელაპარაკებან ყაზბეგს და კავკასიის მთებში მწყემსი ჩინებული ფრანგულით პასუხობს. ყაზბეგი კიდევ ერთხელ ეხუმრება მათ, როცა უუბნება, ეს რა არის, მე ცოტა კიდევ დამავიწყდა ფრანგული, ჩვენი მწყემსები ჩემზე უკეთ ლაპარაკობენო.

კიდევ ერთი, რის გამოც გადა-

იძლება არც იცოდეთ, რომ მიუხედავად „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ უხარმახარი წარმატებისა სცენაზე (ზედიზე 480 ანშლაგი), იძროინდელმა ოფიციოზმა ეს სპექტაკლი ძალიან ცუდად მიიღო. მათ ვერ წარმოიდგინეს, რომ მთავარი გმირი არ იყო ფრიადოსანი. არც ბეჯითი და „შრომის დამკვრელი“, ზარმაცი იყო, ძლიერს სწავლობდა. მასხოვეს, ბესო ედენტი იცხადებდა: „ვინ არიან, კაცო, ეს ილიკო და ილარიონი? რა სოფელია ეს? არც პარტორგანიზაცია ჰყავთ და არც აქტივი? ილია თავაძე კი პირდაპირ ლანბრავდა მთავარ გმირს: „ვინ არის ეს ოროსანი? ეს ხომ ქართველი ხალხის დაცინება!“ მაყურებელთა დარბაზი კი არ ცხრებოდა – იყო კივილი, აპლოდისმენტები, აღფრთოვანებული შეფასებები. აკაცი ბელიაშვილმა განაცხადა, თქენება სპექტაკლმა მარჯანშეილი გამახსენაო. და მართლაც, შეიძლება ითქვას, რომ ახალი თეატრალური ენა, ახალი აზროვნება იქმნებოდა.

ჩემთვის ხელოვნების მსახურება არასოდეს აბსტრაქციას არ წარმოადგენდა. ჩემი ნამუშევრით ყოველთვის მქონდა სურვილი ჩემი ხალხისათვის მეთქვა ის, რაც მეც და მასაც აწუხებდა. ასეთი იყო „დათა თუთაშხაა“.

დღეს ჩვენ დამარცხებული ხალხის კომპლექსი გაგვიჩნდა. ვფიქრობ, იმისათვის, რომ ფეხბურთი მოიგო, ჭიდაობაში მეტოქე წა-

ეწყვიტე ფილმის გადაღება, ის იყო, რომ ამ მრავალსერიანმა ტელეფილმებმა ისე შემჩიზღეს საკუთარი თავი, ვიფიქრე, ჩვენი ხალხი მაღალი ზნეობის, ჭეშმარიტი ლიტერატურული ღირსებების მქონე ნაწარმოებს უნდა უფრებდეს ყოველ საღამოს-მე-თქ.



### **მიხეილ გიშიმყრელი:**

დღევანდელ ჩვენს ტელევიზიას არ სჭირდება მაღალი ზნეობის ნაწარმოებები. მათ ზოგადი შერები და ისტორიები აინტერესებთ, რომელიც მაყურებელს ყურადღებას გაუფანტავს.

**დალი მუმლაპა:** ეს არის ე.წ. კლიასური შემცნება.

**გ. გიშიმყრელი:** გიგა ლორთქიფანიძის ფილმში, დარწმუნებული ვარ, ყოველი გარეგანი ეფექტი ყურადღების გამახვილებაზე იმუშავებს და ინტერესს გამოიწვევს.

**ოლდა თაგუავილი:** ვინ მიიღებს მონაწილეობას ფილმის შექმნაში?

**გ. ლორთიშვილი:** სცენარი ამირან ჭიჭინაძისა და ჩემი მონაწილეობით შეიქმნა. მსახიობი ჯერ ერთი მცავს შერჩეული - ლევან ბერიძეშვილი. დანარჩენი ვნახოთ.

**მერაბ გეგია:** ერთი საინტერესო ისტორია მახსენდება წარსულიდნ: ბ-ნა გიგამ მსახიობები ქუთაისში წაიყვანა, რამდენიმე წელი იმუშავა მათთან. მერე კონფლიქტი მოუვიდა და თბილისში ჩამოვიდა.

აღსანიშნავა, რომ სრულიად ახალგაზრდა გიგა ლორთქიფანიძე ოცდაათი წლით უფროს თეატრალური ინსტიტუტის რექტორს ილია თავაძეს არაფერს უთმობდა. ილია თავაძემ უთხრა ერთხელ: „გიგა, რაჩე გაქვს ლაპარაკი, წაიყვანე ხალხი ქუთაისში. ჩატოვე იქ და დაბრუნდი უკანო“. „თქვენ რა ხმა ამოგედებათ. ილია ყაისარის ძევ, მე ქუთაისში მაინც დავტოვე ჩემი მსახიობები, თქვენ კი პარიზიდან წამოყვანილი ქართველები ციმბირში გადაასახლეთ და მე მსაკედურობთო“ – გაიყვირვა ბ-ნა გიგამ.

**გ. ლორთიშვილი:** ამიტომ ამბობდა ილია თავაძე, როცა გიგა ლორთქიფანიძესთან კამათობ, უნდა იცოდე, რომ არა მხოლოდ გიგასთან გაქვს საქმე, არამედ მის ჯოხთან.

**ა. გაგია:** ახლა კი შეკითხვა: ყველა მსახიობი, რომელიც თქვენთან მუშაობს, აღიარებს, რომ თანაშემოქმედებითი პროცესი უაღრესად პროდუქტიულია და მაინც გი-



პირისპირდებან. თუკი საინტერვესოდ მუშაობენ, თქვენი აჩრით, რატომ გიპირისპირდებან, როგორ გაანალიზებდით ამას?

**გ. ლორთიქივანიძე:** ასე იყო მარჯანიშვილის, ქუთაისის, რუსთავის თეატრებში – კეცელაგან. სადაც კუოფილვარ, კუიქრობ, თუ თეატრი არ ვარგა, არავინ ერთმანეთს არ შეხებდა, მაგრამ თუ თეატრი აღმავლობის ჭით მიდის, გამარჯვებას უერ იყოფვენ. მე, მაგალითად, ჩემს ცხოვრებაში მარჯანიშვილის თეატრში მუშაობის პერიოდი საუკეთესოდ მიმაჩნია – ახალგაზრდა რეჟისორს მსახიობთა ბრწყინვალე კოლექტივი მებარა. მაგრამ ჩემს მოთხოვნებს ვინც აქმაყოფილებდა. იმ ახალგაზრდებსაც რომ ვაძლევდი როლებს, ეს აღარ მოსწონდათ. უფრო მეტიც – ვერცი ანჯაფარიძეც კი, რომელმაც თავისი სურათი ასეთი წარწერით მაჩუქა: „კოტე მარჯანიშვილის მერე მე ასეთი სიხარული არ განმიცდია. ქართული თეატრი იამაყებს შენით“, როცა სესილია წამოვიდა წინა პლანზე თავისი ბებიათი, გაიბუტა. იყო პერიოდი, როცა ვიძინებდი და ვიღვიძებდი იმ ფიქრით, ახლა რა როლში დამეტავებინა ოთარ მეღვინეუბუცესი, და მასთანაც მქონდა კონფლიქტი.

**გულიამ ჯავაშვილი:** ბატონო გიგა, რაშია თქვენი გამარჯვების საიდუმლო?

**გ. ლორთიქივანიძე:** არასდროს მეშინოდა დამეწყო მუშაობა

ნოლიდან და არასდროს მიწყვენებია ასე დავიწყე თეატრის შექმნა ნოლიდან ცარიელ ქალაქში, სადაც არც ერთი ეკლესია და არც ერთი თეატრი არ არსებობდა. ამ უნარმა გამიხანგრძლივა სიცოცხლე. 75 წელი დიდი დროა, მაგრამ მე შემოძლია კეცელაფერი თავიდან დავიწყო.

**პარლა ურუგავა:** რეჟისორისათვის რომელი პროფესიული თვისებაა აუცილებელი. რომ კოლექტივი მის გარშემო გაერთიანდეს და ჩამოყალიბდეს?

**გ. ლორთიქივანიძე:** ჩემზე ამბობენ, გიგა ლორთოქიფანიძის დაუძინებული მტერი რომ იყო, თუ შენი როლია, მაინც მოგცემსო. ვერავინ მისაცემდურებს, გიგა, კარგი სპექტაკლია, მაგრამ ეს როლი ამ მსახიობისათვის კი არა, იმისათვის უნდა მიგეცო, და კიდევ ერთი – რატომ ხდება, რომ თეატრში კველაზე ბედნიერი თაობა მისი შემქმნელების თაობაა? მერე მოსული მსახიობი კი მანც სტუმარია თეატრისათვის. რატომ ხდება ეს? მე მახსოვს რუსთავის თეატრის პირველი წლები. ვგრძნობდი, რომ როდესაც სპექტაკლზე მთელი დასი იჯდა, თუ სცენაზე რამე გაეთდებოდა, მომავალი გამარჯვების იმპულსი დარბაზში მსხდომი მსახიობებისაგან მოდიოდა. სტანისლავსკი ამბობდა, რომ თეატრი იბადება, კითარდება და კედება. ათ წელზე მეტი სიცოცხლის ხანგრძლივობას თეატრს არ აძლევდა.

**დ. მუმლაძე:** რატომ დაიშალა



რუსთავის თეატრი და თუ იყო შესაძლებელი, არ მომხდარიყო ეს?

**გ. ლორთქიფანიძე:** ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ ჩვენს თეატრზე უხომდო იყო შეკვარებული სერგო ზაქარიაძე. როდესაც ის რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო, აკვიატებული პქონდა: ჩვენ უნდა შეერთდეთო. ამით თავიც დაიღუპა და ჩვენი თეატრიც დაღუპა. ერთ დღეს დამიძახა და მითხრა „მე არ ვარ რეჟისორი (იყო არაჩეულებრივი რიპატრატა „სასტუმროს დასახლისში“. შაქრო „მეტების ჩრდილში“, გახსოვთ ალბათ), მოდი მთავარ რეჟისორად რუსთაველის თეატრში და გავერთიანდეთო. მე ვუთხარი, რომ ეს იყო ორივე თეატრის დაღუპვა. ამის შემდეგ მან რუსთაველის თეატრის დირექტორს ჩემს შახიობებთან მოლაპარაკება დაავალა. რუსთავის თეატრის კოლექტივი ყოველდღე რუსთავში ავტობუსით მგზავრობდა. თბილისში გასტროლებზე, მაყურებელი თითო ბილეთში 20-25 მანეთს იხდიდა და აღფრთვანებული იყო. რუსთავში კი ეს ბრწყინვალე წარმოდგენები თითქმის ცარიელ დარბაზში თამაშდებოდა (მაყურებლის მოსკლას წლები დასჭირდა).

თეატრალურ ინსტიტუტში, მახსოვს, მეცხრე აუდიტორიაში ვატარებდი ლექციას. ჩემთან ოთარ მეღვინეობუცესი და ნოდარ მგალობლიშვილი რომ მოვიდნენ კი არ შეიგრა, ფილმს ვერ ქმნის. მე, პირადად, გადაღებებზე სიძნელებიც კი არ შეონდა ამ მხრივ. არაერთმორწმუნები ვერა-

სტროფული კრიზისი დაიწყო მარჯვენა რეგიონიშვილის თეატრში. ხუმრიშვილი ხომ არ იყო, ოცდაშვიდი მსახიობი წავიყვანე თეატრიდან და ვინ? ოთარ მეღვინეობუცესი, ირაკლი უჩანევიშვილი, ნოდარ მგალობლიშვილი, ლეო ანთაძე, გივი ბერიძე-შვილი, გიზო სიხარულიძე, ქეთევან კიგნაძე, გურანდა გაბუნია, ზაირა ლებანიძე... ყველას ხომ ვერ ჩამოვთვლი...

შევარდნაძემ დამიძარა და მიბრძანა დავბრუნებულიყავი მარჯანიშვილის თეატრში. მე რუსთაველიდან თერთმეტი მსახიობი წამოვიყვანე. თეატრი ძალიან კარგად შეგხვდა, დაინახეს. რომ ეს იყო ერთადერთი გამოსავალი იმ მძიმე მდგრამარეობიდან. დღეს ჩვენ პრესკონფერენციას ვატარებთ და მოგახსენებთ, რომ ჩემს ყველაზე სწორ გადაწყვეტილებად რუსთაველის თეატრის შექმნა მიმაჩნია, ყველაზე დიდ შეცდომად კი – მარჯანიშვილის თეატრში უკან დაბრუნება. სადაც ჩემი უკვე სახელმოხვეჭილი და ხალხისათვის საყვარელი მსახიობები ჩაიკარგნენ და მათი შემოქმედებითი ნიჭის შეძღვიში განვითარების საშუალება თითქმის მოისპო. ჩემი ღრმა რწმუნით, თეატრი ერთმორწმუნეთა კოლექტივია. სხვანაირად თეატრი არ იქნება. კინოჯგუფიც კი, თუ ერთმორწმუნეთა კოლექტივი არ შეიგრა, ფილმს ვერ ქმნის. მე, პირადად, გადაღებებზე სიძნელეებიც კი არ შეონდა ამ მხრივ. არაერთმორწმუნები ვერა-



უკანს ქმნიან. გენიალური სტანისლავსყი ამბობდა: „ასი კაცი რომ აღფრთოვანებული მიყურებს და ერთი – გულგრილად, რეპეტიცია მეშლებარ. „სოვერემნივში“ „მეხუთე კოლონა“ რომ დავდგი, ამ თეატრს ახალი დაწყებული ჰქონდა ცხოვრება და თორმეტი მსახიობისაგან შედგებოდა. ვინმე რომ შეემატებინათ, ჯოჯოხეთი უნდა გაევლო მასაც და თეატრსაც, მაგრამ როდესაც შეიმატეს. და არა ერთი, „სოვერემნივიც“ ჩვეულებრივი თეატრი გახდა და ის კოლექტივი აღარ იყო.

**ო. თაბუკაშვილი:** რას გვეტყოდით კინოფილმ „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ შესახებ. თქვენ, როგორც ამ ნაწარმოების პირველი დამდგმელი სცენაზე, რა აჩრისა ხართ მასზე?

**გ. ლორთიძანიძე:** „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ კინოში გადაიღეს, მაგრამ მე რადგან კინორეჟისორი არ ვიყავი. არ მომცეს გადაღების უფლება. მასხოვეს „დათა თუთაშიაც“ იმიტომ მომცეს, რომ მრავალსერიანი ფილმის გადაღება არავინ მოინდომა.

თქნგის აბულაძე იყო უნიჭიერესი შემოქმედი. ტალანტი, მაგრამ იუმორის გრძნობა არ გააჩნდა. დუშმაბეს კი იუმორის გარეშე ვერ გადაიღებ. ფილმში მატარებლის და სკოლის სცენაზე რომ არ გაგეცინება, რაღა ფილმია. მერე, გამძრცვეს ჩემი მსახიობებით.

**ო. თაბუკაშვილი:** თქვენი სკექტაკლისეული არქიტექტონიკაც

დაირღვა კინოში.

**გ. ლორთიძანიძე:** თქნგის აბულაძემ მაჩვენა ფილმის მთელი მასალა (განსაკუთრებით ბებიას ეპიზოდი) და მე, როგორც ბებიას „სპეციალისტს“, მყითხა აზრი თავის ნამტევეარზე. უფთხარი, ეს ხალხი ერთად გაიხარდა: ეს რომ მჭადს აცხობს, ის ლობიოს აკეთებს, მესამეს პრასი მოაქვს, შენს ფილმში ესენი კილომეტრებით დაშორებულ სახლებში ცხოვრობენ. როგორ გგონია, რატომ არის განვითარებული დასაცლეთ საქართველოში დიალოგის კულტურა და ხეკუსურეთსა თუ მთაში საერთოდ – პოეზია? პოეზია მარტოსული ადამიანის საქმეა, დიალოგი – კოლექტიურად მცხოვრები ადამიანების ურთიერთობის კულტურას წარმოადგენს. გეოგრაფიული ფაქტორიც მოქმედებს ადამიანზე – უდაბნოში გაჩრდილი და წალკოტში მცხოვრები ადამიანები სხვადასხეანარიად ჩროონებენ.

სანამ „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ გადაიღებდნენ, „ჭრიჭინა“ უნდა გადამეტო. რადგან ჩემს სპექტაკლში მედეა ჯაფარიძე შესანიშნავად ასრულებდა ამ როლს, როლზე ის მყავდა შერჩეული. ცენტრალურმა კომიტეტმა და კულტურის სამინისტრომ მიბრძანა, მთავარ როლში დამეკავებინა ლეილა აბაშიძე. მე ვუთხარი, რომ თუ მედეა ჯაფარიძე არ ითამაშებს, არ გადავიღებ-მეტქი. ალბათ, ასეთ პასუხს ელოდნენ და არც გადამაღებინეს.



სამი თუე არ მიმტკიცებდნენ დათა თუთაშეის როლზე ოთარ მეღვინეუ-თუხუცესს. ყველას მთავაზობდნენ მის გარდა. მე კინორეჟისორისგან იმითაც განესხვავდები, რომ სინჯზე მსახიობი არ მომყავს. შეიძლება მოვსინჯო ის ტექნიკური მიზნების გამო – სხვადასხვა გრიმში, ტანა-ცმელში. ერთმა რეჟისორმა იპო-ლიტე ხეიჩია და დოლო აბაშიძე ერთად გამოიძახა სინჯზე. მე ვუ-თხარი, თუ არ იცი, ვინ უნდა გა-დაიღო და რას ათავაშებ, რატომ იღებ-მეთქი.

**გერაბ გიპხამი:** როდესაც მუ-შაობთ კინოში, შემდეგ მუსიკალურ თეატრში, ან ოპერაში დგამო სპე-ქტაკლს, ან დრამატულ თეატრში მოდიხართ, როგორ ახერხებთ გადა-როვას და რა სპეციფიკური ნიშნით განასხვავებთ თქეენს ნამუშევრებს?

**ბ. ლორთიშვილი:** ვცდი-ლობ, რომ მუსიკალური სპექტა-კლის შექმნისას მე, პირველ რიგში, დავდგა მუსიკა, დრამატულ თე-ატრში – მწერალი. ერთხელ მკი-თხეს, რა გიყვართ კინოში ყველაზე მეტად – ტუე, ცხენები... მე ვუპა-სუხე რომ „მსხვილი ხედი“, რადგან მე კინოშიც და თეატრშიც პირველ რიგში, მსახიობი მიყვარს. სცენა, როდესაც დათა თუთაშეია სეგედს-თავისი ცხოვრების ისტორიას უყვება, ხუთწუთნახევარს გრძე-ლდება. მე მისხინდნენ, რომ არ შე-იძლება ამის მხოლოდ ერთი პლა-ნით გადალება, უნდა გადაიღო ბუ-ხარში ცეცხლი და სხვადასხვა ნი-

ვთები და ხედები. მე ეს სცენა გა-დავიღე ჯერ შორი ხედით, მერე მოვიყვანე ახლოს ნელ-ნელა და ბო-ლოს ეკრანზე მხოლოდ ოთარის თვალები დაეტოვო.

**ა. გაგია:** თქეენ უკონფლიქტო ადამიანი ბრძანდებით. მასხოვს. უნგრეთში რუსთავის თეატრის გა-სტროლების დროს ოთარმა მეტავი დაადანაშაულა. რომ ლამაზად არ ეკიდა ხმალი ტანზე და სპექტაკლს არ ვთამაშებო. გამოაცხადა. კოლე-ქტივი პატივს არ მცემსო. უნგრე-თში ბანგ-ბანს თამაშობ და კოლე-ქტივს არ უყვარხარ თურმე! თქეენ უთხარით, უხმლოდ ითამაშოსო. – „როგორ, ხმლის გარეშე? ეგ რო-გორ შეიძლება“ – შეიცხადა ოთა-რმა. მაშინ, რა ხმალიც გაქცეს, იმით ითამაშებო – უპასუხეთ თქეენ წყნა-რად. ასეთ კონფლიქტურ მსახი-ობებს რეჟისორები იოლად ელე-ვიან. გავიხსენოთ თუნდაც ახმე-ტელი, ხორავა და ვასაძე რომ გა-უშვა თეატრიდან.

**ბ. ლორთიშვილი:** და ტრაგიკული, საბედისწერო შეცდომა დაუშვეა.

ნახევარი საუკუნე ვიყავი სხვა-დასხვა თეატრის ხელმძღვანელი და არ არსებობს კაცი. რომელიც მე მოვხსენი სამსახურიდან. მიჩხუბია, მიყვირია, მაგრამ არ გამიღდია. მი-უხედავად იმისა, რომ ტოვსტონო-გოვი გვასწავლიდა: „მსახიობის პა-ტივება არ შეიძლებაო“.

**გ. გიგიაშვილი:** როგორი პი-როვნება იყო ტოვსტონოგოვი, გვა-



ინტერესებს თქვენი აზრი მის შესახებ.

**გ. ლორთიპანია:** პირველ კურსზე მე და კაცო დღვალიშვილი ვაკეთებდით ეტიუდს. მე უნდა ვყოფილიყავი მლიქენელი. მე არ მინდოდა მეჩვენებინა. რომ მლიქენელი ვარ. ტოვესტონოგოვა მისაყველურა, არ ჩანს, რომ ემლიქენელებიო. მე უთხარი, ეს თუ იგრძნო, მაშინ ხომ ვერ მოვატყუებ-მეთქი. არ ხარ მართალი. ახლა გიჩვენებ, როგორ უნდა ამის თამაშიო – მითხვა მან და ამ დროს დერეფანში გამოყიდა ხორავა. მთასაკით მოდიოდა. ტოვესტონოგოვი მიეკება:

ბ-ნო აკადი, როგორ გახდით ამ ბოლო ხანებში. თქვენ თავს უნდა გაუფრთხილდეთ, თქვენ ჩვენ გვჭირდებით.

ვიფიქრე ხორავა ახლა ისეთს იღრიალებს, შეუახე გაგლეჯს-მეთქი, მაგრამ რა უპასუხა მან? „იცით. ბოლო ხანს ძალიან ვიღლები“.

მისი დევიზებიდან ერთი დამაბახსოვრდა განსაკუთრებით „თეატრი – ეს ნებაყოფლობითი დიქტატურაა“, ნამდევილი დიქტატორი იყო თეატრში.

**ლაგარა ლოდავა:** როგორ შეხვდა გიგა ლორთქიფანიქ თავის განუშეორებელ სიყვარულს?

**გ. ლორთიპანია:** ამაშიც ბედი მქონია. ჩემი მეგობრის მიშა თუმანიშვილის საჟეტატლში „მეექვესე სართული“ თამაშობდა ქეთინო, შევხედე თუ არა. ჩემთვის ვიფიქრე „აუცილებლად ჩემი იქნება“. რა-

მდენჯერმე შეეხვდით. მერყედან შეუარი თხარი, მე ბევრი სირბილის დრო არ მაქვს, გამომყევებით არა ცოლად-მეთქი. ქეთინო მიხვდა, რომ არ ვუშმრობდი და დამთანხმდა.

**გ. გავია:** რა წარმოადგენს მარადიული ახალგაზრდობის საიდუმლოს? ჩათვალეთ, რომ ეს კითხვა მე და მერაბ კინაძემ ერთად დაგისუით და კონკრეტულად თქვენი მაგალითით განაზოგადეთ.

**გ. ლორთიპანია:** მე მყავდა გენიალური პედაგოგი ალექსეი პოპოვი, რომელიც მეუბნებოდა: შეიძლება მთელი დამე იქეიფო. მაგრამ მხოლოდ საკუთარი ჯანმრთელობის ხარჯზე. მთელი ცხოვრება ქეიფსა და დროსტარებაში გავატარე, მაგრამ არც სპექტაკლზე, არც გადაღებაზე, არც ლექციაზე არ დამიგვიანია. მაპატიეთ თავის ქება. მე მოვახერხე შემეთავსებინა ბობოქარი პირადი ცხოვრება შემოქმედებასთან ისე, რომ ახლა სიბერეს აბსოლუტურად ვერ ვგრძნობ – ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ახალგაზრდა კაცი ვარ. მხოლოდ ერთხელ ვიგრძენი ასაკი. ლოგინში ვიწევი ამ ექვსი თვის წინ, ავიღე უბის წიგნაკი და ვისთანაც მინდოდა დამერეკა, აღარავინ იყო ცოცხალი... ეს იყო სიბერის საოცარი შეგრძნება... ერთადერთი, რაც შევძელი გამეკეთებინა, წიგნაკი ფანჯარაში მოვისროლე.

**ნათა ლევია:** თქვენი აზრით, როგორი ურთიერთობები უნდა



იყოს ადამიანებს შორის, რომ მათ შეძლონ ერთმანეთის შენარჩუნება სიცოცხლის ბოლომდე?

**გ. ლორთქიზანიძე:** პუშკინი წერდა: „ლიცეუმში ჩვენ გვასწავლიდნენ, მაგრამ აღზრდით ერთმანეთს გზრდიდით“. ადამიანებმა დაკარგეს შეგრძნება იმისა, რომ მათ ერთმანეთი უნდა აღხარდონ. ინსტიტუტში რომ ჩავაბარე, ოქტომბერში გაეხდი 16 წლის, მიშა თუმანიშვილი ჩემზე 7 წლით უფროსი იყო, გიორგი ტოვესტინოვიც ორივეზე უფროსია, მაგრამ ჩვენ ემეგობრობდით, მოსკოვში, როდესაც სპეცტაკლების დადგმა გვინდოდა, სტუდიებით დამით ესარგებლობდით მე, ტოლია ეფროსი, ოლეგ ეფრემოვი, მიხეილ ულიანოვი. სპეცორგანიზაციები საშინელი ეჭვით გვიყურებდნენ, მაგრამ ჩვენ აქ გავიარეთ უდიდესი პროფესიული სკოლა, ასე დავმეგობრდით და სიცოცხლის ბოლომდე შევინარჩუნეთ ეს მეგობრობა. შხვლოდ ლექციებზე ჯდომით პროფესიას ვერ დაეუფლები. საჭიროა ყოველდღიური პრაქტიკული მუშაობა, თავდაუზოგავი შრომა მიზნის მისაღწევად. ის სულიერი თუ შემოქმედებითი საერთო თვისებები მაშინ ყალიბდება, დამეტებს რომ გათხენებ რეპეტიციებზე.

**ა. გაგია:** ბოლო კითხვა – ვიცი, რომ თქვენი ოცნება იყო, გამხდარიყავით მსახიობი.

**გ. ლორთქიზანიძე:** პატარა

რომ ვიყავი, ვერაზე, აივნებზე შესძლოთ ატრების გამართვა იყო მოღაში. ფარდას გავკიდებდით და ვთამაშობდით. ასე მე ოთხი წლის ასაყში არსებას ლექსი მთლიანად ვისწავლე, ოღონდ პირველი სტროფის მერე „შეჯდა თავის ლურჯა ცხენზე, გააჭენ-გამოაჭენა“ შემდეგ ვტირდი, იმიტომ, რომ ვიცოდი, რომ მოკლავდნენ. შემდეგ მახსოვს ხუთი წლის ასაყში გადამიღეს ესაყიას ფილმში კოლმეურნეობის თავმჯდომარის შეილის როლში. ხის ცხენზე ვიჯექი. კულაკის ცოლს ჩემთვის კანფეტი უნდა მოეცა და მე უარი მეტქვა მისთვის. ექვსი ღუბლი გავაუჰქე, სულ ვართმევდი კანფეტს. ესაყიამ იძლენი შოულადი მაჭიმა, რამდენიც შევძელი, მერე ჩემს თვალწინ შოულადის ქაღალდში ქვიშა ჩააყრევინა და შეახვევინა. ამ კანფეტის შემოთავაზებაზე კი სათანადო სიამაყით განვაცხადე უარი.

**ა. გაგია:** კითხვას ვაგრძელებ, რა როლს ითამაშებდით?

**გ. ლორთქიზანიძე:** მე აუცილებლად ვიწებოდი მსახიობი თუ არა ჩემი ფიზიკური მდგომარეობა, რადგანაც უზომოდ მიყვარს თეატრი და მის გარეშე სიცოცხლე არ შემიძლია. აუცილებლად ვითამაშებდი სირანოს, დათა თუთაშიას, ნიკოლოზს... რადგან ყველა ამ როლში ჩემი სულია.

ჩაიწერა  
ინო მაჭავარიანა



# პოზიტივია

გასელი წლის 17 ნოემბერს თბილისში, რიტეალების სასახლეში გაიმართა ჩემი საიუსილეთ ხადამო. ჩვეულებრივი ხადამო იყო – მოღლუვები, ყვავილები, აპლოდისმენტები და. უბად, თითქოს მოწმენდილ ცაბე მეხი გავარდა! მარი მოსკოვიდან – პირდაპირ სენატე. ტლევფონთან

მაგრამ შესანიშნავად მესმოღლების თქვენ შემთხვევით როდი ამ მიზანისთვის ეთ მე, ქართველი მსახიობი, და არა, ვთქვათ, ჩემი რესი კოლეგა – ასე ვთქვათ, თქვენიანი. არადა, ბრწყინვალე რეს მსახიობთა მთელი კომიტეტის ხომ ჩემზე ნაკლებად არ იმსახურებს ესოდენ დიდ აღიარებას. ყველაფერი ეს, მთელი ჩვენი საუბარი მოსკოვის ტელევიზიის სხვადასხვა პროგრამით გადაიცა და უკვე ერთი-ორი საათის შემდეგ მირეკავდნენ მეგობრები და ნაცნობები საბლვარგარეთი-

## კუსეთის კოტე მახარაძე პრეზიდენტს – ქართველი „სკომრომებისაგან“

იყო რესერტის, 150-მილიონიანი უბარ-მაბარი იმპერიის პრეზიდენტი. ბევრს ძლიერ ვიღაძეარავებს, ალბათ, ყველაფერი ეს კარგად გახსოვთ.

მიზეათ გამო ეს იყო უნიკალური მოღლუვა. ჯერ ერთი, ზედიზედ მესამე სამრეკილენტო მოღლუვა: პირველი საქართველოს პრეზიდენტის სიტყვიერი მოღლუვა; მეორე – უკრაინის პრეზიდენტისა წერილობითი, და აი, ბოლოს, პირდაპირ სენატე. შეაგული იყბილებს ღროს ტელეფონის ბარი რესერტის პრეზიდენტისაგან. რაც თავი მახსოვეს, ასეთი რამ არ მომხდარა.

მე არ მივეკუთვნები საკუთარ თავში შევეცარებულ პერსონებს, რომლებიც ყველაფერს პირადი ღირსებითა და იშვიათი ნიჭით ხსნიან. ბუნებრივია, უბომოდ გახარებული ვიყავი,

დან: გერმანიიდან, ინგლისიდან, საფრანგეთიდან, უნგრეთიდან, ისრაელიდან, დილისკენ თევანისგალმიდანაც յა, ამერიკის შევრთებული შგატებიდან – რესულ გადაცემებს ხომ მთელი მსოფლიო ყეყრებს. მიღოცავდნენ, გაკვირვებას გამოთქვამდნენ და... გაოცებას ვერ მაღავდნენ. როგორ? რესერტის პრეზიდენტი და ქართველი ბერიკა? პირდაპირ უფლისწევისა და მათხოვრის შესახებ თქმელებას ჰეგავს.

ჩემთვის კი ყველაფერი ნათელი იყო. თქვენ იმ სადამოს მეგობრობის ხელი გამომიწოდეთ არა მარტო პირადად მე, არა კოტე მახარაძეს, არამედ, საერთოდ, ქართველ ინტელიგენციას, ქართველ ხალხს. ეს ამრი და-დასტურდა დამოუკიდებელ სახელმ-

წიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების აღმა-ათაში გამართულ მორიგ სამიტბე, სადაც ოქვენ შშვიდად განაცხადეთ, რომ საქართველო დამოკიდებელი სახელმწიფოა (ეს თქვენი სიტყვებია) და სრული უფლება აქვს ახალი სახელმწიფოს, ახალი საზოგადოებრივი წყობილების შექმნის ურთიერთ პერიოდში ჩამოაყალიბოს თავისი არმა, თუნდაც მცირერიცხვანი, მაგრამ თავისი.

და, როდესაც შევარდნაძეს მაღლობა გადაუხადეთ იმისათვის, რომ ივი სამიტბე ჩავიდა შიდაპოლიტიკური სიმნელეების მიუხედავად, ასე დასრულეთ თქვენი გამოსვლა: რუსეთში არავინ არ მიიჩნევს ტრაგედიად იმას, რომ საქართველოს არმია ეხმარება რამდენიმე ათეული ამერიკელი სპეციალისტი. თუ შეა აჩიაში რამდენიმე ათასი სპეციალისტის მოწვევა შეიძლება, რატომ არ შეიძლება საქართველოში?

**პატიცემულო წრებიდენტო,**

ეს ვრძელი შესავალი იმიტომ დამჭირდა, რომ თუნდაც როგორიდაც განემარტო, რატომ მივეცი თავს უფლება მე, ქართველმა ბერიკამ, ან, ბოლოს და ბოლოს, ინგლიიგნერუად თუ ვიტვით, ქართველმა არტისტმა, ასე უცნერემონიოდ, პირდაპირ მომუმართა რუსეთის წრებიდენტისათვის.

ჩემდამი თქვენმა ყურადღებამ და თქვენმა სიტყვებმა იმის შესახებ, რომ „ჩენენმა ხალხმა შეგიყვარათ და იმედი გვაქს, რომ არაერთხელ გავიღონებოთ თქვენს ხმას“, გამაბედვინა ეს, აი, რატომ გადავწყვითე პირა-



დად თქვენთვის მომემართა.

თავს არ შევაწყენთ დვარჯინილსიტყვაობით და არც ხილოგამმების კორიანგელს დავაყენებ. პირდაპირ მოგახსენებთ. ციტაოდენ წარსელასაც გადაცემლოთ თვალი.

შერისმაბიძებელი და ვოჩენაშებდედელი ხრუშჩოვის შემდეგ ყველა ტიასა და ყველა არსებული სახელმწიფო ორდენებითა და მედლებით, ჯვრებით, ვარსკელავებით, ნახევარმოგარებითა და საქსე მთვარეებით დახუნძლელი ძვირფასი ლეონიდ ილიას ძის შემდეგ, რომელმაც ლიტერატურაში ლენინური პრემიის ლაურეატის მედალიც კი ჩამოიკონიალა და მხოლოდ ერთის – უქბე ერთში სხრ კავშირის ჩემპიონის ტიტულისათვის მოსკოვის „სპარტაკის“ მედლის მიხაკეთობა ველარ მოახწორ, მქაცირი ანდროპოვის შემდეგ, რომლის ერთი შეხედვა შიშის გარს სცემდა კაცს, თუნდაც ჩერნენკოს შემდეგ.



რომელსაც პრიმიტიული აბროვნების აპარატიც კი გათიშვედი ჰქონდა, გორծახოვის გარდაქმნისღროვნელი ბორგის შემდეგ, და ბოლოს, ბელოვეჟის ტერიტორის მთავარი ავტორის ელექტრის შემდეგ, როდესაც სამშა კაცმა, მხოლოდ სამად სამშა, სრულიად უძუოთველად და როგორლაც უდარღელად, პატარა ავტოკალმის ერთი მოსმით შეძლეს ის, რაც ვერ მთახერხა პირებრმაც კი მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობასთან ერთად, უახლესი ტექნიკის ფოლადის ჯავშნიში ჩამჯდარმა, მათი მთავარი სამხედრო თეორეგიკოსის კარლ ფონ კლაუბე-ვიცის ბრძნელი სტრატეგიით შეიიარაღებულმა...და, ყველამ ერთად ეს ვერ მოახერხა, აი, სამეცნიერო კი შეძლო. ეცბად... ერთი ხელის დაკვრით.

აღხსრულა სხირ კავშირი ზოგის გასახარად და სხვების სამწერაოდ. დაირღვა დროთია კავშირი, როგორც შექსირი ამბობდა, მაგრამ არ დაშლილა მოკავშირე რესპუბლიკები, რომელიც მყისიერად გადაიქცნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. თქმება თანამეცნიერობა, მაგრამ რაღაც მეტად ამაყალ ქდერს სიტყვა – დამოუკიდებელი სახელმწიფოები. და – მო-ე-კა-დე-ბე-ლა. გამოსახახი იყო ახალი, აქამდე ეცნობი გზები და, აი, გამოჩნდა ჸეტინა – გამოიჩნდით თქვენ, ბაგონო პრეტიდენტო, გამოჩნდით აქამდე ყველასთვის ეცნობი, როგორც მისტერ იქსი. ახალგაბრდა, შემართელი, შეტიბმეტად სპორტული, არა მარტო მუსკულატურაშე კუნთუნის რაოდენობით, არამედ სპორტული სელის კეთილგანმავით. გაბედელი, იძინებული, რომლის უიზიერ შემართუნას ეხამება საღი და მკაფიო აბროვნება, და, რაც მთავარია – ინტერნაციონალისტი არსითა და სელისკე-

თებით.

ახლა არ იკითხავთ დაგენერაციას თქვენი გაბედელი მოქმედების შესახებ, რომელიც უმაღლეს გავრცელდა თბილისში, როდესაც თქვენს მძიმედ ავადმყიფ უფროს მეცობარს და მაშინდელ შეფს ანაგოლი აღექსანდრეს მე სობაქს დაეჭერა საცხებით რეალური საშიშროება, რომ სააგადმყოფოდან პირდაპირ ტესაღის საკანზი აღმოჩენილიყო, რაც, კაცმა არ იყის, რით დამთავრდებოდა. როგორც ლეგნდა გვაწყებს, თქვენ გვიან დამით, გაბედელად და უშიშრად, როგორც დიუმას გმირებს სჩევვიათ, გამოიყვანეთ, ან უბრალოდ მოიპარეთ ავადმყიფია არა მარტო სააგადმყოფოდან, არამედ ქვეყნიდანაც და ჟევე მეორე დღეს წყნარად მოთავასეთი პარიზის მყედრო კარდეოკლინიკაში.

იქნებ, ჩემს მერ მონათხრობი ეპიზოდიდან ყველაფური ტყეაღი, წმინდა წყლის მონაჭორი, მოცლილია ფანგაბითორობის ნაყოფია – შეიძლება ასე იყოს. მაგრამ ამ შემთხვევაშიც, ჩვენი ხალხი თქვენ მოგაწერთ კეთილშობილურ და გაბედელ საქციელს, როგორც ძველ „რუსელ ბილინებში“ სიმართლის დამსველ გმირად გახავთ.

ასე ფაქტობდნენ თქვენბე ქართველები, ფიქრობდნენ და იმედოვნებდნენ. არა, ამ სიტყვას არ მოჰყება ტრადიციული, მოკლე, რუსული „მაგრამ...“ მაშასაბადმე, იმედოვნებდნენ... მაგრამ... ყველაფური შემდგომის უარყოფით არა. და შემდეგ...

მე არა გარ მოლიგიკოსი და თავს არ მიცემ უფლებას კამათის და, მით უმეტეს, მთელი რიგი პოლიტიკური საკითხებისადმი კრიტიკული მიღებისა. ეს არ არის ჩემი საქმე. იოლად ჩამჩრიან პირში ბურთს და არც ამი-



ტომ მოგმართავთ თქენებ.

ყველასათვის კარგად არის ცნობილი, რომ საქართველო ჯერ კიდევ თქვენამდე იყო შეგანილი „შავ ხიაში“, ურჩითა ხიაში. თორმეტი დამოუკიდებელი სახელმწიფო დამსახური, ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკური დანიან მას ერთადერთს აეკრძალა ამ ტერიტორიაზე უვიზოდ გადაადგილება. აერძალა— მორჩა და გათავდა. ერთადერთს აეკრძალა. საკითხავია, რისთვის, რა ცოდვებისათვის. თუ ვინმექ რაიმე დანაშაული მიუძღვის, ამისათვის მთელი ხალხი ხომ არ უნდა დაისაჯოს. მე მეგონა, რომ დასჯის ასეთმა მეთოდებმა დიდი ხანია ჭირი მოგვჭამა. ჯერ კიდევ მეტვრამეტე საჟენის დამდეგს ხომ პეტრე პირველის საგანგებო ბრძანებით გააძევეს რესერიდან იმუტები.

სავიზო რეეიმბს შემოღების მიზები კი იყო კვლავ იგივე ნორმალური მეტობლობა ჩეხნეთითან, საბლურის თავისუფალი გადაკეთით, თუმცა, კასტა რომ თქვას, გარევეული რეტენბიენი ჩეხნებისადმი ვის ვის და, ქართველებს კი შეიძლებოდა ქეთინდათ. ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში რესერის სპეციალური საშახურები სრულიად აშეარად, დაუფრიავად ამბადებლენ ჩეხენ მოხალისების ქართველების მიერ „დამონებული საწყალი“ აფხაზების დასახმარებლად, და უტიფრად უწოდებლენ მათ ხან მოხალისების, და, რაც კიდევ უფრო უარესია, გოგჯერ მშვიდობისმყოფელებსაც. ისე, რა კარგი სანახავია მშვიდობისმყოფელი — თავით ფეხამდე შეიარაღებული მეტრუე. მშვიდობისმყოფელი, რომელიც მშად არის ბავშვებს კი გამოღადროს ყელი. ახლა მოხალისება არ იყითხავთ? რომელიც დაღად და ხალისიანად, სწრაფად გა-

მოჰკრავს ავტომატის ჩახმახს, და კონცენტრი ვინც უფრო სწრაფად იშამს ამას, რაც უფრო კეთილისმყოფელია.

ახლა რესებმა ხმამაღლა გამოაცხადეს ბასაცვი ჩეხნეთის მთავარ ტერორისტად, მაგრამ, როდესაც თავიდ ამბადებლენ მას ქართველებიან საბრძოლველად, მოხალისებს უწოდებლენ, გოგჯერ კი — მშვიდობისმყოფელსაც.

ახლა კი ეჭვი შემეპარა, სწორედ იმ დროიდან ხომ არ დაიწყო საყოფელთათ პროპაგანდა მთელი საქართველოს წინააღმდეგ. ვინ დაიჯერებს, რომ იმ დროისათვის აფხაზების შეეძლო საბრძოლველად გაეყვანა 10, ან ბეკრი-ბეკრი 15 ათასი კაცი, მას ხომ არა აქვს მეტი აღმიათა რესერსები. მე არავითარ შემთხვევაში არ ვხდი საჟენოდ აფხაზთა მამაცობასა და მეომრულ თვისებებს, მათ ეს არა-ერთხელ დაამტკიცებს. მაგრამ თეორიულადაც ხომ მნელი წარმოსადგენია, რომ 10-15 ათასმა თუნდაც გაშმავებულმა ლომბა სბლიოს 5 მილიონ, ვიწვათ, არხეინად მოქაფეებს, თუნდაც მათი სიმრავლის გამო. და არა მარტო სბლიოს, არამედ გამოყაროს 250 ათასი კაცი, ქალი, ბავშვი, მოხუცი, უახლესი ტიპის ტანკებისა და თვითმფრინავების გარეშე. კასტა რომ თქვას, ალბათ, არც ღირს, ეკვე არაერთხელ ნაიქვამისა და ეკვე დამკიცებულის გამეორება.

ყველასათვის კარგად არის ცნობილი, თუ სად იწერებოდა ეს სექნარები, რომლებიც იმდენად ერთგვაროვანია, რომ მათი ავტორების სტილისა და გემოვნების იდენტურობაში ვერავითარ ეჭვს ვერ შეიგანთ.

ნეთუ დღეს, ტექნიკის ახლანდელი დონის, დაგვერვისა და კონტრაბაზე-რვის შესაძლებლობათა დროს, ვი-



ნექს პუნია, რომ აღვილად შეიძლება მიიჩქმალოს, გასაიდუმლოვდეს რამე მოქმედება და ფაქტი? მთელმა მსოფლიომ შეიცყო, რომ ტარტკეს – ეს ეგზონეტომია, – გარნიზონიდან შეარჩიეს ჩეჩენია პილოტი დედაევი. სწრაფად გახადა რა ახალგაზრდა არცთუ ცედი პილოტი გვენერალი, მაშინდელმა თავდაცის მინისტრმა კრაჩიოვმა მთავრობა დაარწმუნა, გონიერი და მტკიცე ყმაწვილი ვიძოვე, რომელსაც მთელი ჩეჩენთი გაჰყვება და ნებისმიერი საკითხის მოვარება შევეცმლებათ. არადა, იქ ხომ ნავთობია, ფული ჩეჩენივით მოვდინება და ა.შ. დედაევს გამოიყოლეს შეიარაღება, რომელიც ერთი დივიზიონთვის იყო განკუთხებილი. არის შეიარაღება, არის ბევრი ტანკი და ბევრი იკითხმურინავი. ქვემები, ნაღმშაგიორინი, ავტომატი. დიახ, ყველაფერი არის. მაგრამ არ არის თავად დივიზია, როგორ უნდა მოქცეულიყონენ?

და, აა, რა მოქვეა ამას, გამოხდა ხანი და პატარა სოფელ ჩირია-იურტში დაიწყო რუსელი იარაღით გაცხოველებული ვაჭრობა. ყიდვა-გაყიდვა. დიახ, ფული მოედნიერდა, მაგრამ სამარელი ის იყო, რომ სწორედ ამ იარაღით – მამასადამე – რუსელი იარაღით – რუსსავე ყმაწვილეაცებს ხოცავდნენ. ეს არაერთგზის უჩვენებიათ ტელევიზიით. რამდენი კებო მაიღებ გამწარებულმა რუსმა დედებმა, დღესაც საიდუმლოა. ციფრები ხშირად იცვლება. სამხედროები, ჩვეულებისამებრ, ატყევებენ საინფორმაციო სამსახურებს, თავის მხრივ, ისინი ასევე ჩვეულებისამებრ, ატყევებენ მკითხველებსა და მსმენელებს. ამასობაში კი დედაევი მაჟიორტური კლანის მეთაურად გამოიცხადეს და საერთოდ გზიდან ჩამოიცილეს, პრორუ-

სელად განწყობილ ჩეჩენ დემოკრატიული გაევს დიდებანს ეძებდნენ. იყო საძლებელი განჩანიაშია. მისი მმა კი ახდებან ჩეჩენთში მოკლეს. ბასაევი? ნეტავ სად არის თავისი რაბმითურთ, შეიძლება მხოლოდ ვიმარჩიელოთ. ამაში არის ქართული მხარის დანაშაულიც.

და, თუ ეს „საიდუმლო“ ცნობილი გახდა მსახიობის და, მით უმეტეს, კომენტატორისათვის, მერწმუნეთ, მიუღლი ქვეყნისათვის არის ცნობილი.

დიდად პატიცერებულო ვლადიმერ ვლადიმერის ძევ, კველაფერი ეს თქვენამდე ხდებოდა, თქვენ კი გიწვევდათ სხვისი შეცდომების როგორდაც მიჩქმალება და გამოსწორება. თქვენ ხომ ჩინებულად მოგხესენებათ, რომ მთელ მსოფლიოში ქებულ და საკუთხოლ აღიარებულ ბერიას საბჭოურ დაბვერულის ბბარი გაუჩნდა და ახლა საიდუმლოებანი თვალსა და ხელს შეა მეღავნდება, ხალხის კუთვნილება ხდება.

რამდენჯერ გამოცხადდა, ჩეჩენიში სრული გამარჯვება მოვაპოვეთო. მორჩა! ომი დამთავრდაო. შემდეგ კი საძლებელი მაღლა მთებში ჯერ ტყვია გავარდებოდა, შემდეგ ამას ჭურვების ბათქი მოჰყვებოდა და ასე იყო ყოველთვის და ყველაფერი თავიდან იწყებოდა.

ნერე ვერა გრძნობთ, რომ თქვენი სამხედროები გატყეუბენ. ყოველგვარი ხრიკებით მაღავენ სიმართლეს. თავიანთ უნიჭიობასა და არაკომპეტენტურობას ყოველგვარი არაკებით ნიღბავენ და, სამწუხაოდ, ამით ლახავენ თქვენს ავტორიტეტს. მათ ვერ მოიგეს ვერც ერთი სამხედრო კამპანია ავღანეთიდან იჩქერიამდე და ამაყად დააბიჯებენ მხოლოდ ცისფერი ჩაფხუტებით კოსოვოსა თუ აფხაზეთში ისევ „მშვი-



დობისმყოფელის“ უსევდონიმით. აღარ არსებობს უძლეველი რუსული არმია, რომელმაც ეს სახელი და დოდება პიტლერელებთან უმძიმეს ბრძოლებში დაიმსახურა. რას იმამთ, შაშინ მწვრთნელი იყო სხვა. თუ შეიძლება მაპატიეთ, სპორტული ტერმინის გამოყენებასთვის – ეს ჩვეულებისამებრ წამომუდა.

და, აი, დაიწყეს ჩეჩნეთში თავიანთი წარმოუდგენელი ფასკოს მიზების ძებნა, – ამ 150-მილიონიან უბარმაბარ სახელმწიფოს თავის გერიგორიაბეგ ვერაფერი მოუხერხებია, ამ პარაწეინტელა ხალხისათვის. ჩეჩნები ქვეყნად ამ ომამდე მხოლოდ და მხოლო 700 ათასი იყო (ახლა რამდენია, არავინ იყის). და რაც უნდა არაადამიანური ყოფილიყო 1944 წელს ჩეჩნეთა სტალინური დეპორტაცია, დღევანდელი მასობრივი გაფლების ფონბე, ის უფრო ადამიანურად გამოიყერება. მაშინ ეს საშინელება იყო, ვიმეორებ – საშინელება! არ ხოცავდნენ. არადა, რადა არის დეთის მიერ ბოძებულ სიცოცხლებები უფრო ძვირფასი. 13 წლის შემდეგ ისინი სამშობლოს დაუბრუნდნენ და ახალი ცხოვრებით დაიწყება. მაგრამ ხომ ცოცხლოდნენ, უფრო სწორად ცოცხლები იყვნენ. ახლა იმასაც ვერ იტყვი, მათგან ვინ დარჩა ცოცხალი და ვინ არის მკედარი. მკედარია ტერორისტის დამდით. ჩვენც ვომოდით, მაგრამ ჩვენში არასოდეს არავის არ უწოდებია აფხაზებისათვის ტერორისტები. ისინი იყვნენ და არიან სეპარატისტები, მაგრამ არა ტერორისტები.

თქვენდამი ჩემი მიმართვის მთელი მომდევნო ნაწილი, საკუთრივ ჩემი არც იქნება. იგი მთლიანად რუსულია. ესენია ამონარიდები და ციტა-

ტები რუსული პებლიკაციებიდან. რაგომ ვაკეთებ ასე? უბრალო შიგბის გამო. რუსეთში ჩვეულებად იქნა ის, რომ არარად ჩააგდონ ქართველების მიერ საქართველოსთანვე დაქავშირებულ ობიექტები და მართალ საკითხებზე გაკეთებული განცხადებია. ისინი ყველა ნაციონალისტები არიან და არ ლირს კაცმა მათ უსმინო ან თუნდაც ყური ათხოვო. არ გეკამათებით ამის თაობაზე, მხოლოდ მსურს აღვნიშნო, რომ ქართველი ნაციონალისმის ველიკორუსეული შოვინიზმის ფრჩხილადაც არ ლირს. და ეს უკანასკნელი პასაკი ჩემი არ გვგონით, იგი რუს კაცს – ვლადიმერ ულიანოვს ეკეთენის.

მაშ, ასე, პანკისი, პანკისის ხეობა. თეალწარმეტეც ადგილია, რომლისთვისაც არაერთიგზის შეუხსამი ხოტბა ქართველ მწერლებს და, უწინარეს ყოვლისა, კონსტანტინე გამსახურდიას. იგი დიდი არ არის, სულ რამდენიმე კილომეტრია, თუმცა ხშირად გადაქცეულა სამშობლოს დაცვისათვის თავდადებული ბრძოლების ველად. პოდა, სამხედრო ასპარეზე სახელგათხებილმა რუსმა გენერლებმა სწორედ აქ იძოვეს თავიანთი სამარტევინო წარუმაგებელობის მიზები. აი, თუ რმე საიდან შემოდიან ტერორისტები თუ ყველა ჯურის ბანდიტერი ფრთირებები ჩეჩნეთში და ამდერევენ იქწალს.

მოდით, ყველაფერში თანამიმდევრულად გავერკვეთ. დავითიწყოთ დროებით რუსული მხედრიონის მიგანმიმართული და მეთოდური პროპაგანდა – ვიყით გულმოწყალები – აბა, სხვა რადა გჩა დარჩენიათ. სხვა რა უნდა იღონოს მათ ამ გაუთავებული მარცხისა თუ ისეთი კომიკური შემთხვევების ფონზე, როცა ბლოკ-სა-



გუმბათოები ჩენწეთის ქალაქებში, პორტაპირ ქალაქის ქუჩებში ხსნიდნენ ცეცხლს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა გამო.

აქ რესა ფერნალისტი დაასკვნის – ეს უკვე ქლინიკაა, სამკურნალო ხალხიათ. ჰოლდ, მათიფისაც უკეთესი იქნება იმკურნალონ და არა სპეციალისტია განახორციელონ.

დავეხსნათ ქეჩის ბრძოლების „გმირებს“. დაე, იმკურნალონ, და ფრთხილად მივუახლოვდეთ რესეფტსაქართველოს საბლვარს ჩენწეთის მონაკვეთზე. ფრთხილად იმიტომ, რომ გაგვაფრთხილებ, თანაც ვინ – რესეფტის თავდაცეს მინისტრმა სერგეი ივანიუშა ამ ცოტა ხნის წინათ ამხანაგებთან ურენბერთის თამაშის ღროს მძიმედ რომ დაიტრად და ყავარჯხით რომ დადიოდა. ჰოლდ, სწორედ მან განაცხადა, რომ რესეპტი პრევენციულ დარტყმას მიაყენებენ ქართველებს საბლვრიდან 10-15 კლომეტრშით. მერე, იგეხე თავი, თუ რამდენი კილომეტრი იყო დარტყმის გარენილი საბლვრისათვის თანაც, არც იმაში ვარ დარტყმენებული. რომ ბატონი მინისტრი ულობდეს ურანგულ ენს ან ლათინურს. ამ სიტყვას ხომ თრი განმარტება აქვს: პირველი ნიშნავს გამაფრთხილებელს – პრევენციულს, მეორე კი – ო, ლა ლა – როგორც ჩერჩილი იგყოდა. მეორე მნაშენელობა – ასევე პრევენციული დასწრებაა, დაგასწრებენ, უბრალოდ ისე, თუ პრევენციული, სულ ერთია – სიკვდილია. არადა, ადამიანებს უყვართ სიცოცხლე, რას ამამ...

მაშ, ასე, მივეღით საბლვართან. საყველთაოდ ცნობილია, რომ საბლვარი ადამის ღროიდანაც კი, არის ბოლო სახელმწიფოუნიველობის შორის, რომელსაც თრივე მხარე იცავს. სწორედ

ამ ბოლის ნებისმიერი დარტყმენებული თვის პასუხისმგებლობა ორივე მხარეს თანაბრად ეკისრებოდა და ეკისრება. ეს ასეა. ასე იყო, ასე არის და ასე იქნება კიდეც. ყველა ხევა შემთხვევაში საბლვარი როგორც ასეთი კარგავს აჩრს და უბრალო მდელოდ, დელედ ან კიდევ რამე ხევად გადაიქცევა, მაგრამ უკვე ეს საბლვარი აღარ არის. მაშ, ამ საბლვარზე ნებისმიერი მოძრაობისათვის, იქიდან აქეთ იქნება, თუ აქედან – იქით, რატომ ეკისრება პასუხისმგებლობა მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მხარეს. უფრო სწორედ, კი არ ეკისრება, არამედ თქვენ გსურთ, რომ ეკისრებოდებს. ეს, მეტი რომ არა ვთქვათ, უსამართლობაა. ახლა მასობრივი ინფორმაციის ყველა საშეალება მიზანმიმართულად შემაობს იმისათვის, რომ დაამტკიცოს: ქართველები პანკისიდან დენან და ერეკებიან ტერორისტებს. ღმერთი აღარ ვწამო, ვლადამტკიც ვლადამტკიც ძეგ! საით ვერეკებით? საკუთარ სახლებში? ისინი ხომ რესეფტის მოქალაქეები არიან, თავის სახლში ბრუნებიან. აი, ვინმემ თუ ოდესებ ვამორჩევა ისინი, ეს რესა სამხედროები იყენებს. დაახ, უკვე რამდენიმე წელი ერეკებიან. მოუხვით აქედან, ჯანდაბამდე გზა გქონიათ. ჰოლდ, გამოღევნებს, ვერც კი შეძლებს. თუნდაც ოყიფიალურ საბლვართან, მთებით ვარშემორჩეყმული ტერორისტების ჩახოცეა არ შეეძლოთ? შეეძლოთ, რა თქმა უნდა, მაგრამ, ვერ შეძლებს. მათმა წინაპარმა დიდმა სუვოროვმა კი, ალპებზე გადაიყვნა მთელი რესოთა არმია და ვერდიდან არ მოუშორებია დიდი მთივლი – ბაგრაგიონი.

მაშ, ასე, საქართველოა ყველაფურში დამნაშავე. იქედან აქეთ მოდიან



ტერორისტები – დამნაშავენა ჩვენ ვართ, რაღაც შემოვეშვით ისინი, განა რესები იქ არ იყვნენ, თუ – იყვნენ და ეძინათ. ცხადია, ამაშიც ქართველებს ასევე მიუძღვით ბრალი – რატომ არ გავაღვიძეთ მძინარე ბიჭები. ახლა დაიწყო მოძრაობა საწინააღმდეგო მიმართულებით – აქედან იქით – და კვლავ ქართველები არიან დამნაშავენა.

რას მოითხოვთ ჩვენგან. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თათქოს ეს კონფლიქტი შეკვეთილია, რაღაც ან აღმართება აღმოგიკურია იგი. თითქოს იგი ვინგებს წინასწარ დაევავგმოს, მოერგოს მისთვის სიტუაცია. განა მარტო პანკისის ხეობამ მისცა თავმესაფარი ტერორისტებს? თქვენ თვითონაც ჩინებულად იცით, რომ არა არის სხვა ბანაკები და ბაბებიც, მღვიმებიც. თავად ჩეჩნეთში, მთიან რაიონებში, რომლებიც მიუღწეველია უკერვილო ჯარებისათვის. მთისწანეთშიც უამრავი ბორევია, რომლებიც ყოველდღე, უფრო სწორად, ყოველდღიურად თავს შეახსენებენ ხოლმე.

რაკი სამხედროებმა არ იციან, როგორ გაართვან თავი თავიანთ ამოცანებს ჩეჩნეთში თუ სხვა რომელმე ადგილას, ცდილობენ დანაშაული სხვას გადააბრალონ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ შემთხვევაში ყველაზე შესაფერისი ქართველები და შეკარდნაა არიან. ჩეჩნეთი ხომ ავიკელით, მოდიოთ, საქართველოს მიერხოთ... ტერორისტებს, რა თქმა უნდა, ხელში ვერ ჩავიგდებოთ, ისინი, რასაკვირველია, გაგვეცლებიან. ჩეჩნეთში ან დაღესგანში გადავლენ. აღბათ, უკვე წავიდნენ კიდევ. ჩვენ კი კვლავ გვამინებენ, ვევმუქრებაან... და, აი, ახლა მოილიანად მოვიყენ

შეუცვლელად და შეუმცირებლად საზოგადოებრივი გამტკიციანი საზოგადოებრივი გამოცემის გამტკიციანი

„როცა ჩვენი შმართველები პანკისის ხეობაზე ლაპარაკობენ, ისინი, როგორც ეტყობა, ფიქრობენ, რომ მათ ჰყავთ ახეთი სპეციალური, ახეთი შესანიშნავი ჯარები, აი, როგორც კინოში იღეალური ჯარისკაცები არიან ხოლმე. არადა, სინამდვილეში სწორედ ის ჯარები ვვყავს, რომლებსაც ამას წინაი დაედგი მოენაგრათ“ და მინისკენ მოესვეს. მანამდე კი, როგორც თვითონ გუნერალმა ტრიშინმა განმარტა. ისინი არყით გაიღეშნენ, წყვილები როი ჯავშანმანქანა გაიგაცეს და მათ აღმაღალმა დააქროლებდნენ დასახლებულ ჟანქტში. აი, ახეთი ჯარები ვვყავს ჩვენ... ვვყავს მოკონტრაქტიე – კონტრასტებიც, როგორც მათ არმიულები უწოდებენ – გალოთებული, უმაქისი ბეღოვლათები, რომელთაგან კარგი იქნება, თუ მესამედი მაინც მიაღწევს სამსახურის აღვილამდე, დანარჩენები გაბაში იფანტებიან. ისინი უფრო ლოთობასა და მართლითობაზე არიან დასპეციალებული. აი, ეს არის ჩვენი შესანიშნავი ჯარები. ამ შხრივ მათ კარგად გამოიჩინეს თავი ჩეჩნეთში, ასე რომ, მათი მიღრეულებანი არავისათვის არ არის საიდუმლო, მათ შორის ქართველებისთვისაც...“

და, ბოლოს...

„მათ თუ უკვე მრავალი წლის მანძილზე ჩეჩნეთში ვერ დაამყარეს წესრიგი, რაგომ უნდა დავიჯეროთ, რომ ამას სხვა აღვილას მოახერხებენ? მაგალითად, საქართველოში.

იარაღის მემკეობით, როცა შშვილიანი მოსახლეობას დახოცავენ, არაფრად არ ჩააგდებენ თავიანთი ახალგამრდების სიცოცხლესაც, რო-



მელთაგან თუმცა ცოტა თუ ბევრი, მაგრამ მაინც ხომ დაიღეპებიან”.

ვლადიმერ ვლადიმერის ძევ, ნუ მიწყენთ. ჩემს წერილში არავითარი პოლიტიკა არ არის. არც ის მიხდა. რომ თავი შეგაცოლოთ. იმდენად შეკვიეთ თფიციალურ მიმართვებს, პროტოკოლურ ქაბას, პირწმინდა ფარისებრობას. რაც სახებით ბენებრივია სამყაროში, რომელშიც ჩვენ ცხოვრობთ. დაგავიწყდათ, რომ ქვეყნად არიან უბრალო ადამიანები. რომელიც სიციუხლეს სწირავენ არა უამრო ომისათვის, არამედ ხალხის უსაბღვრო მსახურებისათვის. რომელიცაც მიაჩნიათ, რომ კელტურა. მისი პროგრესი კაცობრიობის განვითარების ქვაეთხედია. რომ ადამიანის აღმრღველობა და ინტელიგენტურია საბორგალოების ცხოვრების საჭყადველია.

რა აღმრღველასა და ინტელიგენტურობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა იქვენი თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი, ტელევიზიით გამოსხვლისას მოედა საბორგალოებრიობის წინაშე ხმამაღლა რეკენტოლა მოედ საქართველოსა და ქართველებს, ხატოში კი არა, თუნდაც სექსუალურ რეგანიაზეციებსა და ლიგებში შეხასვლელად! თუმცა ჩვენ თანამედროვე ომისათვის ძალაზნ ცოგანი ვართ, მაგრამ უნდა იქოდეს – რომ სწორედ იმ წესს, სამშა მიღლონმა ქართველობა მაგრად შეკერითხა და იყოთონ გააგზავნა იქ, სადაც ჩვენ გვიპირებდა გაგზავნას. არ ვიცი, რა მოხდა შემდეგ მაგრამ ხომ შეგვძლოთ გავეკიცხათ გათავსებულებული მიხისტრი...

ჩვენთვის, მსახიობებისათვის მთავარია არა ის, თუ რას ამბობს ქა თუ ის კაცი, არამედ ის, თუ რო-

გორ ამბობს. როგორ და არ ჰქონდა აი, პირეველი ასოები „ვრ“-ც კი არ ჟიქვამს, მთლიანად სიტყვა „გრუმინ“ არ წარმოუთქვამს, რომ მას სახე ეღრიცხვა, თვალები ბორიტად უელაქს, ქრება მისი ფანჯარონული ყელყელობა, გაიხსენეთ, როგორ ჩამორბის იგი თვითმურინავის ტრაპიდან, და დვარძლება და მრისხანებას აურქევეს.

კარგით, სერგეი ივანოვი იქით იყოს, აი, იყორს, ასევე ივანოვეს – საგარეო საქმეთა მინისტრს მინდა ვუთხრა, რა მოგვივიდა, ჩვენებურო. შენ ხომ ცხრა თვე ქართველი ქალი გატარებდა მუცლით. კახეთის იმ სოფელ ახმეტაში დაიბადე, რომელიც, სხვათა შორის, სულ რამდენიმე კოლომეტით არის დამორჩეული იმ ყბადალებულ პანკისის ხეობას. იქ ცხოვრობს საღირაშვილების, დედაშენის – ელიკ საღირაშვილის საგვარეულო, იქ გაიბარდე და ახლაც შესანიშნავად მდერი ხოლმე სუფრულ თუშერ სიმღერებს. და შენც, შენი მოგვარესავით ემზადები, ევრეთ წოდებული, პრევენციული დარტყმების მოხაყუნებლად? შენ სამშობლოს, იმ შენ სოფელს უნდა დაუშინო, საიდანაც პანკისი ერთი ხელის დადებაზე, შენ მაინც ხომ იყი, რომ იქ ჩეჩენთა მონათვებავე ტომი – ქისტები ცხოვრობენ.

იქ მრავალი სოფელია გაერთიანებული საერთო ტომის დასახლებით – ვაინახები. რათ ემბადებოდით სერგეისთან ერთად გებრიძანებინათ – ცეცხლის გახსნა! არ ვიცი, რას იტყოდა ამის თაობაზე თქვენი სიძე – ვალერიან ფანჩელიძე, იქნებ, თქვენ ჩააგონეთ კიდეც მას შეეცვალა ქართველი გვარი რომელიმე რუსული გვარით...



მაგრამ, როგორც ხედავთ, უკურად ჩატრია ამ ბოლო დღეებში პროპაგანდისტებისა და სამხედროთა გამოსვლებში ძველი რიხიანი განცხადებები და ხმარიანი „ჟიკჟია“. „ეჭყარი ფაქტები, უტყუარი ფაქტები!“ ერთავად გაიძახოდა თქვენი თავდაცვის მინისტრი ამაყად თავაწეული და, უცდ, სადღარ დაიკარგა მისი ეს ქედმაღლობა. დაღუმდა საოცარი სიმღრებით პანგები – როგორც ლერმონტოვი იტყოდა. დასრულდა ამერიკაში, პრეზიდენტ ბუშთან, ივანოვების ვიზიტი, 24 სექტემბერს სტრაბურგში გაიმართა ეკროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა. და გაირკვა, რომ სერვეი ივანოვის „ეჭყარი ფაქტები“ თურმე არცთუ ისე ეჭყარი ყოფილან. იგი ძალგებ იოლად გააბათილება, ისე, რომ თვალი არც დაუხამაძებიათ.

ხოლო ივანოვების პრეზიდენტ ბუშთან „წარმატებული“ ვიზიტის შემდეგ – როგორც ამას წერდნენ და იუწყებოლენენ მოსკოვში, საქართველოს პრეზიდენტმა შევარდნაძემ მიიღო ორი წერილი, აი, აქ მაქეს ისინი. ეს წერილები ერთი კვირის ინგერვალითად მიღებული სამწებაროა, რომ თქვენში საქართველოსა და საქართველოს პრეზიდენტზე მხოლოდ ცედს თუ ამბობენ, როგორც ჩანს, იშველიერებენ ადოლფ ჰიტლერის გამოხატვებას – რაც უფრო დაუჯერებელია ტყუილი, მით უფრო მეტს სჯერა მისი. სწორებ ამ საკითხებზე მოსკოვის პრეზესა წერს: „ნებისმიერი სისულელე, თუ მას ყოველდღიურად გაიმუორებ რამდენიმე წლის ან თუნდაც, რამდენიმე თვის განმავლობაში, ადამიანებზე მავიურ გემოქმედებას ახდებს“. თანამომდევრული და შეუპოვარი პროპაგანდის წყალობით საქართველო რუ-

სებს ამჟამად ესახებათ ყველა უძრავი დენების სათავეები, კოჯორისტების მიერთებულად, ტერორისტების მფარველად, რომლებიც ყოველდღი, ყოველ საათს არღვევენ სამღვდელს, თანაც ამტკიცებენ, რომ საქართველო სახელმწიფო კი არა, ეპრეტ წოლებული, ეპატონი მიწაწყალია და თუ არა „შევარდნაძის რეჟიმი“. მას სხვა სიტყვებით არცია მოიხსენიებენ. ეს ძალგებ მოვაგონებს რეჟიმში ცარიბების დროს. საქართველო აღარ არსებობდა, ჩვენ აღარ ვკონდა არც სამღვდელი, არც რუკა, არც სახელი, იყო მხოლოდ ორი გუბერნია რეჟიმის უკიდურეს სამხრეთში – ინილისხმა და ქუთაისის გუბერნიაში. თანაც, ყოველივე ამას ისიც დაემატა, რომ 1811 წელს ქართულ ეკლესიას აგზოებულია გაუკემეს და საქართველოს პატრიარქის ნაცვლად სულიერ ტახტზე რეხი ეგგარქოს დაჯდა. თუმცა, მოლით, ნე ვადაეუხვევთ. ძალგებ არ მესამოვნა, როცა სტრაბურგში არც „51-ე პარაგრაფისა თუ პუნქტის“ თაობაზე გაკეთებული თქვენი განცხადება და არც ის გამონაიქვამი მიიჩნიებ ლოგიკურად, რომ მოსამდვრე სახელმწიფობაში თავდაცვისა და თავდაცვითი საშუალებების შერჩევა სულაც არ ნიშნავს აშეარი აგრძესას სუვერენიტელი. ესე იგი დამოუკიდებული ქვეყნის წინააღმდეგ.

მე კარგად მახსოვებ ის ღლე, ღღე, როცა თქვენ გააკეთეთ განცხადება. რაღაც დაბნეულად გამოიყერებოდით, რაც, კაცმა რომ თქას, უჩვეულოა თქვენივის, აქეთ-აქით იხვდებოდით. მარცხნივ თითქოს ვიღდებამ რაღაც ჩაილაპარაკა, თქვენ მიიხედეთ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მარტო არ იყავით. კა-



დრში, რა თქმა უნდა. მარტო იყავით, მაგრამ თქვენს გვერდით ვიდაც იყო და იგი რაღაცაში ან რაღაცით თუ არ გაშლიდათ ხელს, გაღიბიანებდათ მაინტ.

თუმცა, ყოველივე ეს, ჩემი სუბიექტური მთაბეჭდილებაა და იგი შეიძლება არ გაიმიაროთ.

მაგრამ, აი, რაში მე და ყველა სხვა, ყოველ შემთხვევაში, „ემრავლუსობა მაინც, არ ვედგით. ეს არის ის, რომ მოსკოვში, „დემაში“ იქაურ ბრძენებაში მორის გამოწნდა უმაღლესი კლასის კლოუნი. პირდაპირ ძლივს ვიკავებ თაჭი, რომ ათასობით კილომეტრზე, გერმანიაში არ შევუძის რღვევა პოროვს, რეს მშიურ კლოუნს: „ქედი მოიხადე, რღვე! მოსკოვში შენებ უკითხის ტაქიმასხარა გამოწნდა. ყოველ შემთხვევაში, იგი ხალხს შეწიებ მეტად აცინებს. ჩინებულად იყი, თუ როგორ უკარი მოსკოვში კლოუნები და იგიც წამოასკუპეს „დემაში“, ცოტა დააკლდათ და თაგმულიმარებაც აირჩევდნენ“. ეს არის ერთიანობა, დედით რესი, მამამისბეგი კი ვერაფერს ვიტყვი. რადგან კითხვას, თუ რა ერთგულისაა მისი მამა, ერთიანობები ჰპასეხა: მამა იურისტია. პოდა, ამით ყველაფერია ნათქვამი. მას უკვე რამდენჯერმე განუცხადებია: — რას ვეღოლიავგნით ამდენს ქართველებს, შევიდეთ პირდაპირ თბილისში... და იქვე იმასხრა კიდევ — ხემრობა მისი პობია — თბილისის „დინამიც“ უკეთ ათამაშდებათ. გმაღლობით, ვლადიმერ ვოლფოვის. თუ იურისტოვის, პირდაპირ არ ვისი როგორ მოგმარითოთ. რომ არ დაგვიწყებით ჩვენი ფეხბურთი. თქვენ ისიც დაგვირდით, რომ, აი, ხახეთ, როგორ გაირევხავენ ჩემებს რესი „საღდათები“ ინდოეთის ოკა-

ნები. გელით, როდის მოხცვალე არივედერნი ვოლფოვის! სისამართვის

ახლა, ყველაზე მთავარობები, ბატონონ პრეზიდენტო, გემუდარებით, მოწყალე იყოთ. მამად შეგვევრებით და ამიტომ ვაძლევ თავს ნებას ჭკეა კი არ დაგარიგოთ, არამედ უბრალოდ გითხრათ, გიჩითოთ: ნუ დაუკერებთ თქვენს ცედ ინფორმაცორებს, განსაკუთრებით სამხედროებს — ისინი მხოლოდ თავიანთ თავებზე ბრუნავენ, ითრევენ ხალხს გაბოროლებისა და შერისძიების მორვეში. ჩამოაშორეთ მასმედიას შეკვეთილი პროპაგანდისტები, ადამიანები, რომლებიც ცდილობენ თავი მოგაწონონ დაქციათ და ასეთი ღობეუნით არიან შეიარაღებული — ჩემს შემდეგ ქვა-ქვაზეც ნუ დარჩენილათ. ისინი რყვნიან ხალხს, უნერგავენ სულში შერისძიებასა და ბოროტებას. მაღალმა ღმერთიმა ანათემას გადასცა და შემდეგ წარლენის მორვეს მისცა მის მიერვე მის ხატად შექმნილი ფარისეველი და სადეკუველი და ყოველი უწმინდეული.

იმის გაფიქრებისაც კი მეშინია, რომ რესების თუნდაც მცირე ნაწილი, დავუშვათ, ერთი მესამედი, დაახლოებით 50 მილიონი კაცი, რომლებიც ამ რეაწლიანი საინფორმაციო წესის ქვეშ იმყოფებიან, მოექცა ბეჭედეთის მოციქული აგიტატორების გავლენის ქვეშ... არ ვიცი, რა იქნება და როგორ იქნება. სიკეთე ყოველთვის ვერ სძლებეს ბოროტებას.

მე არ ვცდილობ დავიცა ქართველები და საქართველო. ჩვენი მხრიდანაც იყო დაშეებული სერიოზული შეცდომები. თანაც, არაერთხელ და ჯოეტად. მაგრამ თქვენ ხომ უკვე დაგვაყენეთ კუთხეში, როგორც სკოლის ცელქი მოსწავლეები. ისე გველაპარაკებაან, თითქოს კოლონია ვიყოთ.



ჭეუით იყავით, თორემ არც გაშს მოგვემთ და არც ელექტროენერგიას. როგორც კი საფრთხე შეგვექმნებათ, მაშინვე გასწავლით ჭეუას.

ჩვენ გვადანაშაულებენ ყველაფერში. ჩვენ ვართ თურქე თვითცალური პეტრისტები — ყველას თვალზინ გადაეღებეთ ჩვენივე თვითმფრინავები ისე, რომ რესული პეტრინებოდათ — ეს რა, აფიორა არ არის? თუმსა, შშვენივრად იცოდით, რომ თვითმფრინავები ჩვენ საერთოდ არ გაგვაჩნია.

შემდეგ ჩვენ, სისხლისმსელები ყოფილებართ — ვომბაავი და ვანადგურებთ საკუთარ ხალხს, ჩვენ ლვიძლ მქენსა და დებს. თუმცა ისიც იცით, რომ არავითარი ბომბები არა გვაქეს. აბა, რა აბრო უნდა შეექმნას ნებისმიერ რესს, ვთქვათ, რესერის ვრცელი ელ-მინდვრების მხენველ-მთხელელს, ან ქიმიის მასწავლებელს ქამჩატკიდან. განა ადვილი იქნება მან გონქიდან და გულიდან ამოძირებოს ქართველთა სიძულვილი. თქვენი აბრით, როგორ უნდა შიიღოს ყოველივე ეს ნებისმიერმა ქართველმა — გლეხი იქნება თუ აკადემიკოსი.

აი, რა დვივდება.

7 ოქტომბერს თქვენ უნდა შეხვდეთ საქართველოს პრეზიდენტს, რომლის შესახებაც გუშინ მოსკოვმა გადასცა კიდევ ერთი სიძულვილით აღსავს ფილმი. და ეს ხდება თქვენი შეხვედრის წინ. მიზანი ერთია — არ დაუშვათ არანაირი დათმობა — როგორც ქირინოვსკი იღყვის „რას ველოლიავებით“. მივასიქვიდილოთ და გავათავოთ ამით. ჩვენ ხომ ძლიერები ვართ. მაგრამ ფილმი იმდენად უნიჭო, უგემოვნო და უზნეო იყო, რომ, ალბათ, ვერანაირ კრიტიკას ვერ გაუძლებს. ნუუკ, არავინ არ იყო იქ იმდენად ნორმალური, რომ ეკრა-

ნებე არ გაეშვა ეს აბდა-უბდა. რომელიც დამატებითი სამსახური გაუწია თვით საქართველოს პრეზიდენტს. უნიჭობა ვერასდროს ვერ იქნება რაიმე კარგი საქმის შემწევე. შევარღნაძე ჰყავს ძლიერი თომიზიუმია, ეს ყველამ იცის. თუმცა ივი ყველას ჰყავს: ბეჭედაც, შირაკსაც, სადამ პეტეინსაც, კუჩმასაც, ესპანეთის ინფანტებაც და გერმანიის კანცლერსაც და თქვენ, ბოლოს და ბოლოს. აბა, სხვაგარად როგორ იქნება. მაგრამ, გარეშე კონსელტანტები ჩვენ არ ვკირდება. ჩვენ თვითონ გავართმევთ თავს საკუთარ პრობლემებს.

დალექით ყველა პოლიტიკერ ინტრიგაბე, აყვაბეგებულ აბრებზე, გეოპოლიტიკურ პრობლემებზე მაღლა, თორემ ხალხმა შეიძლება ირწმუნოს. რომ მიბეგი ხანამდევილები ჩეჩენისა და ტერორისტებისა კი არა, ბაქო-თბილისა-ჯეიპანის ნავთობსადენში, ჩეჩენითის ხავთობში უნდა ეძღოოს და ყოველივე ამას თითქოს წარმართავენ არა სახელმწიფოთა მეთაურები, არამედ ლიიგარენი მიღიარდებოდი.

გვმედარებით, ბაქოსთ პრეზიდენტო, მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ გარწყვითოთ ეს გორდიას კვანძი. ბოლოს და ბოლოს, თქვენ ხომ არა მარტო სამოქალაქო პრეზიდენტი, არამედ რესერტის არმიის უმაღლესი მთავარსახარდალიცა ხარით.

აიღეთ ხელმი ძალაუფლება, ბოლოს და ბოლოს, თქვენ ხომ სახელმწიფო უმიშროების თვითცერი ხარით.

ქართველები ყოველთვის ფიქრობნებს და ახლაც ასე ფიქრობენ: ჩვენ კარის მეტობლის კი არ უნდა ვკეშინოდეს, პატივს უნდა ვცემდეთ.

ეს პატივი დიდმა რესერტიმა დაიმსახურა.



# სპეციალური

ხათუნა წერაძე

## მოცოდინირან მოცოდინამე

ჩეხთაველის თეატრის ჩეკონ-  
სტექუიას ხობეჩ სცენა ბერ-  
ცის ჩეკონსტექუით იწყებს

გოდო, გოდე თუ გოდენი, პოცო  
თუ ბოცო, რორო თუ ადამი, დიდი  
თუ ალბერტი, ლაქია თუ ბატონი,  
ბიჭი თუ გოგო. რობერტ სტურუა  
კველაფერს ეჭვეჭეშ აყენებს. გა-  
ნხრას ურევს და ამ განხრახვაშე  
თვითონეუ მოსთქვაშს. რა ვქნა,  
თუკი სამყარო ასეა მოწყობილი. რა  
ჩემი ბრალია, თუკი ქაოსი ის  
ერთადერთი კანონზომიერებაა, რო-  
მელსაც ვერცერთი უმაცრესი კა-  
ნონი ვერ შეცვლის, თუნდაც თუ-  
ატრალური. მინდა და კთამაშო.  
ვის აქვს უფლება დამიშალოს ქმე-  
დება, რომელსაც არავისთვის პრა-  
ქტიული ზანი არ მოაქვს. მო-  
რალი კი დიდი ხანია დაივიწყა კა-  
ცობრიობამ. ან ხაერთოდ თუ არსე-  
ბოდა?

ორი შეშლილი რაღაცას ელო-

დება. ბეკეტისთვის ეს რაზე და რაზე გამოიყენება თოწივერა ღმერთია. სტურუასთვის კი ადამიანებად წოდებული თავად ეს ორი შეშლილია ღმერთი. ოღონდ არა თეოტრივერა, უხილავო, არამედ ადამიანად შობილი. როცა გაქვს სურეილი ჩამოყონილმა და ფეხშიშველმა იარო. რათა სხვათა ტკივილი ფეხისგულების გავლით გულში გილიდეს, როცა გინდა და-  
აგდო შენი სქელლანჩიანი ფეხსა-  
ცმელები და მაცხოვრის გზით იარო. ღმერთი შეწმია. რაღაცან გუ-  
ლწრფელ დაძახილშე ის მოდის და აღარ გტოვებს. არ გდალატობს. ამიტომაც ხედავენ დიდი (ლევან ბე-  
რივაშვილი) და რორო (ზაჩა პატუ-  
აშვილი) ერთმანეთში იმ რაღაცას. რომელსაც სახელსაც ვერ არქმე-  
ვენ. მხოლოდ მეშვიდე გრძნობაში აღიქმებენ და ვერ ტოვებენ ერთმა-  
ნეთს, ვერც სხვაგან მიღიან. მოლო-  
დინი. რომელსაც პირობითად გოდო  
დაარქვეს, იმ ჭაობივით უძრავია და იმ ტირიფად წოდებული ხესავით უნაყოფო, რომელთა გარემოცვაშიც ისინი იმყოფებიან. აბურდული მო-  
ლოდინი. რომელშეც სახრჩობელას ფულფი და საქანელა სასწორის პი-  
ნებივით პკიდია.

თოკი. რომლის ერთ ბოლოშიც გოგა გველესიანის ლაქი-ლაქიაა, მეორე ბოლოში კი ამირან ამირანა-  
შეილის პოცო-მბრძანებელი, სუ-  
ლაც არ არის სახრჩობელას თოკი. სტურუამ მასზე სარეცხი ჩამოჰკიდა  
და მიგვანიშნა: ეს ის ყოველდღი-  
ური ცხოვრებაა, რომელშედაც ყვე-  
ლანი მიბმულნი ვართ. უბრალოდ,

ერთი შედარებით მსუბუქად მიუყვება ამ გზას. მეორე ტვირთასხმული, უსარგებლო ქვიშით დამძიმებული. შენი ნებაა, დადებ ამ ტვირთს და თავისუფლად ამოისუნთქავ, თუ ნება-კიფლობით დაიტანჯები. ამირამ ამირანაშვილის პოცო თავისი ტირანული მომხიბელელობით ანდამატივით იზიდავს გოგა გველესიანის უსხეულო და უსულო მექანიზმს. იგი წინასწარაა დაპროგრამებული და რომელ განყოფილებასაც უპრანებ, იმას აამუშავებს: სასიმღერო, საცეკვაო, სააჩროვნო... შესაძლებლობები მრავალმხრივია. შხოლოდ ფარული აგრესია უცვლელი, შორიდან – საბრალო, ახლოდან – სასტიკი. გერჩის და თავის მოქმედებაზე პასუხს არ ავებს, რადგან სათამაშოა, მექანიკური სათამაშო, რომელსაც სული ამოაცალეს და ქვიშით დაძებილი ჩემოდანი შეატენეს ხელში. რომ არა ეს სიმძიმე, მისი უწონო სხეული მიწაზე, ალბათ, კერც გაჩერდებოდა. გოგა გველესიანის ლაქი საპატიო ბუმტივითაა, რომელიც პოცოსა ყავს გამობმული თოვით. იგი ებრალებათ და ისჯებიან ამ სიბრალულისთვის. შეუბრალებელი პოცოს წიხლების ქვეშ ლაქი ღიმილით გვიყრავს ჯერ ერთ, მერე მეორე თვალს: თქვენ რა, მართლა სათამაშო გეგონეთ? ან პოცო მარტო ჩემი მბრძანებელა? ცხოვრება ყველას გთელავთ და



**რორო – ზაზა პაპუაშვილი  
დიდი – ლევან ბერიძეაშვილი**

რაც ნაკლებად მერძნობიარენი იქნებით, მით უფრო გადარჩებით. თუნდაც მექანიკურად, მაგრამ მაინც გადარჩებით. ჩზროვნებით კი. აი. როგორ კაზროვნებ: და მის ღაღადისხე მასავით მექანიკური ხე ტოტებს ჩამოყრის. პოცო კი ყურებს იხშობს და ყვირის: ქუდი მოსხინით! ნაპოლეონის ქუდში კოდირებულ მის ჩზრებს მიწაზე ანარცხებს და ფეხით თელავს. არ არის საჭირო ამდენი სიბრძნე. რაც ნაკლებად იაზროვნებ, მით მეტად აიტან ცხოვრების ტვირთს.

„ჯვარს ეცეი თუ გინდა, მაინც



Կռնչորո օյրոցլուցու Տօնակիցանական  
մրայլցըն.

Տցենուս մթվերո կոյանոնցուա. յշտեյլ ու Շեօսրուէ. մոլանձյ-  
ծեքս բազա գամուղցու և Նախա პա-  
շուամցուուսա և լլցան եղրոցամցու-  
ուուս և եղանց լամու և դանցրու և  
գամացրուցեցու ապլուցումենցիւուա  
և եթցենու. մարտալու, ծրացու յուցելուցու ծրացու առ մուսցու. Շյ-  
ուուցեց ջուրտենու մոցանցու Շյ-  
ծլուց և լլայց կայրուցեցու առ դա-  
ումշուռու. մացրամ տյագրու տյագրուա.  
Կորցու ուրոցու և մթվերո ւցենու ցարու և ենց անցու և յուրու.

Ռուցերու և կուրուա և յերսոնայցու. ոյնցեա յե մյելեանու, շուցու ու ու-  
ծեցելու և յարու. և ամուրա-  
ունու, յշելուցուացու ու մեթցու-  
լցու ցանսայուրուցեցու մանցրա այցու  
ամուրու. մալուան ուրու յու ռուռուա  
և դուցուու դարիցեա և ցարուից.

Եյագրու, Եյագրո! Առա, Կորցու. յաձարյա. Առա, Կորցու! - այսենցուն կյուտեմցու և ացացու և սակերցմուս-  
թուլ կյամցեց համոմիսեցարու ռուռո  
և դուցու մայուրուցու ուցալուու  
այսեցեց Ֆուռուա և լլայու ու տա-  
մամե. Ուրուատու մուսանցունու, ծրուուն  
ուցելու և ացալու. Առա Սմազ. ապլուցումենցիւու  
մանցու յրցու. Ֆուռուա և ամուրու.  
Ֆուռու և լլայու ու տամամե. Եյագրու  
ուցելու ու այսեցեց Ֆուռուա և ամուրու.  
Եյագրու ուցելու ու այսեցեց Ֆուռուա և ամուրու.

Ռուռու յամրու ցարուու սցենու յշտու ծրուուն մյուրումց. մյուրու  
ուցեց ցամունու. ուղղու և մինչեց  
շորառու. ան օմնեց, ան կանցես. Սա-  
սասրուլունամու և ամուրու մեցու.  
մուլունունու իլլու մեուլու իլլու  
մմունու ցարուու ու ամուրու և ամուրու.

დის აღარ ახსოეთ, რამდენი  
ხანია, რაც ამ ცოდვილ მიწას  
ტკეპნიან. კაცობრიობის ნა-  
ფეხურები ბიბლიური რუკის  
ჭრელ ზოლად გაწოლილა  
სცენის სიღრმეში (მხატვარი  
მირიან შეკლიძე) და მის ფო-  
ნზე სამყარო ისეთი პატა-  
რა... ცირკის არენასავით  
მრგვალი და მოზომილი.  
ერთმანეთთან შესაგებებლად  
ისნი კლოუნადური ცეკვის  
წრიულ გზას გაივლიან და  
დაღლილ-დაქანცელნი საბო-  
ლოოდ მაინც ერთმანეთთან  
მივლენ.

— ხედავ? შენ ისევ აქ ხარ,  
რორო, მეგონა სამუდამოდ  
მიმატოვე.

- მეც ახე მეგონა.
- ხომ არ გვეჩეიმა?
- იზეიმე, იზეიმე.
- მაგრამ, როგორ?

და სამყაროში გაფანტული ადა-  
მიანები გაფანტული მუსიკის ფონზე  
დაეიწყების წყვდიადში ექცევიან.  
ოთხიერი სცენაზე დახეხტებიან და  
ფიქრობენ, რაღაცას იხსენებენ. მათ  
ზეიმი დაეკიწყდათ და იხსენებენ,  
მაგრამ ამაოდ. უცრად გამონათება  
და ისევ წყვდიადი — გამახსენდა!  
დამავიწყდა!

„ფოსტალიონი“ — დათო გოცი-  
რიძე კი ყოველდღე მოდის და წე-  
რილი მოაქვს. ფერადოვანი ხე მო-  
შლილი საათის ფულუროთი კალე-  
ნდრიდან ამოგლეჯილი დღეებივით  
იკრავს ამ წერილებს და იმახსო-  
ვრებს. ბექეტის პიესაში მოქმედი



**პოცო — ამირან ამირანაშვილი**  
**ლაქო — გოგა გველესანი**

ბიჭი რეჟისორმა თითქოს რძეში  
ამოავლო, სახე წაუშალა და ნაყინს  
დაამსგავსა, როროსა და დიდის ტა-  
ლახიან ბოსტნეულზე მსუე დესე-  
რტად დაუტოვა.

მათ სტკივათ, იტანჯებიან. მათ  
მოსწყინდათ უსასრულო ხეტიალი  
და დაღმებას ელოდებიან. დაღმება  
დასასრულს ნიშნავს, თუნდაც  
დროებითს და სტურუასაც სპექტა-  
კლის ფინალში მხოლოდ იმიტომ  
ამოქავს ოქროსფრად გაცაშამე-  
ბული პირმრგვალი მთვარე, რომ  
დასასრულის ფრაგმენტი დაგვანა-  
ხოს. ეს მეორე ნაწილია. მოქმედი  
პირი ერთად მღერიან, გამაღლე-  
ბული ცხოვრების ყოველ აკორდში  
გოდოს ელიან.



## ჩაზა სოფიოძე

# „ეს თავისუფალი პეპები“

გასული სეზონის დასასრულს მესხეთის სახელმწიფო თეატრში კიდევ ერთი პრემიერა გაიმართა. რეჟისორმა ხათუნა ბედელაძემ ამ თეატრის სცენაზე ლეონარდ გერშის „ეს თავისუფალი პეპები“ განახორციელა. პიესის ახალი ვერსია თავად რეჟისორს ეკუთვნის. მან ხასიათუბი და სიტუაცია თანამედროვე ქართულ გარემოში გადმოიტანა, რითაც უფრო ორგანული და ახლობელი გახადა მსახიობებისა და მაყურებლისათვის.

თავისუფლების პრობლემა ხელოვნების მარადიული თემაა. ამ ფენომენზე ბევრი უმსჯელიათ კლასიკურ ღიატრატერასა თუ ფილოსოფიურ ტრაქტატებში. ადამიანი იმთავითვე იბრძეის საკუთარი თავის ავტორობისათვის, საკუთარი ნების დამკიდრებისათვის, რაც ყოველთვის აისახებოდა ხელოვნების ნაწარმოებებში. ამ პატარა წარმოდგენის გმი-


რმაც, ოცი წლის ლუკამ (ჭავახაშვილის გიძე) დამოუკიდებლად, საკუთარი თავის იმდედ ცხოვრება გადაწყვიტა, მშობლების სახლი მიატოვა და ერთ პატარა ქალაქურ ბინაში დასახლდა. ლუკას მისწრაფებას ისიც ამბაფრებს, რომ იგი დაბადებიდან ბრძა არის, ამიტომ სურს დედის მზრუნველობისაგან დროებით მაიც განთავისუფლდეს, თავის ძალებში დარწმუნდეს და სხვებთან ერთად საკუთარ თავაც დაუმტკიცოს, რომ დამოუკიდებლად არსებობა შეუძლია. ბიჭის სურვილისამებრ, დედამ იგი ორი თვის მანძილზე არ უნდა ინახულოს. დროის ეს მონაცემი გამოსაცდელი ვადაა უსინათლო ბიჭისათვის. ცხოვრებასთან პირისპირ დარჩენილს საკუთარი თავის დამკიდრება, სრულფასოვან პიროვნებად ქცევა დაუსახავს მიხნად.

სცენური გარემო ლუკას ახალ ბინას წარმოადგენს. ოთახის სიღრმეში მაღალ ბოძებზე გამართული საწოლი დგას, ასავლელად კიბე საჭირო. რეჟისორი და მხატვარი ლელა ფერაძე ნახევრად იღუშორულ, მირაეულ სივრცეს ქმნიან. ასეთ განწყობილებას მოლურჯო-მოისფრო ფერი, საწოლზე მოთავსებული ნავი და ჭერში პორიზონტალურად მოწყობილი ფანჯრისმაგარი ჭრილი ქმნის. იგი თავისუფლებისაც სწრაფების სიმბოლოდ აღიქმება, მოძრაობისას კი უწარმაზარ მოფარფატე პეპელას მოგვარენებს. ყოველივე, თითქოს, უსინათლო ლუკას წარმოსახვის შედეგია. თითქოს მაყურებელი ისეთ გარემოში აღმოჩნდა, როგორადაც წარმოუდგენია

პერსონაჟს საკუთარი სამყოფელი. მას ხომ საკუთარი, პირობითი წარმოდგენა აქვს გარესამყაროშე. ... ლუკას მეზობელი აღმოაჩნდა — პატარა, მხიარული ანი (ნინო გორგაძე); ისიც ახალი მობინალრეა. ანი თავისარიანი, უდარდელი გოგონაა, კანოში გადაღებაზე რომ იცნებობს და გადაწყვეტილებებს სწრაფად იცვლის. ლუკამ და ანიმ სწრაფად გაუგეს ერთმანეთს. მათი ურთიერთობა მაღლევე ბუნებრივად გადაიზარდა სიახლოვეში. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ახალგაზრდები დიდი ხნის მეგობრები არიან, არადა, სპექტაკლში განვითარებული მოვლენები ერთი დღის მანძილზე ხდება. ამ დღემ კი ბევრი რამ გამოავლინა: ლუკას ტკივილი,

პრობლემა და მისწრაფება, ანის ხასიათი, ბიჭისა და დედის დამოკიდებულება და, რაც მთავარია, სულიერი მეგობრობის მნიშვნელობა.

აშეარაა, რომ ლუკა ჭეშმარიტი ურთიერთობის დეფიციტს განიცდის. ანისთან გატარებული წუთები მას ყოფილ მეგობარს, ნინოს ახსენებს. ისინი ერთად ატარებდნენ დღეებს. გოგონა ლუკას ცხოვრების სიკეარულსა და საკუთარი თავისადმი რწმენას უმტკაცებდა. სწრაფად ნინომ შთაუნერგა ბიჭს დამოუკიდებლად ცხოვრების აუცილებლობა. მაგრამ



ანი - ნინო გორგაძე  
ლუკა - კობა გოგიძე

ქალიმჭილმა თავისი გზით განაგრძო ცხოვრება — მაღლევე დაქორწინდა. მოულოდნელად გაწყვეტილი ურთიერთობა კობა გოგიძის გმირს ფიზიკურ არასრულყოფილებაზე მიანიშნებს და ტკივილს გვრის. ამიტომაც, პატრიკით ეწავება მის ცხოვრებაში შემოჭრილ ახალ ადამიანს. საოცარია თითქოს, ლუკა მარტოობას ესწრაფვის, თუმცა მარტოსულობას გაურბის. მას არ სურს, რომ პატარა ბავშვივით დედის მზრუნველობის ობიექტი იყოს, იგი თანაბარუფლებიან, სრულფასოვან ურთი-

ერთობას ეძებს.

სპექტაკლში მეტაოდაა წარმოჩენილი ყოველი პერსონაჟი. რეჟისორი თითოეულ მსახიობს ზუსტად უსაზღვრავს ამოცანას, გეტს აძლევს ხასიათის სწორად გახსნისათვის. ყველაზე უკეთ კი სპექტაკლის ავტორის მსახიობ კობა გოგიძეს ქმის. მას მოძენილი აქვს სწორი ინტონაცია, მოძრაობის ზუსტი მანერა, რითაც კარგად გამოხატავს ბრძის მდგომარეობას. არტისტის ბუნებრივობისა და ზომიერების გრძნობა ხასიათის თანმიმდევრულ განვითარებას განაპირობებს. რეჟისორის ერთ-ერთ საუკეთესო მიგნებად უნდა ჩაითვალოს ხმაურები, რომელიც საც მხოლოდ კობა გოგიძის პერსონაჟი აღიქვამს, როგორც სმენაგამახვილებული ადამიანი. ეს კიდევ ერთი ნიუანსია, რომელიც დამაჯერებლობას ანიჭებს სცენაზე შექმნილ ახალ რეალობას.

უკვე აღნიშნე, რომ ღუკას დედასთან გართულებული ურთიერთობა აქვს. ქალბატონი ქთით (ლია სულუშვილი) შეიღს უმწერ, მთესაფარ არსებად აღიქვამს. მას, რა თქმაუნდა, შეიღისადი სიყვარული ამოძრავებს, მაგრამ კარგად არ იცნობს ბიჭის შინაგან სამყაროს, ბოლომდე არ ეშმის მისი და, ამდენად, მასთან მეგობრობაც არ გამოხდის. დედაშვილის ქაბიზოდში მათი სიძლერა სპექტაკლის საერთო კონტექსტში არ იყითხება. მას მსახიობები სასიმოვნოდ, მაღალი მუსიკალური გემოვნებით ასრულებს, მაგრამ სიძლერის ხანგრძლივად, სრულად მოწოდება მომენტალურად აგდებს მოქმედების

რიტმს და მუსიკალური ნაწილებების ცალკე აღიქმება.

სპექტაკლში კიდევ ერთი პერსონაჟია – ანის მორიგი ინტერესის ობიექტი ღვევანი (კახა გოგიძე). იგი წრეგადასული მხიარულებით, თავხედობამდე მისული უკომპლექსობით ხასიათდება. გასაგებია, რომ ეს პერსონაჟი მთავარ გმირთან კონტრასტს ქმნის, თანაც თანამედროვე ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილის კრებით სახეს წარმოადგენს. კახა გოგიძის სცენაზე გამოჩენას მხიარულება და აპლოდისმენტებიც ახლავს. თუმცა, პერსონაჟის ხახი და მსახიობის აქტივობა გადაჭარებულია. მას წარმოდგენაში შეუსაბამო ტონები შემოაქვს. სცენაზე გაჩენილი მკვეთრი ფერი ფანრის მყისიერ ცვლილებას იწვევს და რეჟისორისა და მსახიობთა მიერ მთელი სპექტაკლის მანძილზე თანმიმდევრულად განვითარებულ განწყობას დარღვევით ემუქრება.

...ანი ღუკას დიკენის ციტატას უკითხავს თავისუფალ პეპლებზე; ახალგაზრდები ოცნების სამყაროში გარბიან, წარმოსახულ ნავში სხდებიან და ერთმანეთს შექარიან, თავზე კი დიდი პეპლა დაპუარფატებთ. თუმცა, კოგონაც პეპლასავით ხანმოკლე დროით შემოიჭრა ღუკას ცხოვრებაში და წასვლისას ტიავილი დაუტოვა. ახალი წინააღმდეგობა კი კობა გოგიძის გმირს, დედას და მაყურებელს არწმუნებს, რომ ცხოვრებაში არსებობს ზოგიერთი პრობლემა, რომელიც ადამიანმა დამოუკიდებლად უნდა გადაჭრას.

# ფესტივალი

ზაზა სოფომაძე

## „საჩუქახი“ მნიშვნელოვანი პროგრამით

წელს, სექტემბრის ბოლოს, თბილის მთავრობის შექვედ გაიმართა მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი“. ამჯერად ღონისძიებას განსხვავებული ხასიათი ჰქონდა, თუმცა, განსხვავება ხელოვნების თაყვანის ცეკვებულთა საკალიბოდ იმაში გამოიხატება, რომ უესტივების სტუმარი მხოლოდ ერთი მოსკოვური თეატრი გახლდათ ორალორი წარმოდგენით. რა თქმა უნდა, ხელოვნების ნებისმიერი უცხოური ნიმუშის გაცნობა საჭირო, მნიშვნელოვანი და საინტერესოა, მთო უფრო, რომ ქართული სახოგადოება არ არის განებივრებული ცნობილი თეატრალური კოლექტივების ხშირი სტუმრობით. მაგრამ, ამჟამინდელ ღონისძიებას ფორმალური იქნი მაინც დაკრავდა, ფესტივალსაც პირობითად თუ ვუწო-

დებთ ერთი თეატრის გასტროლებით არადა, ორგანიზატორების განცხადებით დაგეგმილი იყო რამდენიმე რუსული შემოქმედებითი კოლექტივის სტუმრობა. წლეუანდელი, მექენეს უესტივალი ხომ მოსკოვებულთა საჩუქარი უნდა ყოფილიყო, მას პირობითად „მოსკოველი გარსკვლავები ფესტივალ „საჩუქარს“ ეწევა. ჩანაფერისამებრ თბილის უნდა წვეოდა მოსკოვის სამხატვრო თეატრი, თეატრი „დრამატული ხელოვნების სკოლა“, თეატრ-სტუდია ოლეგ ტაბაოვის ხელმძღვანელობით, მოსკოვის მოზარდ მაყურებელთა თეატრი. პროგრამით გათვალისწინებული იყო რამდენიმე ქართული წარმოდგენის ჩენენებაც. როგორც გაირევა, ყველა აღნიშნული კოლექტივი თანახმა იყო თბილისში ვიზიტზე. ყოველივე ბოლო წუთებში შეიცვალა. და წარმოიდგინეთ, ამის მიხესი სულაც არ აღმოჩნდა რუსეთ-საქართველოს მორის გამწვავებული პოლიტიკური კითარება. მთებედავად რუსთის ოფიციონის განცხადებისა, თავი შეეკავებინათ საქართველოში გამგზავრებისაგან, მოსკოველ ხელოვნობის განზრახვა არ შეუცვლიათ. ჩანაფერის განხორციელებას ისევ ჩენენი ყოფილთვის დილემადებულმა უსახსრობამ შეუძლა ხელი. როგორც ფესტივალის ორგანიზატორებმა აღნიშნეს, რუსული თეატრების გასტროლი ძირითადად მოსკოვის მერიამ დააფინანსა. მათი მხრიდან გაღებულ თანხაში იყო მგზავრობის, საპრომორარო და მოსკოვში გადაწყილი სპექტაკლების ღირებულების ხარჯები. ქართულ მხარეს სტუმრების თბილისში საცხოვრებელი თანხა რჩებოდა მხოლოდ მოსაპოვებელი. ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელის ქეთი დოლიძის განცხადებით, მი-



სცენა სპექტაკლიდან  
„კ. რამაშვილიდან“



უხედავად მრავალთა დაპირებისა. ბოლო მოქანეზე მხოლოდ იმ ოდენობის თანხა გამოინახა, რამდენიც ერთი თეატრალური კოლექტივის მასპინძლობას გასწვდებოდა. თუმცა, გარდა მატერიალური შეძლებისა, გაღების სურვილიცაა საჭირო კეთილი საქმის საკეთებლად. ეს უნარი კი ნაკლებად განვითარებული აღმოჩნდა შეძლებულ ქართველთა უნას.

უფროვალის ხელმძღვანელობა აღნიშნული კოლექტივების ვიზიტს მომავალი წლის მაისში გეგმავს და იმედოვნებს. რომ მაშინ მაინც გამოინახება კეთილი ნებაც და საჭირო სახსრებიც.

...ხელოვნების მექქვე საერთაშორისო ფესტივალი მარჯანიშვილის თეატრში 27 სექტემბერს ბათუმელი მხატვრის მზია ხალვაშის პერსონალური გამოუწით გაიხსნა. საზოგადოებამ მხატვრის ნატიფი ფერწერული და გრაფიკული ნამუშერები იხილა და თეატრის ფოიედან დარაბაზში გადაინაცვლა. სპექტაკლის დაწეებამდე ფესტივალის მესკერებმა ხელოვნებაში

სრულყოფილების საფუძვლით მიხეილ თუმანიშვილის სახელობის პრიზით დააჯილდოვეს მოსკოვის მოსახურ მაფურებელთა თეატრის მთავარი რეჟისორი გენრიეტა იანოვსკაია და დიდი ქართველი მსახიობი ოთარ მეღვინეთუხუცესი. გენრიეტა იანოვსკაიამ აღნიშნა. რომ მისთვის თბილისი ძვირფასი ქალაქია, რადგან აქ დაიბადა მისი პედაგოგი, დიდი რეესტრი გოთრეგი ტოვსტონოგვი. ოთარ მეღვინეთუხუცესმა კი სინაული გამოხატა იმის გამო, რომ არ მოუხდა გენიალურ მასტროსთან მიხეილ თუმანიშვილთან შემოქმედებითი ურთიერთობა. ხელოვნებაში მიღწეული სრულყოფილება კი მან საკმაოდ პირობით მოვლენად მიიჩნია.

უკვე აღნიშნე, რომ წლევანდელი საფუძვლივალო პროგრამა საგმაოლ ხანძღველე აღმიჩნდა. თბილისში მხოლოდ მოსკოვის მოსახურ მაფურებელთა თეატრის რით სპექტაკლი იქნა წარმოდგენილი: აგატა კრისტის „ბრალდების მოწმე“ და დანიელ გინის „კ. რამაშვილიდანან“.

„კ. რამაშვილიდან“ ექსპერიმენტული ხასიათის წარმოდგენაა. მისი ავტორი, რუსეთის ერთ-ერთი წამყვანი რეჟისორი კამა გინგასი ამ სპექტაკლი-სათვის პრემიით „ბროლის ტურნები“ დაჯილდოველა, როგორც სეზონის საუკეთესო რეჟისორი. პიესა დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელის“ მიხედვითაა შექმნილი. იგი რეჟისორის ვაჟმა, ახალგაზრდა დრამატურგმა და-



ნიელ გინემა განახორციელა. პიესაში დამუშავებულია რომანის ერთ-ერთი პერსონაჟის კატერინა ივანოვნას ხაზი (სონია მარმელადოვას დედინაცვალი). ამ ტრაგეული ქალის თავგადასავლიდან დოსტოევსკისული სამყაროა დანახული ადამიანური ფოფის უმწეობით, სიეკუთხ-ბოროტების მარადიეული თამაშითა და საკუთარი თავის ანაბარა დარჩენილი ადამიანებით. სპექტაკლი სპეციულურ, კამერულ სიურცეში თამაშდება. თბილისში მის წარმოსადგენად ავტორებმა მარჯანიშვილის თეატრის სარეპერტოი დაბაზში შეარჩიეს. აქ აუდიტორია და მსახიობი ერთმანეთისაგან შევეთრად გამიჯნული არ არის. მთავარი როლის შემსრულებელი ოქსანა მისინა ცალკეულ მაფურებელს პირისპირ ელაპარაკება, თავის სამცაროში ითრევს და საკუთარი ტრაგედიის მონაწილედ ხდის. ურთიერთობის ასეთი ფორმა თითოეულ მაფურებელში ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ მსახიობი უშუალოდ მას მიმართავს და სანახაობაც მხოლოდ მისთვის თამაშდება.

კატერინა ივანოვნას თავგადასვალი ორ მოცრო დარბაზში ვითარდება. სპექტაკლის მსვლელობისას მსახიობთან ერთად მაფურებელიც შეუმჩნევლად იცვლის ადგილს. ეს ორი გარემო თვალშისაცემად განსხვავდება ერთმანეთისაგან. პირველად მოქმედება რუხი კედლებით შემოსაზღვრულ ოთახში მიძინარეობს. მეორე ოთახის გამოცემით კარი კი ინტერესს აღვივებს. მსახიობი რამდენჯერმე იწვევს იქ საზოგადოებას. ბოლოს და ბოლოს მაფურებელი თეთრ, საკრალურ გარემოში აღმოჩნდება. ეს ორი განსხვავებული გარემო მიწისა და ზეცის ასოციაციას ბადებს, თუმცა, პერსონაჟს

არამიწიერ, გასხივოსნებულ სამყაროში მიციცათ თან მიჰყება საკუთარი ტკივილი. ქათქათა, უბიწო გარემოში კატერინა ივანოვნას ტრაგედია უფრო მძაფრად აღიქმება. ასეთ ფონზე ადამიანური ყოფის სიმბიმე მით უფრო თვალსაჩინოა. ოქსანა მისინას გმირი მიწიერი საზღვრების გარღვევასა და ამქეცენიური ამაოებისაგან თავის დაღწევას ცდოლობს. ფინალურ სცენაში იგი ზემოდან ჩამოშვებულ კიბეზე ადის და ჰერში გამეტებით აბრახუნებს, თუმცა, ხსნის მომლოდინე, სათუო, გაურგვეველი მომავლით მოქანავე კიბეზე უმწეოდ დაკიდებულივე რჩება. რეერსორი ადამიანური არსებობის პრობლემას დიადტოვებს, რითაც კიდევ უფრო ამძოფრებს მას.

მოსკოველთა მეორე სპექტაკლი „პრალდების მოწმე“, რომელიც ქართველმა მაფურებელმა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე იხილა, აგატა კრისტის დეტექტიური ნაწარმოების მიხედვითა განხორციელებული. სპექტაკლის დამდგმელ რეერსორს გენრიეტა იანოვსკაიას ხშირად მიუმართავს თეატრალური კლასიფიკაციის. მის რეპერტუარში მოლიერის „სკაპენის ონეგიი“, ტ. უილიამსის „შუშის სამხეცე“, მ. ბულგარიის „ძალის გული“, ა. ჩეხოვის „ივნიოვი და სხვები“, ა. ოსტროვსკის „ჭექა-ქუხილი“ და სხვა. ამ შემთხვევაში კი მან ნაკლებად თეატრალური ფანრი აირჩია, თუმცა ამ ნაწარმოებშიც არის დახლართული ინტრიგა, მოქმედების სწრაფი განვითარება, სიტუაციის რადიკალური ცვლილება, ანუ ჭრელივე, რაც შეიძლება საინტერესო და დინამიური სანახაობის საფუძვლად იქცეს.

ახალგაზრდა კაცს (ი. გორდინი) მდიდარი მოხუცი მანდილოსნის მყვალე-

## სცენა სპექტაკლიდან „ბრალდების მოწმე“



ლობაში დებენ ბრალს. ბრალდებულს ცნობილი აღვიყატი სერ უილფრიდ რობერტსი (ი. იასულოვიჩი) იცავს. სიტუაციის მკვეთრ ცვლილებას ბრალდებულის მეუღლის, რომეინის (ო. დემილოვა) საქციელი იწვევს. იგი დალატს არ აპატიებს მამაკაცს და პროცესის დასასრულს თავაღვე აღასრულებს განაჩენს - სიცოცხლეს გამოისალმებს ქმარს. ქალის სიმტკიცითა და გამჭრიახობით მოხიბდებით აღვიყატი ახლა მის დაცვას აპირებს. ეს მონათხობი მყითხველს უმაღ გაახსენებს რევისორ ბილი უაილდერის ცნობილ ფილმს მარლენ დიტრიხისა და ჩარლზ ლოუტონის ბრწყინვალე დუეტით.

გენრიეტა იანოვსკაიას სპექტაკლი საქართველოში მიღწევებით არ გამოირჩევა. მასში ყველაზე შთამბეჭდავი სცენური გარემოა (მხატვარი ს. ბარბინი). გაშლილი შავი ქოლგებით აგებული დეკორაცია ნისლიანი ლონდონის სურათს ხატავს. თანაც ქოლგების წყება ინგლისური სოლიდურობითა და დახვეწილობითა მოწესრიგებული. ამ-

გვარად მეცრი დაბადებული რქეში განწყობა ერთი შეხედვითვე იქმნება. რეეისორი აქტიურად იყენებს განათებას. ჩანგლებული სცენის ფონზე ზოგჯერ პროჟექტორის მცენტრი შექმით ცალკეული პერსონაჟი თუ საგანი ნათლება, რაც მოცემულ კაბიზოდში მათ განსაკუთრებულ მნიშვნელობას უსავს ხშის, თუმცა, ყოველივე ეს მაინც წარმოდგენის ზედაპირია.

სპექტაკლი ერთფეროვნებით ხასიათდება. სიუჟეტის ხანგრძლივი თხრობა და არა აქტიური გათამაშება ტემპო-რიტმის პერიოდულ დაცემასა და მაფურებლის ყერადღების მოდუნებას იწვევს. რეეისორის მიერ გამოყენებული მსუბუქი, პაეროვანი მოძრაობები და სკუეკარი ინტერმედიები მხოლოდ წარმოდგენის დანამატად იქცა. ასე რომ, სცენური გარემო, პერსონაჟთა სამყოფელი აქტიური მოქმედებით არ იწა გაცოცხლებული და ცარიელ სიერცედ შემორჩა სპექტაკლს, რომელიც ზოგიერთი კაბიზოდის ქმოციური დატვირთვით გადას ფონს.

ამგვარად, მოსკოვის მოზარდ მაყურებელთა თეატრი როი განსხვავებული ნაწარმოებით წარსდგა თბილისელი საზოგადოების წინაშე. ამგვარად ჩაიარა წლევანდელმა უესტივალმაც. იმედია, გმხატულზე მაინც ვიხილავთ კრცელ თუატრალურ პროგრამას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზატორები მომავალი წლიდან ხელოვნების საერთაშორისო უესტივალის მაისის თვეში დამკეიდრებას აპირებენ.

შავი ზღვის  
აუზის ქვენების  
მესამე საერთა-  
შორისო ოფატრა-  
ლური ფესტი-  
ვალი გაიმართა

თურქეთის ქალაქ ტრაპიზონში  
2002 წლის 15-23 მაისს. მასში  
თბილისის მერაბ კოსტავას სახ.  
მუნიციპალური ოფატრიც მონაწი-  
ლეობდა.

ამ, რას წერს რუსული განხეთი  
„ეპრან ი სცენა“ (2002 წ. ივლისი.  
ალა მიხალევა – „ერთი პროექტის  
ორი ფრთა“) ამ თეატრის სპექტა-  
კლის თაობაზე.

„თეატრიმუოფადობის დაყარგვა არა  
მარტო ტრაპიზონის ფესტივალის,  
არამედ მთელი თანამედროვე კულტუ-  
რის პრიბლება და ამტომაც გამო-  
იყერება ასე მომგბიანად თბილისის  
მერაბ კოსტავას სახ. თეატრის სპე-  
ქტალი „მსხვერპლი“, რომელიც შე-  
ქმნილია დავით კლლიაშვილის მო-  
თხოვის მოტივებზე და რეჟისორი  
გახლავთ ანდრი ენუქიძე.

კუდიანების ოჯახის დრამატული  
ისტორია გათამაშებულია სადაც, და-  
ხევწილი მანერით, იუმორით და მი-  
უხედავად იმისა, რომ შემსრულებლები  
სრულიად ახალგაზრდები, გუშინ-  
დელი სტუდენტები არიან, უაღრესად  
პროფესიულად თამაშობენ. პლასტიკუ-  
რი გამომსახულობის შერწყმა გმორ-  
კეთილ. სახიერებასთან, რომანტიკუ-  
ლი ამძღვებულობისა მძაფრ ხასიათ-  
თან, სიმსუბუქე და სერიოზულობა,  
რაც დამახასიათებელია ქართული თე-  
ატრალური სკოლისათვის. სპექტა-  
კლში მოელი თავისი შშენიერებითაა  
წარმოდგენილი ამ პატარა ქართული  
სოფლის ჯადოქარი ბინადარი, ისინი  
სასაცილონიც და შემზარავნიც, გუ-  
ლუბრეგილონიც და ვერაგნიც, მომხი-  
ბვლელნიც და უტანელნიც არიან თა-

# საექიმის ფესტივალი

ეიანთ მეთაურის  
ნამდევილ კუდიან  
ფესტივასა და მის  
რძალ მარინესთან  
ერთად, რომელთა  
ირგვლივაც ვითარ-  
დება სპექტაკლის

მოქმედება, ნაწილობრივ „სეიდუმის  
პროცესი“ ქართულ ვარიანტს რომ  
მოგვავრონებს. ამ სოფლის სხვადასხვა  
ასაკის მევიღრთ სრულიად ახალგა-  
ზრდა მსახიობები თამაშობენ უგრი-  
მოდ, მსუბუქად, გადამდგარ და ამავე  
ღრის მთელი სერიოზულობით. ასაკი  
აქ არ არის მინიშნებული, მას გადმო-  
სცემენ სცენერი არსებობის სხვა-  
გვარი რიტმებით. უფროსი კუდიანი  
ფესტივა ნინო იოსელიანის შესრულე-  
ბით არ არის ახალგაზრდა თვითშე-  
გრძნებით, იმ შინაგანი სიძლიერით,  
რითაც მსახიობი თავის გმირს განასა-  
ხიერებს. მასში იგრძნობა მოწიფუ-  
ლობა, ხასიათის სიმტკიცე, მბრძანე-  
ბლუზრი ტრიი და სიმშეიღე ძლიერი  
თვითდაჯერებული პიროვნებისა. მის  
გეერდით დაუდგრომელი, იმპულსური  
მარინე (რუსულან გაფრინდაშვილი)  
ბაგშეივით სუსტ და დაუცეველ არსე-  
ბად გამოიყერება, თუმცა მსახიობები  
ერთი ასაკის არიან, ძალზე ზუსტი.  
გამოცვეთილი და გამომხატველი პლა-  
სტიკური მახასიათებლებია მიგნებული  
სპექტაკლის კველა პერსონაჟისთვის.  
რომელიც მთელი თავიანთი ინდივი-  
დულობით ორგანულად ჩაიწერებიან  
მრავალხმიან სამსახიობო ანსამბლში,  
ამ სპექტაკლის მხატვრული ქრედო  
გამომგრინებლობა და სისადავე, რაც  
ვლინდება კველაფერში, მარტივი და  
ფუნქციური გაფორმების ჩათვლით  
(სცენოგრაფია თინათნი პანე): სცე-  
ნური სივრცე შემოსახვდვრულია. თე-  
თრი კედლით ანუ ღობით, რომელშიც  
დროდაღრი გამომწვევად ჩნდება ქა-  
ლის კეკლუცი ფეხი ან ანგელოზის  
ფრთხებისმაგვარი ხელები".



# მანანა პაიჭაძე

## „შემოღომის თბილისი“ ათი ნობისაა

წლევანდელი თბილისური შემოღომა უაღრესად უხევი და ნაყოფიერი აღმოჩნდა კულტურული ღონისძიებებით, იქნებოდა ეს სანცტ-პეტერბურგის დღეები თბილისში, რობერტ სტურუას ახალი სპექტაკლი, ჯაზის ფესტივალი, კლასიკური მუსიკის კონცერტები კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში თუ ფესტივალი „შემოღომის თბილისი“ ჯანსულ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში.

„შემოღომის თბილისი“ ტრადიციული ფესტივალია, რომელიც მაესტრო ჯანსულ კახიძემ 1993 წელს დააარსა. წელს ფესტივალის მე-10 საიბილეო წელი იყო. ბატონი ჯანსულის ვაჟი, ცნობილი ქართველი კომპოზიტორი და დირიჟორი ვახტანგ კახიძე, უდიდესი ტკივილისა და განცდის მიუხედავად, სათავეში ჩაუდგა თბილისის

ვალი მუსიკის ჭეშმარიტ შემოღომის ქცევულიყო, ღღესასწაულად, რომელიც დიდხანს დაამახსოვრდებოდა თბილისელ მსმენელს.

შემოღომი ადამიანის წასვლა გარკვეულ ვაკუუმს ტოვებს ამქვექნად და მით უფრო, თუკი მიღის დიდი ადამიანი, დიდი პიროვნება და შემოქმედი. დიახ, ვაკუუმს, რაღაც მის მიერ დატოვებული კვალი დიდია და მასშტაბური. სწორედ ასეთი ვაკუუმი გაჩნდა ქართულ კულტურასა და სახოგადოებაში დიდი მაესტროს ჯანსულ კახიძის გარდაცვალების შემდეგ. მაგრამ ადამიანის ბუნება ისეა მოწყობილი, რომ ის მუდამ ცდილობს შეძლების დაგვარად შეავსოს ეს ვაკუუმი, შეავსოს ის ცარიელი სივრცე, რომელსაც დიდი პიროვნებები ტოვებენ. მათ ვერავინ შეცვლის, მათ მაგივრობას ვერავინ გასწევს. შესაძლებელია მხოლოდ მათი საქმის ღირსეული გაგრძელება ისევ და ისევ მათი სახელისა და ხსოვნის უკვდავსაყოფად. ეს მეტად რთული ამოცანაა, სასწაულის ტოლფასი.

სწორედ ასეთი სასწაულის მომსწრენი აღმოვჩნდით ჩვენ ყველანი, როდესაც ვესწრებოდით ფესტივალის კონცერტებს. ბატონი ჯანსულის ვაჟი, ცნობილი ქართველი კომპოზიტორი და დირიჟორი ვახტანგ კახიძე, უდიდესი ტკივილისა და განცდის მიუხედავად, სათავეში ჩაუდგა თბილისის



მუსიკალურ-კულტურის ცენტრს და თბილისის სიმღვრიულ ორკესტრს. მან ფესტივალზე გამართა ათი კონცერტი, რომლებმაც, პროფესიული, ემოციური თუ ესთეტიკური თვალსაზრისით, აღაფრთოვანა თბილისელი მაყურებელი.

20 სექტემბრიდან 10 ოქტომბრამდე ჯანსუდ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურის ცენტრში, როგორც ვთქვით, გაიმართა საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის „შემოდგომის თბილისი“-ს 10 კონცერტი, რომელთა პროგრამაც მოიცავდა კლასიკური მუსიკის და ფოლკლორული საგუნდო მუსიკის ნაწარმოებებს. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მაქსტრო ვახტანგ კახიძის საპროგრამო რეპერტუარისა და სოლისტების შერჩევის განსაკუთრებილი ნიჭი.

ფესტივალი გაიხსნა ვახტანგ კახიძის სიმფონიური ნაწარმოებით სიმებიანი ორგესტრისათვის „In Memoriam“, რომელიც მაქსტრო ჯანსუდ კახიძის ხსოვნას ეძღვნებოდა. ეს იყო სევდის, ტკივილის, სიცარიულის და სინათლის გამომხატველი და მატარებელი პიესა, რომელმაც ფესტივალს თავიდანვე მისცა განუმეორებელი ტონალობა, რაც მსმენელმაც გაითავისა. ფესტივალზე მოწვეული იყვნენ ვირტუოზი სოლისტები, რომლებსაც ხშირი შემოქმედებითი და პირადი

კონტაქტები და მეგობრობა აკადემიურ რეპლატა ბატონ ჯანსუდთან:

ელისო ვირსალაძე (ლ. ბეთჰოვენი – კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის №3);

ნატალია გუტმანი (დ. შოსტავოვის – კონცერტი ვიოლონჩელოსა და ორგესტრისათვის №2);


ვიქტორ ტრეტიაკოვი (პ.ჩაიკოვსკი – სავიოლინო კონცერტი; ვ.ა.მოცარტი – საკონცერტო სიმფონია ვიოლინოს, ალტისა და ორგესტრისათვის);

იური ბაშეტი (ბ. ბრიტნი – კონცერტი ვიოლინის, ალტისა და ორგესტრისათვის; პირველი შესრულება საქართველოში);

ალექსანდრე კორსანტია (პ. ჩაიკოვსკი – კონცერტი ფორტეპიანოსა და ორგესტრისათვის №1);

ლადო ათანელი (ჯ. ვერდი – სცენები ოპერიდან „მაყეტი“; პირველი შესრულება საქართველოში).

ამ ვიოლტურზების საშემსრულებლო ღონისა და მანერის ანალიზს ახლა არ შეუძლები, ეს საყოველთაოდ არის ცნობილი. ვიტევი მხოლოდ, რომ მაყურებელთა დარბაზსა და შემსრულებლებს შორის დამყარდა რაღაც განსაკუთრებულად თბილი და ემოციური ველი, რამაც კონცერტებს განუმეორებელი მნიშვნელობა და დატვირთვა შესძინა. მოწვეული იყო აგრეთვე შესანიშნავი კანადელი ვი-



ოლენჩელისტი გარი პოფანი, რო-  
მელმაც შეასრულა ი. პაიძნის  
ორი კონცერტი (დღ-მაჟორი და  
რე-მაჟორი) ვიოლონჩელოსა და  
ორკესტრისათვის.

ვახტანგ კახიძემ, ფესტივალზე  
მოწევა ბევრი ახალი შემსრულე-  
ბელიც: თეა დანელია (სოპრანო,  
თბილისის კონსერვატორიის IV  
კურსის სტუდენტი), ქეთევან ქემო-  
კლიძე (მეცო სოპრანო, თბილისის  
კონსერვატორიის III კურსის სტუ-  
დენტი), გიორგი მახარაძე (ტე-  
ნორი, თბილისის ოპერისა და ბა-  
ლეტის თეატრის ახალგაზრდა სო-  
ლისტი), გორგა დათუსანი ( ბანი,  
ავსტრიის ქ. ზალცბურგის „მოცა-  
რტეუმის“ სტუდენტი). ახალგა-  
ზრდა მოძღვრლება შესანიშნავი

ანსამბლი შექმნეს მოცარტის „პა-  
ტარა მესა“-სა და „რეკვიემ“-ში.  
მათი ხმები გამოირჩეოდა ინტონა-  
ციის სისუფთავით და კანტილენას  
კარგი ფლობით. მოცარტის „პატა-  
რა მესა“-ში მაყურებლები დაატყ-  
ვევა მუსიკალურ-კულტურული ცე-  
ნტრის ბიჭუნათა გუნდმა, რომლი-  
თაც ასე ამაყობდა ჯანსულ კახიძე.  
ი. სტრავინსკის „ვსალმუნთა სიმ-  
ფონიაში“ და კარლ ორფის სასცე-  
ნო კანტატაში „კარმინა ბურანა“  
ჩვეული ოსტატობითა და წარმატე-  
ბით გამოვიდა ნ. სულხანიშვილის  
სახელობის საქართველოს სახე-  
ლმწიფო საგუნდო კაპელა (ხელმძ-  
ღვანელი – გივი მუნჯიშვილი). კ-  
ორფის „კარმინა ბურანა“-შივე ვო-  
კალური სოლო პარტიები ბრწყინ-

წვალედ შეასრულეს ნაირა ნაჩხატაშვილმა (სოპრანო) და თამაზ ცერიაშვილმა (ტენორი). ფესტივალზე პირველად საქართველოში შესრულდა ფრაგმენტები ჯუზეპე ვერდის ოპერიდან „მაყბეტი“, რომლებიც უდიდესი წარმატებით შეასრულეს ლადო ათანელმა (მაკბეტი) და თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ახალგაზრდა სოლისტმა ირმა ბერძენიშვილმა (ლედი მაყბეტი). დიდი წარმატება ხვდა წილად თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის გუნდს.

ქართველი მუსიკოსები და მუსიკის მოვარულები გახტანგ კახიძეს, როგორც დირიჟორს, ადრეც იცნობდნენ. მისი სადირიჟორო ხელოუნება ყოველთვის გამოირჩეოდა და დიდი მუსიკალობითა და პროფესიონალიზმით, სადირიჟორო ტექნიკის უწადო ფლობითა და აკადემიზმით. მაგრამ წლევანდელი დაწევნილობით, სიღრმით და მრავალფეროვნებით. დირიჟორსა და ორკესტრს შორის სუფერდა აბსოლუტური ურთიერთგაგება, ერთსულოვნება, თითქოს ისინი ერთ ორგანიზმად იყვნენ შერწყმული და ერთნაირად შეიგრძნობდნენ ყოველ მუსიკალურ ფრაჩას. დაუკინარია ვახტანგ კახიძის დირიჟორობით თბილისის სიმფონიური ორკესტრის მიერ შე-

სრულებული ლ. ბეთჰოვენის მფუნია №2, პ. ჩაიკოვსკის სიმფონია №4, დ. მოსტაკოვიჩის სიმფონია №5, მ. რაველის „ებანური რაფტსოდია“ და „ბოლერო“, ი. სტრავინსკის „კურთხეული გზაფხული“. სიუიტა ბალეტიდან „ფასკუნჯი“ და „ფსალმუნთა სიმფონია“, ბ. ბრიტენის „ვარიაციები და ფუგა პერსელის თემაზე“.

გოთე თავის რომანში „ვილ-ჰელმ მაისტრის მოგზაურობის წლები“ წერს: „მუსიკოსი მხატვარზე ბეჭდიერია, ის პირადად და უშეალოდ გვიბოძებს სასურველ ძღვენს, მაშინ როდესაც მხატვარი ძღვენს მხოლოდ მაშინ გვაძლევს, როდესაც ეს ძღვენი მისგან განცალკავდება“.

სწორედ ასეთი „სასურველი ძღვენი“ უბოძა მსმენელებს მაესტრო ვახტანგ კახიძექ და თბილისის სიმფონიურმა ორკესტრმა. საერთაშორისო ფესტივალი „შემოღვიძის თბილისი“ ჩატარდა უდიდესი წარმატებით და რაც მთავარია, იმის ღრმა რწმენა დაგვიტოვა, რომ ვახტანგ კახიძე და თბილისის სიმფონიური ორკესტრი კვლავაც მრავალჯერ გაახარებენ ქართველ მსმენელს თავიანთი მაღალი ოსტატობით.

# მეღვა ჩახავას საიუბილეო საღამოს გამო

სამოცა წელი ერთი თეატრის სცენაზე, თანაც რუსთაველის, თანაც საუკეთესო როლებით...

ამ სასწაულის შემოქმედი მუდამ მომხიბლავი ქალბატონი და ბრწყინვალე მსახიობი მედეა ჩახავა გახლავთ, იმ თაობის შშენიერი წარმომადგენელი, რომელსაც მიხეილ თუმანიშვილის თაობა ჰქვია, თუისებრივად რომ გაახლა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული თეატრი.

ვწერდი კიდეც, ქალბატონ მედეას დაბადების დღესთან დაკავშირებით: „თქვენ იმ ეპოქის ერთ-ერთი შემქმნელი ხართ, რომელსაც ქართულ თეატრში მიხეილ თუმანიშვილის ეპოქა ჰქვია“.

სწორედ ამ დიდი ქართული რეჟისორის სიტყვებით მინდა გავა-გრძელო: „მე ყოველთვის დარწმუნებული ყიფვი, რომ სპექტაკლის და-მთავრებისთანავე თეატრი კვდება, მაგრამ რატომაა, რომ ჩემში აქამდე ცოცხლობენ შენს მიერ განსახიერებული სახეები“.

ეს მართლაც ძნელი კითხვაა და შევეცდები პასუხი გავცე.

ალბათ იმიტომ, რომ მედეა ჩახავას გმირები დროის ძირითადი ტენდენციის გამომხატველნი იყვნენ ყოველთვის, დროის მახასიათებლები, ჩემს მახსოვრობას შემორჩინილი თავისი განუმეორებლობით, სიმევტრითა და ერთადერთობით. ვისაც თუნდაც ერთხელ უნახავს ისინი, არასდროს და-ავიწყდება და როდესაც ახსნებენ მედეა ჩახავას, იმ წუთს გონებაში ეს სახეები ამოტივტივდება მთელი თავისი მშენიერებით.

ასე რომ, როდესაც მედეა ჩახავას შემოქმედების სამოც წელს ვზე-იმობთ, ვზეომობთ ამ გმირების დაბადების დღეებსაც, იმ რეჟისორებსა და მსახიობებთან ერთად, რომელთა მეშვეობით დაიბადნენ ისინი სცენაზე.

მედეა ჩახავა უბედნიერების ქალბატონი გახლავთ – ჩემ მისი შემოქმე-დებითი ცხოვრების ანარეკლი გვეცემა და მოხიბლული ვართ. იგი კი თა-ვის თავში ატარებს იმ ყოველივეს, რასაც მეოცე საუკუნის მეორე ნახე-ვრის დიდი ქართული თეატრი ჰქვია.

დიდი ხანია მე და ჩემი მეუღლე მისი ერთგული თაყვანისმცემლები ვართ, ჯერ კიდევ ფუჩიების ლიდა პლახადან მოყიდებული და ახლა კიდევ ერთხელ ვეუბნებით მას მადლობას ამ საოცრებისათვის. სიყვარულს უუ-სხიოთ და ტაშს ვუკრავთ.

**მდუარდ შევარდნამა**





# თეორია

მერაბ კიუნაძე

თაბაში, 603065

სახლის  
რეადიტაცია  
და გადატარი  
მაღალიადის  
მაღალიადი?

სიტყვას გრძნობდე ნიშანებს მის სურნელს სწვდებოდე, მის ულამაზეს კვავილში – პოეზიაში, რადგან სწორედ მასში იძალება იგი თავიდან და არა გრამატიკის მოსაწეუნ სახელმძღვანელოებში.

„განიცადენით შროშანნი ველისანი, ვთარ იგი აღორძნდის“ – სახარების ეს ულამაზესი პასაჟი ქართულ თარგმანში ერთდროულად საგნის ჭერეტასა და მის მეღიტაციურ გრძნობათა განცდაშე მეტყველებს.

ივან ჯავახიშვილს საქართველოს ისტორიის ანალიზში მოაქვს საოცრად ლრმა და პოეტური სიტყვები: „მტევანში ჩასული თვალი“, რომელიც გრიგოლ რობაქიძემ უმაღ ამარტა-კრიალოსნად აქცია თავის ნაწარმოებებში“.

„მტევანში ჩასული თვალი“ – არლის დასიცეულ აურაში დანახულ „ვენახებს“ მაგნებს, მასში ჩასულ მხატვრის მედიტაციურ თვალს, თვალს

– რომელიც ხელავს არა მარტო მწიფოდებული მტევანს, არამედ შარცვლის ყოფა-არყოფნის მარადიულობას, მის სიმწიფეში არეკლილ არსობას.

შეკითხვაზე – რომელი საათია?

ამითითხეთ კატის თვალებშიო – პასუხობდა შარლ ბოდლერი.

ჩინელებს სცოდნიათ თურმე ეს ხელოვნება.

ჩასაფრებული კატისთვის შემიმნევია, თუ როგორ უვიწროვდება, როგორ მიელევა დამცხრალ მთვარესავით თვალთა გუგები, როგორ უფართოვდება, როგორ ულივლივებს. თითქოსდა წრეს გადადისო, როცა ის თამაშობს, დანავარდობს და გიგმაუობს.

ასევე განსხვავდება საქმოსანი და შემოქმედი კაცის მზერა ერთმანეთისაგან.

ცის, ვარსკვლავების, ხეების მოშხირალი თვალები გაფართოებულია და თავის თავში ჩაბრუნებული, რაღაც თავის თავშიც უმზერენ უსაჩლეროებას.

დამგირუებლის თვალით იწყება შემოქმედება, ოღონდ ეს არ არის ზედამხედველის თუ დეტექტივის თვალი. ეს დაკირვება – არდავერცება, ეს ფურება – არყურებაა, ეს არ არის თვალთვალი. ეს ცქერაა გაფართოებული თვალისა.

ასეთი მზერა აქვს ჩვილ ბაშვსაც – გაფართოებული და მედიტაციური.

ჩენი დროის უნიჭირებული მომღერალმა, ლურიანო პავაროტიმ მიაცია ყურადღება იმას, რომ პატარას შეუძლია მთელი ღღის განმავლობაში იტიროს და ამით ხმა არ ჩაეხლიოს.

შეგძლიათ სცადოთ და გაუჯიბროთ ბაჟეს მოძრაობაში, რამდენ ხანს შესძლება? ცოტა ხანში დარწმუნდებით, რომ მისი ტემპო-რიტმის გაძლება შეუძლებელია. მაინც რა წარმოადგენს მისი ენერგიის დაუშრეტელ წყაროს,



რა არის ზემოთქმულ საოცრებათა მიზენა? ალბათ ის, რომ ბავშვს ბუნებასთან თანაარსობის ჭიბლარი ჯერაც არ გასწუვეტია.

ბავშვობიდან მოყოლებული ადამიანი სახიობობს, როყავს და მღერის. აღრეულ ასაკში ყოფითი სინაძვილე მას ნაკლებად აინტერესებს. უშაალოა და მედიტაციური მისი დამოყიდებულება სამყაროსადმი. თუ ბავშვს ხელს ვუშლით და თამაშის მაგიური წრიდან გამოგვყეს, ის ადვილად ვერ უბრუნდება ყოფით რეალობას. რაღაც იგი სხვა განხომილებაში იმყოფება ამ დროს. სხვაა მისი განცდის ტონალობა. რამეთუ საიდუმლოა მასში თანყოფისა და ერთყოფისა ბუნებასთან.

მოარეული აჩრის თანახმად, თამაშის დროს ბავშვი იღუშების სამყაროში იმყოფება. და ასე ამბობენ არა მხოლოდ თამაშებს. არამედ საერთოდ ხელოვნებაზეც, რომელსაც ჟევე კარგახნაია იღუშების სუეროდ მიზნევნენ.

განვიხილოთ რამდენად შეესაბამება ეს მოსახრება ჭეშმარიტებას.

ფრიდრიხის შილდერი ამბობდა: ადამიანი მხოლოდ მაშინ არის ადამიანი, როცა ის თამაშობსო.

როგორ გგრინათ. რა პქონდა მხედველობაში გენიალურ პოეტს - ბავშვის აღქმის იღუშებირობა თუ მისი უშაალო დამოყიდებულება სინაძვილისადმი?

რას გვეუბნება უფალი. როდესაც გვმოძღვრავს - იყავით ვითარება ბავშვიირ?

უპირველეს ყოვლისა. მას მხედველობაში უნდა პქონდეს ბავშვის უმანეოება და მისი განსაკუთრებული უარი სიმართლის განცდისა.

იღუშია-ინტელექტის. ცნობადობის ხის ტებილი ნაყოფია. რომელიც უმაღდიბლიურ მუცლითმხოხავის ცდუნება-

სთან არის კავშირში და არა ჭარბეჭარა პირველად ინსტინქტებთან. შესაბამისი

იღუშიასთან შეხედრა ადამიანს უწევს მოწიფულობის ასაკში. როდესაც იგი საზოგადოების და სოციალური ცხოვრების კანონებს ეცნობა და ამ განხომილების სიბრტყეში უფლობა. აქ ის ეცნობა თამაშის ახალ წესებს. რომლებიც საჭიროებს ნიღბის ტარებას. პირფერობას და ზოგჯერ აქტიორული გარდასახვის უნარსაც კი. თამაში ისევ გრძელებდა, ოღონდ ახლა იგი სულ სხვა ხასიათს იღებს - სოციალური ურთიერთობის კანონებით იძართება. განა იგივე თამაში არაა, როცა კაცს არ მოსწონს, ან სტულს კიდეც მასშე მაღალი თანამდებობის პირი, მაგრამ ყოველდღე უღიძის და ეპირფერება? ეს თამაშია, ოღონდ ინტელექტიდან მომდინარე თამაში. რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს ბავშვის მედიტაციურ თამაშთან. ამ თამაშთან მხოლოდ ხელოვნება, სახიობაა წილნაყარი. ამიტომაც მოგვაგონებებს მსახიობები, პოეტები, რელიგიური ადამიანები ბავშვებს, პოლიტიკოსები და ბიზნესმენები არასოდეს გვაგონებენ ბავშვებს.

ურანგული სიტყვა illusion ცრუ წარმოდგენას. ცრუ წარმოსახვას ნიშნავს.

იღუშია, როგორც მხატვრული წარმოსახვის აღმნიშვნელი ტერმინი, მყარად დამკითხველი XX საუკუნის ესთეტიკურ აზროვნებაში. თუ რატომ აირჩია XX საუკუნის ხელოვნებამ თავის მუხად იღუშია, ამის ფეხვები უნდა ვეძებოთ იმ შეხედულებებში, რომლებიც XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის ხელოვნებაში მეფობდა.

იღუშიის ღრუბელი შემთხვევით არ გამოჩნდილა შემოქმედების ცარგვალზე. ფრიდრიხის ნიცვებ თავისი შორსგასმე-



ნიღი თხზულებით „ტრაგედიის დაბადება მუსიკიდან“ ძლიერ შეუწყო ხელი ამ პროცესს, სადაც მთავარ როლს ხელოვნებაში იღუშიას ანიჭებს, მხედვერთ აპოლონის იღუშიას ღვთაებად რაცებს, ხოლო სიმბარზე ამბობს, რომ იგი იღუშია იღუშიაში.

დავიწყოთ იქიდან, რომ თვით ბერძნები საერთოდ არ აყვშირებდნენ იღუშიას აპოლონთან. ისინი მას შზისა და ხელოვნების ნათელ ღვთაებად მიიჩნევდნენ.

ინდიეტში არის მოძღვრება, რომელიც მიწიერ ცხოვრებას წუთწარმავლობის გამო მაიას ანუ იღუშიას უწოდებს. ამ მოძღვრების მამამთავრად ადი შანკარაჩარია ითვლება. ნიცშე გატაცებული იყო აღმოსავლეთით და ადვილი შესაძლებელია, კარგად იცნობდა და იზიარებდა ამ თვალსაჩრისს. ასეთი შეხედულება, როგორც ჩანს, ახალგაზრდა ფილოსოფოსთა ინდური აზროვნებიდან შემოიტანა და ელინთა ხელოვნების ღმერთი აპოლონი იღუშიის ღვთაებად გმოაცხადა.

თუ გავიჩიარებთ მოსახრებას, რომ ხელოვნება ბუნების ანარეელია, მაშინ ერთი ნაბიჯიდა დაგვრჩება ნიცშეს შეხედულების აღიარებამდე, მაგრამ ვიდრე ასეთ ნაბიჯს გადავდგამდეთ, სჯოს გავაზროთ, რამდენად შეესაბამება ჭეშმარიტებას შეხედულება სამყაროს იღუშორულობის შესახებ.

თავის ცნობილ თხზულებაში „სამყარო, როგორც ნება და წარმოსახვა“, არტურ შოპენპაუერი იღუშიას წარმოსახვის კატეგორიას მიაკუთვნებს და ამით მევორად განასხვავებს მას ობიექტური რეალობისგან.

ინდიეტში არსებობს განსხვავებული მსოფლმხედველობაც, რომელიც უპირისპირდება შანკარაჩარიას მოძღვრებას, მიჩნია, რომ იღუშორულია ჩვენი

წარმოდგენა სამყაროზე და არა თვითურებული სამყარო.

რეალობას სხვადასხვა ფორმა გააჩნია. რეალისტები მხოლოდ მატერიალურ სამყაროს მიიჩნევენ რეალობად. მაგრამ მატერიალური რეალობის გარდა არსებობს მეტალური რეალობაც. რომლის სუეროში არის სიმარისეული თუ მისტიკური ნათელი ბლვადები და მხატვრული ფანტაზიები. სწორედ ეს რეალობა გახლავთ თავი და თავი გაუგებობისა, რაღაც უმეტესწილ ჭირს ჭეშმარიტ ხილვებსა და იღუშიურ ზმანებებს შორის წყალგამყოფის გავლება ჭეშმარიტი წარმოსახვა ხშირად იღუშიურ წარმოდგენად არის მიჩნეული და პირიქით.

იღუშია ჩვენი ცრუ წარმოდგენის ნაყოფია და არა სახე თავის თავში არსებული საგნისა.

ჩვენ შეიძლება შეგვევმნას იღუშია ჩამოვარებული ქალის მშვენებაზე, ეს წარმოდგენა იღუშიური იწევდა. ვიდრე მის სახეს პირბადეს არ ავხდით და რეალობას არ დავინახავთ.

„ნიცრუ მუდამ ტქბობის მომნიჭებელია, მოდით, მოვაცილოთ ადამიანის გონებას ცრუ იმედები და ამაო აზრები, რაღა დარჩება მის გონებაში?“ – იკოთხავ ფრენსის ბეკონი.

ჭეშმარიტების გნა კოლგოთაა და უკელას არ ძალუს მისი გაელა. ამ გნაზე ადამიანს ლუციფერული იღუშიები ჩასაფრება.

იდეა ამქენებიური ცხოვრების, განსაკუთრებით კი ხელოვნების იღუშიურობის შესახებ ერთობ იოლად შეისისხლხორცა მეოცე საუკუნის ხელოვნებამ, მიუხედავად იმისა, რომ ასეთმა შეხედულებამ ნიცშე, როგორც ფილოსოფოსიც და როგორც პიროვნებაც, სრულ კატასტროფამდე მიიყვანა. ეს იყო ტრაგედია დიდი მოაზროვნისა და



დიდი ადამიანის, რომელიც ზეკაცისკენ სწრაფვაში ძირს დაესარცხა და შემლილ ანგელოსს დაემსგავსა.

ფინანსურული სახლში გამომწევდეული, შემდეგასან მიტოვებული ფილოსოფიული თავის უკანასკნელ ნაწარმოებში „ნტიქრისტე“ ღრაინგალიერთ დაგესლავს კაცობრიობას და საკუთარ თავსაც: „ადამიანს იმის ფანტაზიაც კი არ ყოფი, ქრისტეზე უკეთესი ღმერთი შეექმნა“-ო.

საუკუნის დასაწყისში გერმანიაში გამოჩნდა კიდევ ერთი ფიგურა, რომელმაც ღუციფერული მაგნიტიზმით მონუსხა მეოცე საუკუნის მწიგნობრები და ინტელექტუალები. ეს ფიგურა გახლდათ დოქტორი რედოლუ შტაინი.

შტაინერის რელიგიური ქრისტეორია წარმოადგენს ინდური იოგისა და ქრისტიანული მოძღვრების სინთეზს. ინდური იოგიდან ქრისტიანობაში მას შემოაქვს კარმის თეორია და მედიტაციური მეთოდოლოგია. აქ ადგილი აქვს აქარა ინტელექტუალურ ილუსიას, რადგან შეუძლებელია ორი მრჩამსის რელიგიათა სინთეზი. კარმის თეორიის ძიებამ ქრისტიანობაში შტაინერი იყსოსა და იოანე ნათლისმცემლის წინაცხოვრების და მომავალი განსხეულების ფანტაზიამდე მიიყვნა. რის შედეგადაც ის დაუკავებელ ილუსიათა ნიაღვრის მსხვერპლი შეიქნა.

არც რელიგია და არც ჭეშმარიტი შემოქმედება არ შეიძლება იყოს დაფუძნებული ილუსიაზე, რადგან რელიგიაც და ხელოვნებაც თავისი არსით კონტრსიცრუე გახლავთ. ჭეშმარიტი ხელოვნება სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთგამსჭვალავი მედიტაციური პროცესია. იგი თვალია მარცვალში ღრმად ჩასული. შემოქმედება მაიას საბურველთა ახდაა და არა ამ სამოსელით თრობა.

„და განა არ გარდისნის საჟურნალობრივი კარს ბოლოს და ბოლოს ბუნება?“ – ფაუსტური გწნებით იყითხავს დიდი გორეთ.

სწორედ ამ კარის გარდახსნისთვის მედიტირებს ვინსენტ ვან გოგი არის ხეატ მზეზე, ასტრალური ფინანსური რომ დაინახოს დასიცხულ ველთა აურაშ და ისებაც შემლილ გონებას სულ მთლად შეიძლია.

ფიროსმანი სახლს გაპყიდის, დუქანს მიაგდებს და კიბისქვეშ დაიღებს ბინას. აქ, კიბისქვეშეთში, ნაბიჯების ყრუ ტონიდან და გასანთლულ საკუმელში შემოსული შუქიდან იღებს იგი მხატვრულ ზმანებებს, აქ იწმინდება ღვინის ლაქებისაგან მისი გონება, აქ მაგნიტულებიან იმ განსაკუთრებული მაგნიტიზმით მეეზოვისა თუ ფანტასმაგრორული ცხოველების სახეები, რომლითაც ასე ვკიზიდავს მისი მხატვრობა.

ცნობამიხდილი ახდენებია ტერენტი გასეუნების პროცესიებს და სიკვდილზე მედიტირებს. ბუდაც ხომ ასე მოძღვრავდა მოწაფეებს: სასაფლაოზე იარეთ და იმედიტირეთო სიკვდილზე...

„არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა“...

რა არის ეს სხვა – ილუზია თუ მედიტაცია?

მედიტაცია და ილუზია ურთიერთგამომრიცხავი, ურთიერთსაწინააღმდეგო ცნებებია. ისინი ისევე გამორიცხავენ ქრისტიანთს, როგორც სინათლე და სიბეჭდე. ილუზია ინტელექტის ნაყოფია, ხოლო მედიტაციის დროს ინტელექტი მთლიანად განიდევნება. ამ დროს ადამიანი საესტით დაცლილია ფიქრისაგან. ცოლისაგან თუ ილუზიური წარმოღვენებისაგან, ეს არყოფნის მდგომარეობაა – საკუთარი თავიდან სამყაროს უსასრულობაში მოგზაურობის დასაწყისი.

მხატვრული მედიტაცია შემოქმედე-



ბის საწყისი ეტაპი გახდავთ, სადაც არა მარტო იღუშია, არამედ თვით აზროვნების პროცესი უნდა იყოს უკუგლებული, რადგან ასეთ მდგრმარეობაში აზროვნებაც კი სინამდვილის ფალისიუკაცად გვევლინება.

რა შეგიძლიათ იფიქრით თოვლის, რა შეგიძლიათ თქვათ მასშე ახალი? გრიბას შეიძლება მოაგონდეს მხოლოდ უკვე თქმული, გაცემილი ეპითეტები, როგორიცაა თოვლის სისევლე, სითეთრე, სისპეტჩე და ა. შ. აზროვნებით ვერაფერს მიაღწიეთ, თუ თვითონ თოვლს არ დაინახავთ, თოვლში არ ჩაღრმავდებით. მხოლოდ მისი ხილვის და განცდის შემდეგ შეიძლება დაიბადოს ისეთი სიტყვები, როგორიცაა: „მე ძლიერ მიყვარს ისსფერ თოვლის ქალწულებიცით ხილიდან ფენა“, ანდა „ძვირფასო სული მევსება თოვლით“. ამ სიტყვებს ვერ გათქმევინებთ იღუშიური ღვთაების ვერანაირი სიბრძნე.

შედიტაცია არ გახდავთ მეთოდი, რომელიც ინტელექტუალურად შეისწავლება, იგი რელიგიურ-პოლიტიკური მდგრმარეობაა, რომელშიც ისევე უნდა აღმოჩნდე, როგორც მდინარის შეულში ბუნებასთან პირისპირ. ასეთი განცდით შექმნილი ხატები აუცილებლად განსხვავდება მწიგნობრული ცოდნით შექმნილ სახეებისაგან. „მზიანი ღამე“, „მზის ჟღერადობა“ თუ „მზის შვალემოვანება“ მწიგნობრობით არ შექმნილა. აյ ჩენ ავტორის მედიტაციურ მდგრმარეობასთან გვაქვს საქმე. ეს არც პალუცინაციაა და არც აპოლონური ღვთაების იღუშია. ეს ის რეალობა გახდავთ, რომელსაც თანამედროვე ფიზიკა დიდი ხანია ივლენეს იულტური მეცნიერების კვალდაცვალ. სიტყვა მეცნიერება იყელტიშმის გვერდით შემთხვევით არ მიხმარია. პატა-

ნჯალის იოგა მეცნიერებაა. რაზე გრძელობითაც შეიქმნა კრისტანტინე სტანისლავების სამსახიობო სისტემა, მოძღვრლის პროფესიული სუნთქვის მეთოდი, სამედიცინო მცურნალობა აიუველი.

შედიტაცია არსებობს როგორც ხელვის, ასევე სმენის. სმენის შედიტირებით გამოიჩინევან მუსიკოსები, პოეტები. მუსიკალურ შედიტაციას განეკუთვნება ისეთი მოვლენა, როგორიცაა სიჩქმის მუსიკა და უხმო სიძრერა. უხმო სიძრერა ისეთივე რეალობაა მოძღვრლისთვის, როგორც მორწმუნისთვის ჩუმი ლოცვა. ასევე სიჩქმის მოსხენაც. იდუმალი წადილ-გულისფური ჩენში. ეს სიჩქმე არ არის სიჩქმე არყოფნისა ანდა დამაყრულებელი მოწყენისა. ეს სიჩქმეა ფესვთა ზრდისა. მუსიკა ცვარის სინამისა. პარმონია ზრდისა და სიცოცხლისა.

ალბათ, შეგიძმნევით, რომ პაუზა თითოესდა თავისებურ ჟღერადობას იქნება ნამდვილ მუსიკოსთან, იგი მასთან ჩავარდნილი კლავიშივთ უძღვრი კი არაა, არამედ ემოციურად დამუხტებული, კინაიდან მუსიკის შინაგანი პროცესის გაგრძელებაა, საიდანაც უნდა დაიწყოს ან დამთავრდეს სიძრერა, როგორც დუმილიდან გამომავალი ხმოვანება.

შედიტაციის ლოტოსებია გაბნეული ჯეხებე ვერდის, რიპარდ ვაგნერის, პეტრე ჩაიკოვსკის და რიპარდ შტრაუსის ოპერებში. როდესაც ვლაპარაკობ მუსიკალურ მედიტაციაშე, მხედველობაში მაქვს მუსიკის არა საერთო ხასიათი, არამედ ის კონკრეტული მეოთხები, რომელსაც კომპოზიტორი იყენებს მუსიკალურ დრამატურგიაში მედიტაციის სახით. გარეგნულად იგი კონხელოვნების გაზრცელებულ ხერხს „სტოკ-კადრს“ მოგვაგონებს, თუმცადა ის, რაც

კინოში ტექნიკის მოშევლიებით ხდება (კარის შენელება, გაჩერება), რაერაში ოდითგანვე მხოლოდ მუსიკალური დრამატურგიის კანონებით იქმნებოდა. რაერაში მუსიკალურ მედიტაციას ორი განზომილება ახასიათებს: ერთი - პორიზონტალური, რაც ლიბრეტოს სიბრტყეზე ძევს (ყოფა მიმდინარეობს დროის ჩვეულებრივ მონაკვეთში). მეორე კი - მისი პერპენდიკულარული განზომილება. რაც მხოლოდ მუსიკის საშუალებით შეიძლება, გამოიხატოს (აյ წამყოფა არ უმორჩილება ღრია და კომპოზიტორის ნებით არღვევს დროის ჩარჩოებს). ეს ის მომენტი გახდავთ რაერაში. როდესაც მოქმედი გმირი წამიერ განცდაშია. წამი კი მუსიკის საშუალებითა შეჩერებული და განვრცობილი. ამ ორი განზომილების თანაარსობისას წარმოიშვება სწორედ ის ეგზისტენციური განცდა, როდესაც სარტირის ენით რომ ვთქვათ, დრო უკვე აღარ არსებობს. მაგრამ მაინც არის.

მუსიკის მუხის გვერდით ყველაზე ახლოს დგას მისი უნახესი და - პოეზია. აღმოსავლეთში ერთმანეთისაგან ფრიად განასხვავებენ ზოგადად მოეტსა და კერძოდ პოეტ-მისტიონებს. მათთვის სხვადასხვა სიტყვაც კი გამოუვევათ სასკრიტის ენაზე: პოეტის აღმნიშვნელი სიტყვა გახდავთ „კავა“, ხოლო პოეტ-მისტიკოსისა „რიში“. რიშთა ენაზე წერენ ბასიო, რუმი. ხაიამი. ამ ენას საუკუთხესოდ ულობს გასული საუკუნის ბრწყინვალე ტრუბადური - ეზრა პაუნდი. მეტად საინტერესოდ აგვიწერს იგი თვით მედიტაციის პროცესს თავის ლექსში „საკუთარი ანარეკლის გამო“. საკუთარი სახის ყურებისას იგი სარეკში უმრავ სახეს, უმრავ ნიღაბს დაინახავს. რომელსაც ის კო-

ნტრსიცრეუებს უწოდებს. ეს სინაზღაურებული ლექში მართლაც ასეა, ვინც დაოს შეთოდს იცნობს დაგვეთანხმება, რომ თუ საკუთარ თავს სარეკში დიღხანს უმზერ და მედიტირებ, ანარეკლში უამრავ ნიღაბს დაინახავ, შენივ სახიდან გამოსულ მოელ ბრბოს. ეს თქვენი ნიღბებია, ცხოვრებაში რომ ატარებთ. თუ მედიტაციურ სეანსებს გააგრძელებთ, რამდენიმე ხნის განმავლობაში ნიღბები გაპრერებიან, გაქრება თქვენი სახის ანარეკლიც და სარეკში სიცარიილეს დაინახავთ. ეს სწორედ ის სიცარიილეა. ულეოტის ღრუს რომ ემსგავსება, რომელზეც თავად სამყარო იწყებს დაკვრას.

სამწუხაროდ, ჩვენში მერკანტილურმა ღრიუებამ განდევნა თავისუეფალი სივრცე, რომელიც ასე სჭირდება ხელიერებას, თამაშს, სილამშიის შეგრძნებას, მედიტაციას.

ჩვენ, ჩეხოვის გმირებივით ცრუ იმედებით და იღუზებით ვეძლევეთ ოცნებებს, რომ ოდესმე ჩვენც გვექნება ლამში ცხოვრება. მაგრამ ეს შეუძლებელი იქნება, სანამ არ დაიმსხვერევა ის იღუზიები, ჩვენსა და რეალობას შრრის ზღუდედ რომ აღმართულა.

პიტერ ბრუკი თავის შესანიშნავ წიგნში: „ცარიილი სივრცე“ ჰყვება, რომ მექსიკაში ბორბლის გამოგრძებამდე მონები მხრებით ეზიდებოდნენ ვებერთელა ლოდებს და ისე აპქონდათ მაღლობზე. მაშინ როდესაც მათი შვილები პაწაწინა ბორბლიან სათამაშოებს მიაგორებდნენ. ეს ყოველთვის ასე ხდებაო, - დასძენს ჩვენი დროის გენიალური რეჟისორი, - როდესაც ადამიანები კავშირს სწყვეტენ თამაშსა და ყოფას შორის.



# პორტფელი

ნორამ გურაბანიძე

## ეიღო მსახიობის ეიღო ბენეფისი ცესცეჩში

ედინბურგის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე და ლონდონში („რაუნდ პაუზში“) ფენომენალური წარმატების შემდეგ ინგლისურმა თეატრალურმა სამყარომ რამაზ ჩხიფვაძე მეოცე საუკუნის უდიდეს მსახიობად აღიარა („რამაზ ჩხიფვაძე მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მსახიობია“ – „თამასი“).

მსახიობის დიდება კიდევ უფრო გაითარდა მას შემდეგ, რაც ინგლისის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქის ლესტერის მუნიციპალიტეტმა და ხელოვნების საბჭომ გადაწყვიტეს ბენეფისი გაემართათ ქართველი მსახიობსათვის. ეს იყო 1988 წლის 24-26 ნოემბერი. მაგრამ ამ ბენეფისს წინ ფრიად მნიშვნელოვანი ამბები უძღვდა. 1987 წლს ლონდონის სახელგანთქმულმა თეატრმა „ოლდ ვეიმა“ რამაზ ჩხიფვაძე მიიწვია დიდი ინგლისელი მსახიობის მაიკლ რედგრეივის ხსონისადმი მიღები საღამოზე. რედგრეივის სა-

ხელი ჩემი თაობის ქართველი მაფუსულებელი მოსისათვის კარგადაა ცნობილი. მას მოიხსენიებენ ისეთი გიგანტების გვერდით, როგორებიცაა ჯონ გილგუდი, ლორენს ოლივიე და რალფ რიჩარდსონი. თავისი დიდი წინამორბედების მსგავსად, რედგრეივს შექსპირული რეკერტუარის ყველა უმთავრესი ტრაგიული როლი ჰქონდა ნათამშები (მოსკოვში შექსპირის შემორიალური თეატრის გასტროლებისას ვნახე მისი პამლეტი). ამ საღამოს ორგანიზატორი იყო მაიკლის ქალიშვილი ვანესა, მამახე არანაკლებ სახელგანთქმული მსახიობი, სახოგადო მოღვაწე და ფანატიკოსი პოლიტიკური, ქართული თეატრალური ხელოვნებისა და რობერტ სტურუას თავანისმცემელი (სწორედ მისი ინიციატივით დაღვა რ. სტურუამ ლონდონში ა. ჩეხოვის „სამი და“, საღაც ვანესა მაშას როლს ანსახიერებდა).

ამ საღამოს რ. ჩხიფვაძე გამოდიოდა ჯონ გილგუდის, ნატალია რიჩარდსონის, პიტერ ორტულისა და პაროლდ პინტერის გვერდით. ამ შემორიალური საღამოს გამო ჩხიფვის კარგად ნაცნობი მაიკლ კოვენი წერდა „ფაინიშელ თამასში“: „რედგრეივის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოში ინგლისის სცენის ვარსკვლავებთან ერთად მონაწილეობა მიიღო დიდმა ქართველმა მსახიობმა რამაზ ჩხიფვაძემ. იგი რიჩარდის ორი მონოლოგით გამოვიდა. როცა იგი გამოჩნდა სცენაზე დარბაზში გაუბედაემა ჩერჩულმა გადაირბინა. თუმცა, ხუთი წელი გავიდა ამ მსახიობის ლონდონში ტრიუმფალური გამოსკვლის შემდეგ, მაინც ძალიან ბევრმა იცნო იგი. რამაზი გამოვიდა უგრიძოდ, შავ კოსტუმში გამოწყობილი, ხელში ტროსტით. მან თავი დაუკრა მოლოდინით სავსე სახოგადო-



ებას და სცენიდან გავიდა. რამდენიმე წამის შედეგ, ჩანელებულ დარბაზში პროექტორის შუქმა გაანათა მსახიობი, რომელიც კლაკენით გამოხვდა, დას, დას, გაძიხობდა სცენაზე. დაუყობელი ძალით გაითამაშე ავანსცენაზე ორი ნაწყვეტი „რიჩარდ III“-დან. მან თავისი ფოლადის ტროსტი ჩამოსნა მხატვარ რალფ კოლტეს მიერ შევენივრად იმპროტებული არყის ხის გაფოთლილი ტოტიდან და იმ წამსვე გაცოცხლდა ჩემში ხსოვნა უბრწყინვალესად გათმაშებული სანახაობისა: რიჩარდის ბოროტისეული სიცილით ქანაობა მარჯვენა ფეხზე და სისხლიანი კაცის მძინვარე ჩაცინება“.

იმავ 1987 წელს, რამაზ ჩხილვაძე მიწვიეს ლონდონში მსოფლიო ვარსკელავთა გალა-კონცერტზე, სადაც მან შეასრულა ორი ნაწყვეტი რ. სტურუას სპექტაკლებიდან „მეუკე ლირი“ (მისი პარტნიორი იყო ვანესა რედგრუიფი, რომელიც რამაზის საპატივცემულოდ ქართველ ენაზე თამაშობდა კორდელიას როლს) და „რიჩარდ III“.

ლონდონის გალა-კონცერტის ორგანიზატორი იყო „არაბ ქალთა ასოციაცია“, რომლის შტაბბინა ლონდონშია (იგი 1982 წელს შეიქმნა), ეს ასოციაცია დიდი ავტორიტეტით სარგებლობს მსოფლიოში. მან შესძლო გალა-კონცერტში მონაწილეობის მისაღებად მოუწია კულტურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები ინგლისიდან, ამერიკიდან, ეგვიპტიდან, კონცერტი გაიმართა ლონდონის „ადელფის“ თეატრში, რომელიც 1.600 კაცს იტევს. მიუხედავად ბილეთების სიღვრისა (60 ფუნტს აღწევდა) უამრავი ხალხი მიიზიდა ისეთმა სახელებმა, როგორიცაა – ენტონი კუინი და პიტერ ო'ტული, იეგუდა მენუხინი და

იან მაკელანი, აგრეთვე ფრანგულებისა და ტური, რაშეც კემპლინი, კრის კრისტოფერსონი, ნიგელ ექნელი, ელიზაბეთ ვალი, ფარუხ ფიშავი, ადელ იმამი და სხვები. საბჭოთა კუმინის უზარმაზარი თეატრალური სივრციდან – მხოლოდ რამაზ ჩხილვაძე იყო მიწვეული. რედგრუივმა წარმოუდგენლად დიდი ენერგია დახარჯა, რათა ქართულად ესწავლა კორდელიას როლის ნაწყვეტი. რამაზი იგონებს, რომ სალდაც ამოვეგითხე განხსას სიტყვები: „მე მამაწმის ქალიშვილი ვარ, ვიცი ფასი უანტაზის და თავაწყვეტის, გროტეკსისა და მსახიობური სახისმეტევედების. მაგრამ კველაშე მეტად ვუფრთხილება ნამდვილობის შეგრძებას როგორც ცხეორებაში, ასევე ხელოვნებაში.“ აი, სწორედ ამგვარი გრძნობა დამეუფლაო, ამბობდა რამაზი, როგორც რეპეტიციაზე ასევე სცენაზე (თვით ვანესა რედგრუივი წერდა: „რამაზმა შექმნავლა და მე ქართულ ენაზე ვთმაშობდიო“ გამ. „ხოვეტსკაია კულტურა“ 27. 01. 1990 წ.).

რამაზ ჩხილვაძის არქივში ინახება „არაბ ქალთა ასოციაციის“ პრეზიდენტის წერილი, სადაც იგი მადლობას უხდის ქართველ მსახიობს გალა-კონცერტში მონაწილეობისათვის: „მხოლოდ თქვენი, ასეთი კამატა ვარსკელავის, სახელგანთქმული მსახიობის, რომელმაც დაიდი შექსპირის შემოქმედებაში ახალი წახანაგები აღმოჩინა, მონაწილეობა უკვე წარმატება იყო. თქვენმა უბრწყინვალესმა თამაშმა საშუალება მოგვცა შეგვეგროვებინა 100 ათასი ფუნტი სტურლინგი, რომელიც დასახიჩრებულ და უდედმამო, ლტოლევილთა ბანაკებში მცხოვრებ არაბ ბავშვებს მოხმარდება. მადლობა ამ დახმარებისთვის, მადლობა იმ ბავშვებისადმი შემწეობისა-


თვის, რომელთაც წაართვეს მომავალი... არაბი ბავშვები დიდად გემადლიერებიან თქვენ...“

პოეტი ირაკლი აბაშიძე ასე გამოეხმაურა ამ მოვლენას: „აი, ახლაც, რამაზი ლონდონში იმყოფება, კვლავ ჩეენი ხელოვნების საქვექნოდ წარმოსაჩენად გუშინ რადიოთი ვისმენდი მის ხმას ლონდონიდან და კლიქრიბდი, რამოდენა ამბავია მისი „მსოფლიო ვარსკვლავთა კონცერტზე“ მიწვევა. სულითა და გულით გეხვევი და გკოცი, მმარ რამპნ, გილოცავ ამ დიდ და ნამდვილ გამარჯვებას.“

წარმატებათა ამ „გალაზ“ განაპირობა რამპნ ჩხიფვაძის საბეჭეფისო მიწვევა ღესტერში.

ღესტერი ლონდონიდან საათნახევრის სავალზეა, განთქმულია თავისი კულტურული ტრადიციებით და ოქარტებით. რამპნის იუბილეზე „ჰემარკეტ თეატრში“ უამრავი ცნობილი თეატრალი ჩამოიძა ლონდონიდან, გლობზოდან, მანქესტერიდან... მიუხედავად იმისა, რომ ნოემბრის დღეებში წარმოუდგრენლი ნისლი იწვა ქალაქშიც და ავტოსტრადებზეც...

საბეჭეფისოდ მომზადდა ორსაათოანი პროგრამა, რომელშიც შევიდა ნაწყვეტები „კავკასიური ცარცის წრიოდან“, „რისარდიდან“ და „მეუე ლირიდან.“ რამპნს პატრნიორობას უწევდნენ ნანა ფაჩუაშვილი, თათული დოლიძე, გურამ საღარაძე, ჯემალ ღალანიძე, სოსო ლალიძე, კახი კავსაძე, უანრი ლოლაშვილი, დათო ჩხიფვაძე, პანისტი ლეილა სიქმაშვილი და ხმის ინჟინერი ბერი შერეზადაშვილი. რობერტ სტურუამ ღესტერში ამ ჯგუფის გამზადებამდე ნახა ეს პროგრამა, დახვეწა მისი მონტაჟი და, საბოლოოდ, მოწონა (ყველაუერს რომ თავი დავანებოთ, იგია ამ სპექტაკლე-



ბის ავტორი და, ამდენად, სააეტორო უფლების მფლობელიც). სხვათა შორის, ღესტერში გამზადების წინ, რობერტ სტურუამ მთხოვა მეც მენახა ეს პროგრამა და უნდა ვთქვა, რომ მან კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. ამ თხეთმეტკაციანი ჯგუფის ხელმძღვანელი იყო რამპნ ჩხიფვაძე. რამპნ ჩხიფვაძის ბენეფისთან დაკავშირებული მთელი საორგანიზაციო საქმეები შესანიშნავად მოაგვარა, მომხიბლავმა, ენერგიულმა და უჭირასებმა ნატაშა კობახიძე-ჩხიფვაძისამ, რომელიც იმხანად საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის „თეატრის კავშირის“ დირექტორი იყო.

ეს სპექტაკლი რამდენიმეჯერ უწევენს ღესტერში. ინგლისის უმთავრესი გაზეთები გამოეხმაურნენ ქართველ მსახიობთა გამოსვლებს. გურალდების ცენტრში, რასაკვირველია, რამპნ ჩხი-



ქვემდებრე.

ქიმიკური კურსი კურსი ამონარიდს ინგლისური განხეთებიდან.

„გარდაიანი“: „ალბათ, მნელია და-აჯერი ვინმე, რომ ორსაათიანი წარ-მოლგენა უცხო ენაზე შეიძლება იყოს არა მარტო საკებით გასაგები, არა-მედ აღაფრთოვანოს, მოაჯადოვოს მა-ფურებელი, წარუმლელი კვალი დატო-ვოს ადამიანების სულსა და ხსოვნაში. ეს მოიძოებულებს რამაზ ჩხიფაძემ და მისმა კოლეგებმა. ჩვენ გაჭინდა ბე-ლიირება შეკველროლით ხაკებით გენიალურ ნამუშევარს. წარმოლგენაში ლირის, რიჩარდის და აზდაკის რო-ლებს ასრულებს ფანტასტიკური რამაზ ჩხიფაძე. დიდებულია მისი თვალები, უხადოა მსახიობის უნატიუესი ტე-ქნია. მის თამაშს სულგანაბული აღვ-წებ თვალყურს... დიდხანს კვეხსო-მება გრუმებ და კორდელია, რომლებიც თამარ დოლიძებმ შეასრულა. მშვენი-ერია რეჟისურა, მუსიკალური თა-ნხლება. წარმოლგენის ბოლოს ქლერს საოცარი ქართული ხალხური სიმღე-რები. ისინი მოწმობებ თუ რაოდნე მღიდარია ქართული კულტურა. რომე-ლიც სამი ათასი წლისაა.“

„ინდეპერდენტი“: „სამწუხაროდ, ამ სახელმოწვევის დროი ქართულ კოლექტივს არ ჩამოუძრევა სამხატვრო ხელმძღვა-ნელი რობერტ სტურუა. რამაზ ჩხი-ფაძე ამ უნიკალური დასის ლიდერია. 61 წლისა - მხიარული და უშუალო, მოხატველია ურთიერთობაში და დიდია, როგორც მსახიობი... მაინც რამდია ქართული თეატრის ესოდენ მი-მზიდველი ძალა? იგი ამ ხალხის სა-ერთო სულიერი კულტურის ნაწი-ლია.“

„თამისი“: „რამაზ ჩხიფაძე მსო-ფლიონის ერთ-ერთი უდიდესი მსახი-ობია... მისი მძიმე ჭალარა თავი მო-

გეავონებს განსვენებულ ენდრისებულ შნაქის თავს, მაგრამ მისგან განსხვა-ვებით (კურუმნაქი აუდიტორიას იძყრო-ბდა დემონური ენერგიით), რამაზ ჩხი-ფაძის რიჩარდი მოგვაგონებს ნაპოლე-ონს, რომელიც სასიცდილოდ აჯაღო-ებს თავის მსხვერპლს. მოუთმენლად ელიან ქართული თეატრის გასტრო-ლებს ლონდონში. იგი გათვალისწინე-ბულია მომავალი წლისათვის... მაშინ ნამდვილად შეეაფასებთ „მეფე ლირის“ ქართველთა დაგვითი... ეს ახალი სი-ტყვაა თეატრში“ (სამწუხაროდ, „მეფე ლირის“ გასტროლები ლონდონში არ შედგა. ნ.გ.).

ლესტერში რუსთაველის თეატრის ამ ჯგუფის ასეთმა დიდმა წარმატებამ განაპირობა მისი მიწვევა სხვადასხვა ქვეყანაში. კერძოდ, ფირმამ „ენდრეს ნიუენ ინტერნაციონალმა“ გადაწყვიტა ხანგრძლივი გასტროლების გამართვა იტალიაში... მაგრამ ჯგუფი სულ მაღლე აქსტრალიაში გაემჭვავრა...

ლესტერში გამართული რამაზ ჩხი-ფაძის ბენეფისი კი ქართული თე-ატრალური ხელოვნების ანალებში და-რჩა, როგორც უნიკალური მოვლენა.

გამართულდა „პაიმარეგეტ ტეატრის“ სარეკლამო ფურცლებისა და ბუკლე-ტების წინასწარი დაპირებანი: „ჰექტა-რიტების სათავე - უდიდესი თეატრა-ლური თამაში“ („ფაინგშელ თაიმს“). „მარადასახსოვარი“ („თაიმსი“). „ხე-ლიდან ნუ გაუშვებოთ ერთ-ერთ შენსს: თქვენ შეგიძლიათ ნახოთ განსაცვი-ფრებელი დასი“ („გარდაიანი“). „რუ-სთაველის თეატრის დასმა დაგვა-რწმუნა, რომ ქართველებს ბევრი რამ შეუძლიათ გვასწავლონ ჩვენ. განსხვა-ვებული თეატრალური სტილების და მუსიკის სიმბიოზი ჰქმნის თეატრს, რომელიც ვიზუალურად, ემოციურო-ბით და სიხალისით განსაცვიფრებე-



ლია“ ქვლავ „თამსი“: „დასის ვარსკვლავს, რამაზ ჩხივაძეს, ძალუქს შექმნას ექსტრატი რიჩარდიდან ისევე მშენივრად, როგორც „მეუე ლირიდან“ და „კავკასიური ცარცის წრიდან“ თეატრალური კაბარეტის ერთ საღამოს, რომელიც დასის დანარჩენი წევრებიც მონაწილეობენ, გვიჩვენეს ექსტრალდინალური ცხოვრება, რომელიც იტეკს მარიონეტებსაც და ქართულ ხალხურ სიმღერებსაც გიტარის აკომპანიმენტით.“

საქართველის შემდეგ ქართულ ხალხურ სიმღერებს თეატრში შექრებილი სახოგადოება ჩანაწერების სახით კი არ ისმენდა, არამედ ცოცხალი შესრულებით. რამაზის ჯგუფის უკლებლივ ყველა მამაკაცი ხომ ბრწყინვალედ მღერის და თითოეული მათგანის რეპერტუარიც მრავალუროვანია – ამას დაუმატეთ შესანიშვავი მუსიკოს-იმპროვიზატორის, პიანისტ ლეილა სიყმაშეილის (ესეც მშენივრად მღერის) ხელოფება და თქვენთვის ნათელი გახდება, თუ რა დონის კონცერტი გამოყიდოდა.

„ლეისტერ ჰაიმარკეტ სტუდიოში“ გამოსულმა რუსთაველის თეატრის ამ დასმა კარგად იცის, თუ როგორ მოიპოვოს აუდიტორიის სიყვარული. ეს არ არის ადვილი საქმე. როცა ინტერპრეტატორი აქ არ იმყოფება და საქართველოში დარჩა. დასმა თავიშიანად შემოგვთავსა რჩეული სცენები შექსარისა და ბრეხტის პიესებზე დადგმული სცენტრალებიდნ.

რამაზ ჩხივაძე, რომელიც ამ დას მეთაურობს, არის არა მხოლოდ სცენის დიღოსტატი, არამედ მაყურებლის დიდი პატივისმცემელიც. მისი რიჩარდ მესამე თუმც არ მიძართავს რაიმე განსაკუთრებულ ტრიუქებს და მისი არშიყი ლედი ანასთან (ნანა ფაჩუ-

აშვილი), თითქოსდა, თავაზიანობის ფარგლებს არ სცილდება, მაინც თქვენი დახამხამებაში იპყრობს ქალს, გვიჩვენებს გულითადობას შერწყმულს შიშისმომგრელ ძალასთან. იგი ღედოუალს თვალით ისე ზომაეს, როგორც ვწებით აღგზნებული თერიბი, რომელიც, ვითომდა, ტანსაცმლის უკეთ მორგვებისათვის. სინჯავს ქალის სხეულს. ქალი ძრის რიჩარდის ცივსისხლიანი შემოტევების პირისპირ. მეუბოვენი გაოცებული არიან მამაკაცის ტრიუმფით და ხალისიანად წახუსხუსდებან მხრებზე კუბომეტოდგმული... როცა მესაფლავენი სტოებენ სცენას, თვალწარმტაცი გრუშე (თათული დოლიძე) შემოიჭრება და აგრძელებს ახალ სცენას „კავკასიური ცარცის წრიდან“ („ქართველები თამაშობენ ქართველებს ბრეხტის მეოხებით“).

... მცირე ინტერვალის შემდეგ უკვე მეუე ლირი გამდვინვარებული ხვდებოდა იარაღასხმულ კორდელიას. იგი თუმც შორის იყო სენტიმეტრალობისაგან, მაგრამ მხად იყო ხელახალი შეერთებისათვის.

რა ანიჭებს დასს ამგვარ მაღალ ღირსებას, რომ ერთმანეთს შეურწყას ფორმალური და ნატურალური, გამოკონილი და ბუნებრივი?.. როცა რიჩარდი მძეინვარებს, მისი თანამზრანებელი სიმეტრიულად, მაგრამ ძალზე ბუნებრივად სხედან, მათი განუჩრეველი გამომეტველება თითქოს ამბობდეს, ყოველი აღამანის ტრაგედია, მისი პირადი საქმეაო“ (კეტ კალევე). „... მთლიანად ახალი „მეუე ლირის“ ღირსებებზე ძნელია იმსჯელო იმ ორი ნაწევების მიხედვით, რომლებიც ჩვენ ვნახეთ. ესაა ქარიშხლის სცენა, როცა რამაზ ჩხივაძის ლირი უკვე შემდილია და შეორე სცენა, შეწვედრა კორდელიასთან ლუკრში. მი-



უხედავად ამისა, სანახაობა უაღრესად დაძაბულია. სავსეა მოუღლოდებლი დეტალებით და წარმოსახვებით. დაძაბულობა უმაღლეს წერტილს აღწევს, როცა რამაზ ჩხიფვაძის ლირი მასხარას (ფანრი ლოლაშვილი) კლავს. ეს ჩამატებული სიახლე შეიგიმოგვრელია თავისი მოუღლობელობით... მოუმტნლად მოუკლიოთ მოლიანი სპერტაკლის ნახვას მოძავალ წელს“ („თაიმისა.“ ჯერემი კინგსტონი).

როგორც ქიოთხველი მიხვდა. ეს „გალა-სპერტაკლი“ ასეთი თანამიმღევრობით იყო მონტირებული – თავში „რიჩარდი“ (დიდი სცენა „ლედი ანას ცლუნებისა“), სცენები „კუკასიურიდან“ და ორი ეპიზოდი „მეუე ლირიდან“.

ლესტერში მაღალ დონეზე დასტამბული ბუქლეტი (რომლის ყდაზე დაბეჭდილი იყო რამაზ ჩხიფვაძე რიჩარდის როლში, პროგრამაში მონაწილე ჟველა მსახიობის ფოტო, შემოქმედების მრეცლე ინფორმაციით – შიდა გვერდებზე, ხოლო მეოთხე გვერდზე საქართველოს და რუსთაველის თეატრის ისტორიებზე მასალა იყო მოწოდებული), სამწუხაოოდ, სერიოზულ ხარვეზებს შეიცავდა. ეს მე მომზედა თვალში, თორებ ინგლისელი ქიოთხველისათვის რა მნიშვნელობა აქვს მოხსენიებული იქნება თუ არა სანდრო ამბეტელი (თუმცა ამ პარაწინტელა ცნობარში ა. გრიბოედოვისათვის და კ. სტანისლავსკისათვის ადგილი კი მოუნახავთ)...

\* \* \*

რუსთაველის თეატრის ეს შემოქმედებითი ჯერეფი, რამაზ ჩხიფვაძის ხელმძღვანელობით, 1998 წელს შორეულ ავსტრალიაში გაემგზავრა. ისინი კარგად იცნობდნენ ავსტრალიას, სადაც რუსთაველის თეატრი ხანგრძ-

ლივი გასტროლები გამართა (შემოქმედებით და მონაწილეობა მიიღო პერტისა და ადელადის დიდ საერთაშორისო ფესტივალებში, რამდენიმე დღე დაცულ სიღნეიში). არა მარტო ჩვენები იცნობდნენ ავსტრალიას, არამედ, ესაა მთავარი, ავსტრალიის თეატრალური სამყარო იცნობდა და აღტაცებული იყო „კავკასიური ცარცის წრიო“ და „რიჩარდ მესამით“. ჯერ კიდევ მაშინ, 1986 წელს, მასტერულასები გამართეს რობერტ სტურუამ, რამაზ ჩხიფვაძემ, გია გონჩელიმა და გოგი მესხიშვილმა საფესტივალო ქალაქ ადელადისა უმაღლეს თეატრალურ, მუსიკალურ და სამხატვრო სასწავლებლებში, რაც უმაღლეს მოექცა ავსტრალიური პრესის ფურადების ცენტრში. ამჯერადაც, ავსტრალიაში ჩასულ რამაზ ჩხიფვაძეს უამრავი მასტერ-კლასის ჩატარება მოუხდა ადელადიში თუ სიღნეიში.

„აღმოსავლეთი ხედება დასავლეთის. კულტურებს შორის აღმართული ბარიერები დაინგრა: შექსპირის ავსტრალიელი რიჩარდი საქართველოდან გამოსულ რიჩარდს ეგებება“.

დიდი ქართველი მსახიობი რამაზ ჩხიფვაძე და რუსთაველის თეატრის ჯგუფი ჩვენს ქალაქში და როგორც ჩანს, გამოიტემა „კავკასიელი ოლივიე“ – სიმართლეს შეეფერება. რამაზი, რომელმაც ამაღამ თავისი გალა-სპერტაკლით უნდა გახსნას „ბელეოირ სტრიტ თიეტა“, შექვედება ჩვენს წამევან მსახიობს ჯონ ბელს, ამ თაქჩარდამცემ კუნიან რიჩარდს ბი-ბი-სის წამხდარი სეზონიდან, რომელიც გასულ კვირას დაიხურა.

დაახ, რამაზი ხელმძღვანელობს ავსტრალიის ახალგაზრდა მსახიობთა „მასტერ-კლასს“ და როგორც ამ კლასის ერთი მონაწილე ამბობს „ეს განსაცილებელი მსახიობი განსაცვი-



ურებლად თამაშობს პიესის სხვადასხვა კარიანტს". რამაზი ახალგაზრდა მსახიობებს ჩინებულ რჩევას აძლევს - „ცალეთ ყოველთვის ათლეტებივით იყოთ ფორმაში, ავარჯიშებოთ თქვენი ფურადღება, იყავთ გამორუსწორებელი ოპტიმისტები, ხალისიანები და იმედით აღსაქსნი. ცხოვრებაში შეიძლება საშინელი ამბავი დაგატყვევთ თაქს, მაგრამ თეატრში უნდა მოხვიდეთ, როგორც ზეიძზე“ („დეილი ტელეგრაფ მირორი“ 21.05) „სახელგანთქმული რუსთაველის თეატრის დასი ხაქართუელოდან თავისი სახელგანთქმული სკექტაკლებიდან („რიჩარდ III“, „კავკასიური ცარცის წრე“ და „მეფე ლიონი“) შხოლოდ ცალკეულ ჰპისოდებს გვიჩვენებს, მაგრამ ესეც კი საქმარისა, რათა სრულად შევიგრძნოთ მათი უნიკალური სტილი და მათი ლილერის რამაზ ჩხიფაძის ვირტუოზობა (21 მაისიდან 7 ივნისამდე სიღნეიში, 9-20 ივნისამდე აღელაიდაში. ნ.გ.) („ფაინგენელ რევიუ“ 29.05.1992).

„თურმე სკექტაკლის ნაწყვეტებითაც კი შესაძლებელია განვიცალოთ დიდი ზემოქმედება, პირდაპირ თუ ნართაულად გამოხატული შესაყრული ირონიით აღსაუსე რამაზ ჩხიფაძის რიჩარდისაგან, შორეული და განსწავლული, თუმც შეშლილი ლირისაგან. მოქმედებები შერწყმული იყო უბრწყინვალებად და თუმც ჩვენი მაუწყებელი მიჩნეულია სხვაგვარ თეატრალურ პირობითობას, რ. ჩხიფაძის პრდავის შევითმორის ყველა ნიუანს მისთვის გასაგები იყო. რამდენიმე ხალხურმა სიმღერამ დაამშვენა ეს საღამო და ხელი შეუწყო უშუალო ურთიერთობას აღტაცებულ მაყურებლებსა და აქარად ქაფოფილ მსახიობებს შორის. გალა-სკექტაკლიდან აღძრული გულითადობის გრძნობა უტოლდება ამ სი-

მღერებს. ეს იყო მთელი ამ საღამოსაცვლი ზედმიწევნით ზუსტი დასასრული („თეოტა რევიუ“).

„ჩვენ იძღა დაგვრჩნია, რომ ოვაცია გავუშაროთ ამ მომაჯადოებელ სიამოუნებას, რასაც რამაზ ჩხიფაძე გვანიჭებს ორსაათნახევრის მანძილზე. ეს არის აბსოლუტური აღტაცება, რომელიც მოგვვაროს მან და მისმა თანავარსკვლავედა... რამაზი მსოფლიო თეატრალური ხელოვნების ღვევნდაა და ეს მისმა შრუმაც დაგვიძტკიცა. მისი რიჩარდი გატემევებს თავისი ჩახლეწილი ხმით და ძლიერი სულით. პირთამდე გვაჟსებს მოზემე ღვარძლიანობით, თავაშებული კაცის თავისუფლებით ჩამოჯდება კუბიზე და ასე ეარწიყება ქვრივ დედოფალს - ლედი ანას. იგი მარტოლენ მრავშიყუ როდია, იგი გველას იმორჩილებს და აცდუნებს მაღმოსილებით, აეხორცობით, თავისი ჭკუა-გონებით. ეს შეშლილი რიჩარდია, თავაშებული და მოხიბლავი.

მოგვანენით ჩვენ ვხედავთ რ. ჩხიფაძის რიჩარდს ჩაფლულს თავის ჯოჯოხეთურ აგონიაში, პაროქსიმის შეტევების ფასს ბნედამორეულს, რომელმაც სცენაზე ააოხრა არა მარტო თავის მტრები, არამედ საკუთარი თავიც“.

ბრეხტის „კავკასიურ ცარცის წრეში“ სრული გულწრფელობით ერწყმის მთელი ეს ისტერია ალალმართალ ვოდევილურ სახიერებას, ძველი ყაიდის მოედნის კლიუნადას, რომელიც არახევულებრივი სიმსუბუქით არის ინტერარეტირებული რამაზის მიერ. ეს ალბათ, ის იმვიათი რამაზ, რაც ამ წარმატებას განაპირობებს...

...ლირი თავისი ქალიშვილის კორდელიას სხეულს მოათრებს მთელი

სცენის სიღრმიდან და ეს არის უმწვავესი მომენტი თეატრალური ტრაგედიას გათამაშებული რამაზის მიერ“ („სიღნე ტელეგრაფ“).

ჩვენ უამრავი ამონაწერი შეგვიძლია მოვიტანოთ აკსტრალიური პრესიდან, მაგრამ, ვვონებ, ესეც საქართვისა იმის ნათელსაყოფად, რომ რამაზ ჩხივაძეს და მის თანაგუნდელებს ამ შერეულ, უღამაშესსა და უმდიდრეს ქვეყანაში დიდი წარმატება ხვდათ წილად.

არ შემიძლია ცალკე არ შევტერდე რამაზ ჩხივაძის მიერ გამართულ „მასტერ-კლასებზე“, მითუმეტეს, რომ ამ მოვლენას აკსტრალიური პრესა განსაკუთრებულ ფურადლებას უთმობდა და სპეციალურ სტატიებსაც კი უძღვიდა. აი, ზოგიერთი სტატიის სათაური: „დიდი ქართველი მსახიობი რამაზ ჩხივაძე ამავდროს დიდი მასწავლებელია.“

„ჭეშმარიტი ოსტატის გაკვეთილი“ („აკსტრალიან“)... „რამაზ ჩხივაძე – საქართველოს რჩეული“ და ა.შ.

ამ სტატიებში დაწვრილებით არის მოთხოვნილი, თუ როგორ გამოიმუშავა მან როლზე მუშაობის საკუთარი სისტემა, როგორ ესმის მას საერთოდ მსახიობის ხელოვნების თავისებურებანი. აღწერილია თუ როგორ თამაშობდა ერთი და იმავე ეპიზოდს სხვადასხვა ვარიაციით, როგორ ცელიდა რიტმი, თუ როგორ გარდასახებოდა უკცირად სულ სხვა პერსონაჟად და ა.შ. ასეთი მასტერ-კლასები მან არა მხოლოდ თეატრებში, თეატრალურ სტუდიებში გამართა, არამედ სიღნეისა და აღელაიდის უნივერსიტეტებშიც. აღწე-

რილია ყველა მისი მოძრაობა, გადამოწმება და ლაპარაკის მანერა, კონტრასტები ქცევებში და მეტყველებაში, ერთი სიტყვით, მთელი ის თვალშეუდგამი არსენალი, რასაც ასე ბრწყინვალედ ფლობს რამაზი. ამ მასტერ-კლასებმა უდიდესი პოპულარობა მოუტანეს ქართველ მსახიობს აკსტრალიის ახალგაზრდობას შორის. შემთხვევითი არაა, რომ განეთებში უზარმატარი ფორმატის მისი ფოტოები სისტემატურად იღებდებოდა, როგორც როლებში. ასევე გაკვეთილების პროცესში გადადებული.

რაյო სიტყვა რამაზ ჩხივაძის უცხოეთში დიდ პოპულარობაზე ჩამოვარდა, უნდა ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტიც მოვიხსენიოთ აქ: იგი არჩეულია საბერძნეთის უძველესი საკულტო და თეატრალური ქალაქის დელფონის აკადემიის წევრად. სწორედ ამ ქალაქიდან დაიწყო, დღეს ეჭოომ პოპულარული, საერთაშორისო თეატრალური ღლიმპიადები. აკადემიის ეს საპატიო წევრობა ავალებს რამაზს აქტიური შემოქმედებითი მონაწილეობა მიიღოს აკადემიის მიერ გამართულ სხვადასხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებში. დელფონში რამაზ ჩხივაძემ თავისი შემოქმედებითი საღმოცემი გმართა ერთ-ერთ თეატრში, მომდევნო წელს კი დელფონის უზარმატარ ამფითეატრში. აქ მან გაითამაშა რამდენიმე ეპიზოდი სოუკოლეს „ოიდიპოს მეფიდან“.

ამ საღამოს ვიდეოჩანაწერი შესულია „დელფონის აკადემიის ოქროს ფონდში.“

თემა გორდიძე

# დარეჯან ჭამაური

დარეჯან ჭამაურის დებიუტი გორის თეატრის სცენაზე ლილი იოსელიანის მიერ დაღმულ სპექტაკლებში: დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“ და „ირინეს ბედნიერება“ შედგა. ამას მოჰყვა მიხეილ ჯავახიშვილის „ყბაჩამ დაიგვიანა“ – თინას როლი /რეჟისორი ნ. იონათაშვილი/.

მსახიობმა პირველსავე როლებში გამოაკლინა თეატრის მშენებელის სამყაროში შეღწევის სურვილი და პროფესიული უნარი.

იყო დრო, როცა გორის გიორგი ერისთავის სახ. სახელმწიფო დრამატულ თეატრს აღორმინების ხანა ედგა. დასის სახელოვანი ვარსკვლავების წევრობა ბევრს, ძალიან ბევრს ავალებდა ახალბედა მსახიობს. უბადლო კორიფეულობან – ვასო ქახნიაშვილთან, შალვა ხერხეულიძესთან, ქეთევან ბოჭორიშვილთან, ნინო ზალდასტანიშვილთან, ეთერ მოციქულშვილთან, ჩეკო ტატალაშვილთან, გოგი ბასიშვილთან, ეკატერინე დადიანთან, ოთარ ქუთათელაძესთან,



ვარინგა – დარეჯან  
ჭამაური, „ფიორესმანი“

კოვა ხაჩიძესთან პარტიითორობით დარეჯან ჭამაურის სამსახიობო ოსტატობა დაიხურა. ბუნებით მდაბალს, დღეს შეხარის მაყურებელი. 90-ზე მეტი როლი ითამაშა. იყო შემოქმედებითი გამარჯვებების ბეღნიერი მონაცემები, ზოგჯერ უკმარისობის გრძნობაც, ნიადაგ კი – მარტობის ტკივილი, უძილო ღამები, ყოველდღიურ სულიერ სახიდოდ – ქართული პოეზია.

რეჟისორთა მთელი პლეადა: ლ. იოსელიანი, ი. კაცულია, გ. მაცხონაშვილი, გ. აბრამიშვილი, ვ. მაღლაცერიძე, ვ. ფაჩულია, დ. ცისკარიშვილი, ა. გვაძაბია, ალ. ჯაველი, პ. კარაპეტკოვი, გ. სიხარულიძე, ზ. წაქაძე...



34 წელი სცენაზე დადი დროა, დადია ჭამაურის სცენური შექვიდრეობაც. მასში შერწყმულია ოსტატის სიბრძნე და გარეგნული მომხიბვლელობა. მისი ქმნილები ბრწყინვავნ მგზნებარე ტემპერამენტითა და ესთეტიკური სინატიფით. როლის ფსიქოლოგიური წვდომა შედევია მაღალი ოსტატობისა. მსახიობი არასოდეს ცდილობს მხოლოდ გარეგნული ეფექტის გამოწვევას მაუკურებელში. შემოქმედის განცდა ჭრველთვის შინაგანი მღელვარების წყაროა, ამიტომ გვხიბლავს და გვაჯადოებს მისი თამაში. დარეჯან ჭამაურს ახასიათებს მახვილგონიერი და ნათელი აჩროვნება, მეტყველების თავისებური მუსიკალობა.

ორჯერ ნათამაშები ზეინაბის როლი სუმბათაშვილ-იუჟინის ტრაგედიაში „დალატი“ /გორში დაგვად. ცისკარიშვილმა/ წარმატებული აღმოჩნდა. „გესმით სიღნის, ანხისხატის გაყიჯებული განგაში? – მეტების თავზე გამოიჭრება ზეინაბი – ჭამაური. მთელი სპექტაკლის მსვლელობისას ის იწვის. ჭრველი მოძრაობა დიდებულია. ძლევამოსილია თვით სოლეიდანის ფეხებში ჩავარდნილიც. მთელი არსებით შენივთებია მსახიობი ამ როლს.

სპექტაკლ „დალატის“ ნახევის შემდეგ მსახიობს დიდი შეფასება მისცა მწერალმა რევაზ ჯაფარიძემ: – „თქვენ ცველა თეატრის სცენას და ამჟღნებდით...“ ჭეშმარიტებაა – თუ ღმერთი გაიმტებს ადამიანისთვის ნიჭს, უხვად აჯილდოებს თავის რჩეულს. დარეჯან ჭამაურიც იმ რჩეულთაგანია, რომელიც ბუნებამ შესა-  
78

შური ნიჭიერებით დააკილდოული მომხიბვლელობა სანაშავი სცენური გარეგნობა, როლის თავისებური, თვითმყოფადი ფერწერის უნარი, ულამაზესი ხმის ტემბრი...

მეტად ნაყოფიერი იყო მისთვის რეჟისორ იური კაცულიასთან მუშაობა. თ. ჭილაძის პიესაში „ბუდე მეცხრე სართულზე“. სიამოვნებით გავისწენებ რეცენზენტ პავლე ზაქარიაძის სიტყვებს: „დარეჯან ჭამაურის მაყა ერთნაირად ძლიერია, როგორც ექსპრესულ-დრამატულ ნიუანსებში, ასევე რომანტიკულ-პერიოდულ პასაჟებში. გაიხსნეთ მისი ცეკვა. ეს სასტივი ბედისაგან გაოგნებული და დათრგუნული მარტოსულის სარიტუალო როგვაა. ეს გლოვაა, ჭრველი პასაჟი, ესტი, მიმიკა ძრწოლას იწვევს მაურებელში. ამ წუთში უნებლივედ გაგონდება რ. როლანის სიტყვები: „შემოქმედება ნიშავს სიკვდილის მოვლას.“

უაღრესად ადამიანური და ბუნებრივი სახით, ზედმიწევნით ნათელი და გასაგები ფორმით, მშვიდად, წყნარად აყალიბებს მსახიობი თავის ნაფიქრ-ნააზრევს და მაყურებელთან ურთიერთობას ამჟარებს. გამართული ფრაჩებით გაღმოგვცემს თავისი განსჯისა და განცდის ნაყოფს და ღრმა შთაგონების წყაროდექცეულ შინაარებს მსმენელს.

ოთარ ჩხეიძის პიესამ „სოლომონ, მსაჯული მეფისა“ (რეჟისორი ალ. ჯაფელი) მაურებლის გულწრფელი აღიარება დაიმსახურა. თ. ჩხეიძის პიესა თავისუფლებადაკარგული, ღირსებააყრილი ერის ტრაგედია. თბილისში ამ სპექტაკლის ჩვენების შე-



მდევ სცენაზე ავიდა ბატონი ოთარ ჩხეიძე და მიუღოცა მსახიობს წარმატება - „დარეჯან ჭამაურის მარიამ ლელოფალი, - წერს რეცენზიაში თეატრმცოდნე გიორგი ლალიაშვილი, - ღირსებით და სიამაყით აღსაქსე ტრაგიული სახეა... მისი სახით სპექტაკლში დიდი სიმართლის მსახიობი, ქართული სულის არისტორიატი ვიხილეთ.“ სწორედ ამ როლის საუკეთესო შესრულებისთვის მსახიობს შმაგის სახელობის პრემია მიენიჭა.

დარეჯან ჭამაური ინტელექტუალური მსახიობია, გამოირჩევა მახვილი სცენური პროვენტით, ზუსტი ინტუიციით, განცდის სიმძაფრით, გმირის სულიერ სამყაროში წყდომითა და გარდასახვის უნარით. იშვიათად შეხვდებით ასეთი მრავალმხრივი და მრავალფეროვანი ნიჭით დაჯილდოებულ მსახიობს. ქალბატონიმა დარეჯანმა თავისი შემოქმედებით ცხოვრების გზაზე სახეთა მრავალფეროვანი გალერეა შექმნა, ის ერთნაირი სიძლიერით თამაშობს, როგორც დრამას და ტრაგედიას, ასევე კომედიას, ვოდევილს და სხვ.

თბილისში გამართული სათეატრო ფესტივალის ერთ-ერთი და უბრწყინვალესი სპექტაკლი გახლდათ გორის გ. ერისთავის სახ. სახელმწიფო დრამატული თეატრის ნაშუშვარი, რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ (რეჟისორი ნ. ლორთქიშვანიძე). „მსახიობი დარეჯან ჭამაური, რომელიც ჩვენთვის უფრო ცნობილია დრამატული ხასიათის როლების კარგი შესრულებით, ჩინებულად წარმოდგება ელისაბედის

მცველობად სახასიათო როლში (რეჟისორი ვ. ბრეგაძე). ამ სპექტაკლში ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის მსახიობმა პრემია დაიმსახურა.

რეჟისორი გამართული თეატრალური ფესტივალის დროს მაღალი შეფასება მიეცა ჭამაურის ბერლედას - საუკეთესო ქართველი ქალის სახეს, სიმართლით, ქართული სულით დამუხტულს, ვაჟა დადანიძის პიესაში „ხე ალვად ამოდიოდა“.

ნაყოფიერი შემოქმედი წარმატებით აგრძელებს თეატრის ტრადიციებს. მისი შემოქმედების მწვერვალია უსაყვარლესი როლი - ო. ჩხეიძის „ქეთევანი“ (რეჟისორი ალ. ჯაფელი), მსახიობის დიდი სიხარულიც და ტკივილიც. გაათმაგებული პასუხისმგებლობით მუშაობდა იგი ქეთევანზე, წინაპარზე, წმინდაზე. ამასვე მოითხოვდა პარტნიორებისგანაც. გულის სისხლს ანთხევდა როლზე მუშაობისას, მთელი არსება მიუძღვნა, იმიტომ, რომ დრამატურგი ოთარ ჩხეიძე იყო, იმიტომ, რომ როლი - ქეთევანი! ოვაციები, რაც ამ სპექტაკლზე მიიღო, თავის ცხოვრებაში არ უნახავს. მთელი დარბაზი დაიძრა მსახიობისკენ. ტევა აღარ იყო სცენაზე და კულისებში. „ჩემი შინაგანი სამყარო ქეთევანში მძივივით აიყინა“, ამბობს დარეჯანი, მაგრამ დიდი წარმატების მოუხდავად, სპექტაკლის ჩვენება მაღლე შეწყდა. მას თითქოს „წამებულის“ ბედი ერგო. ის რეჟისორმაც კი ვერ დაიცვა.

მსახიობის საოცნებო როლი იყო ლელე მაგბეტი, რომლის დაღმაც დცისკარიშვილმა ჩაიფიქრა, მაგრამ



ჩანაფიქრი ვერ განახორციელა. დ. ცისკარიშვილი წავიდა თეატრიდან. სიამოვნებით ითამაშებდა, აგრეთვე ო. ჩხეიძის პიესაში „ვისია, ვისი” – მაგდას როლს; თამარ მეუჯეს იონა ვაკელის ამავე სახელწოდების ტრაგედიაში. ისურვებდა ო. ჩხეიძის „მეუჯე აშოტ დიდი კურაპალატის” დადგმას. ამ პიესას ქართული დრამატურგის ბრწყინვალე ნიმუშად მიიჩნევს. მაგრამ მსახიობის ოცნება რატომდაც რეალობად ვერ იქცა.

დამაგვირგვინებელი პრემიერით, აღ. ქოქრაშვილის „მარწვის ცივი ტორტი” (რეჟისორი გულაუნდა სიხარულიძე), გორის თეატრი თავისი მაღალი შემოქმედებითი პოტენციალით გადალახავს იმ ფსიქოლოგიური კრიზისის ზღვარს, რომელშიც ის წლების მანძილზე იმყოფებოდა. ამაში დ. ჭამაურის დიდი წელილიცაა.

სპექტაკლმა „მარწვის ცივი ტორტი” დიდი რეზონანსი გამოიწვია და თეატრს გამარჯვება მოუტანა. გორის თეატრისკენ შემოტრიალდა თბილისის თეატრალური სახოგადოება, რაიონისა და ადგილობრივი მთავრობა, დაინტერესდა კულტურის სამინისტრო. სპექტაკლს დიდი შეფასება მისცეს უცხოელმა მაყურებლებმაც. გამოსაკეტად განწირული თეატრი ფეხს დადგა, ადგილობრივი მთავრობისგან გაისარდა დაფინანსება. რამაც განაპირობა მსახიობთა ხელფასების მომატება. სპექტაკლით „მარწვის ცივი ტორტი” რეჟისორისა და მსახიობთა მაღალკვალიფიციური შრომის შედეგად გორის თეატრი პოლავ ჭურალდების ცენტრში

მოუქცა და ამან განაპირობა გამოიყენებოდა ქართული თეატრის 150-ე წლის იუბილე გორში ჩატარდა. ამ ნამუშევრით კიდევ ერთხელ გამოიკვეთა აქტიორის გზნება, ტემპერამენტი, ხასიათი და დარეჯან ჭამაური მისი შესრულების გამო კ. მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი გახდა.

ბავშვებიდანვე მძიმე, ეკლიანი ცხოვრების გზა პქონდა. მასთან სულ იდგა პრობლემა ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისა, რაც დღესაც გრძელდება. დღევანდელმა ეკონომიკურმა სიღუბჭირებ და გაუსაძლისმა ცხოვრებამ დ. ჭამაური რადიკალურად შეცვალა. თავმოღრევილი ნ. ლორთქითანიდის „თავსაფრიან დედაკაცად“ თუ ი. ჭამაურის „ოთარანთ ქერივის“ პროტოტიპად იქცა. შეიღები იყვნენ მის გვერდით, ფეხს დასაცენტრიზნი, გადასარჩენი: „გადაიყრენს, იშოვის, გადაივლის, გასცურავს, მიიღონს. თავისას კი მიაღწევს: ბავშვებს სამართალს მოუნახავს...“ როდის არ უჭირდა მსახიობს, მაგრამ, დღეს, მაინც, განსაკუთრებით! ვედრებით შეკეტებული სახლის სახურავი საეჭვო... წვიმისგან ჩამორცებილი, ნაცრემლარი კედლები, მორყეული იატაკი, სიღატაკე და ლოსაბარა, ისევ დათის შეწევნამ თუ გადაარჩინა!

სიხარული?.. „ჩქიმ პროექტისა და ნიჭიერი რეჟისორი თუ მაძლევდა შრომის სიხარულს, პრემიერის დღები, სპექტაკლის გამარჯვება, მაყურებლის ცრემლიანი თვალები, აღტაცება, ტაში...“

მატერიალურ სიღუბჭირეს სულიერი ტრავმაც დაემატა. იყო დრო,



გორის თეატრის დასში სამი თაობა მონაწილეობდა. სწორედ ამ თაობათა შეთანხმებული მუშაობა განაპირობებდა თეატრის შემოქმედებით წარმატებას. ბოლო წლებში კი, ერთეულთა რეესიონმა დასი შუაჩე გახლიჩა. ძველ თაობას სცენას აღარ ჰყარებდა. მსახიობები ღრმა გულისტყივილმა და უიმედობამ მოიცავა. მადლობა დმერთს, ყოველივე წარსულს ჩაბარდა. ვფიქრობ, დღევანდელი თეატრი, შენარჩუნებული დასი, სამედი ხელშია, თეატრიც და დასიც სამსხვერპლოდ არა გაიწირება.

მომავლის იმედი?.. ალბათ, ისევ ღმერთის, წმინდა გიორგის, დედალვისმშობლის რწმენაა. ახალჩამოსულის საოცარი სიზმარეული ჩვენება:

„მომდევდა ბრძო კეტებით, ქვებით ხელში, ჩემ ჩაქოლებას ცდილობდა (არც ეს დამკლებია ცხოვრებაში), მოულოდნელად ზეციდან ჩამოფრინდა თეთრი რაში, დამიჩოქა, ზურგით ამიტაცა და ზეცას მიაშურა, – ასე გაგრძელდა გათენებამდე. სიზმარი წინასწარმეტყველური იყო. ცხოვრების მანძილზე წმინდა გიორგის ზეციური ძალის მფარველობას ვკრძნობდი. თუ დღემდე ცოცხალი ვარ, ესეც ღვთის სასწაულად მიმაჩნია.“

დარეჯან ჭამაური კარგად გრძნობს საკუთარ ძალას. ის ნაყოფიერი შემოქმედია. შხატერული კითხვის ოსტატობით და სადღესასწაულო სი-

ტყვის ხელოვნებითაც გამოიწვია დღესაც აღმავალი ქმრიცით განაგრძობს მეტყველებას და აღწევს ზეგავლენის მწვერვალს. გააჩნია დიდი მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი და უკეთესობისადმი ღრმულვა. ეს კველაუერი – განუყოფელი ერთოანობით შეთავესტებული, ცხოველმყოფელი ხელოვნებით გაცეცხლებული და მგზნებარე შემოქმედებით გამოხატული, – ანიჭებს ჭამაურს შეუცილებელ ადგილს თეატრალური ცხოვრების სარბიელშე. დღეს შემოქმედებითი სიმწიფის ხანაშია. კიდევ ბევრს უნდა ველოდევ ახალგაზრდული შემართებით აღსავე შემოქმედისგან.


აღსრულდა წინამდღვრის შეგრძება: „აღიღო უდელი მისი, ისწვა და ზიდა, რამეთუ მშვიდ იყო დაბალ გულითა და პპოვა განსვენება სულმა მისმა. ზარსა ჰქონება ტაძარში. ტაძარს თეატრი უწევა, ტაძარი – ხელოვნებისა“.

დაფასდა მსახიობის ღვაწლი, 1990 წელს დარეჯან ჭამაურს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა, ხოლო 2001 წლის 28 ნოემბერს, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში, მის პოპულარიზაციაში გაწეული პირადი წვლილისთვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის დაჯილდოვა და ღირსების ორდენით.

# თეატრისათვის

## ახასოებს

### მიღაცაცი!



რუსთაველის თეატრის მსახიობს დავით პაპუაშვილს ესაუბრება თეატრმცოდნე ზაზა სოფრომაძე

**ზაზა სოფრომაძე:** ბატონო დავით, თქვენ რობერტ სტურუას თეატრის მსახიობი ბრძანდებით. მის მიერ განხორციელებულ ბევრ წარმოდგენაში მონაწილეობთ. რას იტყოდით მასთან მუშაობის თავისებურებაზე, ამ თანაშემოქმედებაზე?

**დავით აააშავილი:** მე რობერტ სტურუასთან უკვე 40 წელია ვთანაბართომლობ. ჩვენ თითქმის ერთდროულად მოვედით თეატრში. აქედან დაიწყო ჩვენი შემოქმედებითი ურთიერთობა და დღემდე ასე გრძელდება. მთელი ამ წესის მანძილზე იგი მიზანმიმართულად წარმართავს თავის შემოქმედებით ცხოვრებას. რასაკირკველია, მისი სპექტაკლები განხხვადება სტილის. აზროვნების, დადგმის ხერხების თვალსხრისით. რა თქმა უნდა, იგი ცვლის ხოლმე თავის პოზიციას, რადგანაც ცხოვრება ცვლება. თეატრალურ ხელოვნებაშიც ახალ-ახალი მეთოდები შემოდის. ახალ-ახალი გზები ისახება სამსახიობის შესრულების თვალსხრისითც. დღეს ახალი მიმართულებებით უნდა დაიღვას სპექტაკლი და ჩვენც ასე

უნდა ვითამაშოთ. ყოველივე დროის შესაბამისად ხდება. ჩემთვის რობერტ სტურუასთან მუშაობის ეტაპებში განსხვავება დიდი არ არის. იმდენად, რამდენადც მათი ეკვე ნახევრის სატყვითაც მესმის. ვინც ბატონ რობერტთან არის ნამუშევარი, იცის მისი ხასიათი, ნაწარმოებრივი დამუიდებულება და მსახიობთან მუშაობის თავისებურება. ცალკეულ სპექტაკლზე მუშაობისას დიდ განსხვავებას ვერ იგრძნობა. განსხვავება მაყურებელმა უნდა დაინახოს. ყოველ პიესის თავისი თამაშის მანერა სჭირდება. ღროის შესაბამისად თეატრალურ ხელოვნებაშიც იცვლება თამაშის სტილი, მხატვრობა, მუსიკალური გაფორმება. ერთი სიტყვით, ყველა კომპონენტი. ეს საჭიროა. ახალი სახით რომ იხილოს „მაყურებელმა, ახალი გმირები რომ დაიძადონ.

**ზ.ს. რეჯისორი,** ამ შემთხვევეში რობერტ სტურუა, თქვენ, მსახიობს, მუშაობის პერიოდში და შემდეგაც, როცა სპექტაკლში თამაშობთ, როგორ გეხმარებათ? ქმნის იმ გა-



ნწეობა-აურას, სცენურ გარემოს, რაც თქვენი სათქმელის უკეთ წარმოჩენას უწეობს ხელს? ალბათ ეს მომენტი რომ არ არსებობდეს, თანამშრომლობის პროცესი ასე ხანგრძლივად არ გაგრძელდებოდა.

**ღ.3.** რასაც კი რეალია. როცა ბატონი რობერტი პიესაზე მუშაობს, მსახიობისათვის სიღრმეების გახსნას დღილობს. იგი განსაზღვრავს რა ხდება, ვინ ხართ, რატომ ამბობ ამა თუ იმ ტექსტს. უამრავი ვარიანტი არსებობს. ერთი რეჟისორი ამგვარად ფიქრობს. მეორე – სხვანაირად. ბატონი რობერტი ზუსტად გისაზღვრავს ყოველივეს და თანდათან იმ აურას, იმ გარემოს შენის, სადაც შენ, მსახიობი, შენი პერსონაჟით თავსდები. ამავე დროს იგი არ არის ის რეჟისორი, რომელიც გიბრძანებს, გინდა თუ არა ასე გააკოურ. ის სრულ თავისუფლებას გაძლევს. რომ იფიქრო, შენეული ვარიანტი მოიტანო. მისაღებს მიიღებს. ბატონი რობერტი დაგიდგამს. შეგიქმნის; მიდი და იმუშავე. სპექტაკლის მთავარ გენებს არ უნდა გადაუხვიო, თორემ შენეული შეიტანე მასში. როცა თბილისშია, რობერტ სტურუა ყოველთვის ამოწებს სპექტაკლს, ყოველთვის კონტროლის ქვეშ ვართ. მას იმდენი აქეს გაღებული, იმდენი აქეს მიცემული მსახიობისათვის. რომ ვაღლებული ხარ, ეს შეასრულო.

**ზ.ს.** თუ ცოტა ხნით წარსულს გაიხსნებათ, საინტერესოა, ვის ხელმძღვანელობით ეუფლებოდით მსახიობის ოსტატობას თეატრალურ ინსტიტუტში, რას იტევით სტუდენტობის წლებზე.

**ღ.3.** ინსტიტუტში ჩემი პედაგოგი საშა მქელაძე იყო, ძალიან კარგი პოროგნება და პროფესიონალი, მომთხოვნი და მეცაცრი კაცი იყო, ამავე დროს კარგი იუმორიც პერნადა. მესამე-მეოთხე კურსზე კუკური პატარიძე მასწავლიდა ოსტატობას. მეტყველებაში ბაბულია

ნიდოლამშვილი გვევდა, სასცენო მასტერი მრაობაში კოწო ბადრიძე, პრინციპში, ინსტიტუტი სწორ ჩვევებს გიყალიბებს, გიხეწავს მეტყველებას. გიმუშავებს სასცენო მოძრაობის უნარს. ერთი სიტყვით, გხატე გაყენებს. ეს იმას ეხება, ვისაც ნიჭი და მსახიობობის მოთხოვნილება აქვს. თეატრში, შემდეგ, პრაქტიკულად ბევრ რამეს სწავლობ. თოხი წლის მანძილზე ინსტიტუტი სრულყოფილ მსახიობად ვერ ჩამოგაყალიბებს, მაგრამ ძირითად ბაზას იგი გაძლევს. ჩემი პედაგოგი ის ადამიანები იყნენ, რომელთაც კარგად იცოდნენ, რა არის თეატრი და მსახიობი. მისი ცხოვრება. საერთოდ, თეატრალური ინსტიტუტი ჩემთვის ყოველთვის ძვირფასია, ის არის ჩემი უპირველესი აღმზრდელი.

**ზ.ს.** ბატონი დათო, თქვენი ვაჟი, ზუკა პაპუაშვილი მსახიობია. თანაც უკვე პოპულარული მსახიობი. მას და მის თაობას თავისი მაყურებელი ჰყავს, თქვენ, როგორც ხელოვანი, მსახიობი და მამა როგორ შეაფასებთ მას და მის თაობას? კრიტიკული ხართ თუ არა ვაჟიშვილის მიმართ?

**ღ.3.** ხანდახან, ჩემებური ხედვით, რადაც არ მომწონს ხელშე მის შესრულებაში. თუმცა, კრიტიკული არა ვარ ჩემი შეილის მიმართ. ჯერ ერთი, ახალგაზრდა მსახიობია. თანაც უკვე ჩემი კოლეგაა და კოლეგის კრიტიკა არაეთიკურად მიმარხია. თუმცა ხანდახან შემიძლია, მსუბუქად შეენიშნო რაიმე. რაც შეეხება თაობას, ძალიან მომწონს იგი. მაგალითად, თეატრალურ სარდაფში ნიჭიერი ახალგაზრდები არიან. მშევნიერი ბირთვია ჩამოყალიბებული. რა თქმაუნდა, ეს ლექან წულაძის დაშახურებაა, ის საოცრად ნიჭიერი რეჟისორია. ვფიქრობ, იგი ამავე დროს საზოგადო მოღვაწეა. ჩვენთან, რესტავრაციის თეატრშიც ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდები არიან თავმოყრილნი. მათ ყველა



იცნობს, რომელი კრთი დავასახელო: ზაზა პატუაშვილი, ლევან ბერიძეშვილი, დათო გორიძიძე, დათო დაჩიჩია, თემიკო ჭიჭიანძე, დათო ააშვილი. მალხას ქერივიშვილი და ბევრი სხვა. ასეთ სხვა თუატრებშიც. ძალიან კარგი თაობა მოგის.

ზ.ს. თქვენი რეპერტუარიდან, იმ სპექტაკლებიდან, რომლებშიც თქვენ მონაწილეობთ, გამოვყოფ ერთს, განსაკუთრებულს რუსთაველის თეატრისათვის, რომელს სტურუას შემოქმედებისა და საერთოდ, ქართული თეატრისათვის. ეს არის „კავკასიური ცარცის წრე“, სპექტაკლი, რომლის ყოველი წარმოდგენა ამღენი წლის შემდეგაც ზეიმია.

ლ. 3. 23 ოქტომბერს მე-600 წარმო-  
დგენა ვითამაშეთ.

ზ.ს. და მიუხედავად იმისა, რომ  
ჟ-600-დ ითამაშეთ, დარბაზში ტევა  
არ იყო. ესაა სპექტაკლი, რომლი-  
თაც მსოფლიო შოთარეთ, საინტერე-  
სოა, როცა თამაშოთ, რა განცდა  
გიპერობთ, რას ნიშნავს იმ უჭირნობ  
საღლესასწაულო გარემოში ცოფნა,  
რასაც „კავკასიური ცარცის წრე“  
ჰქონა?

**డ.३.** కిర్వెల్ రుగ్బి ఉన్డా గతికేరాతి, రుమ సాలూయిన ఉచ్చారాని రైప్పెర్చింపియిపో క్రెటీన్డా. భ్యామారో సారుపారి ఖాల్సిసిత మొదింపుడా. అండ్రోల్ గాగ్జాట్లాచూ నొఫ్సారమెట్రోల్ ఏప్పోదా లు అండ్రోల్ సాంక్రమ్యాల్ని వ్యాపారిసులో గాల్పాట్స్ వ్యాపారా. రుమ సెప్పెల్తాక్లో గ్రాటిష్మెంట్ లు అంటుస్తున్చుక్కాడని దాచినా. మేర్చు అం సెప్పెల్తాక్లో ట్యాట్రూమా మెత్తులు సెంగ్లూడ్లు గార్చిపో లుంచ్చియి మెగ్జుల్ క్రొమా. అం ట్యాట్రూమి భ్యామారోసి మానథిల్స్ జే ఎంతి ఫ్టారమాల్త్రోదా లు ర్యథోన్సానొ అన మినాశ్చ్యా. ఉప్పు, “రిహార్డ్ ప్రీ”, రిమేల్సాచు ఉణిడ్లేసి ఫ్టారమాల్త్రోదా క్రెట్సుల్లా ర్యుచ్చెంపిచు లు ఉప్పెల్లో తెంపిచు, మాగ్రామ „క్రెప్పాసిస్ట్రూసిస్“ శ్యేట్స్ట్యుప్పుగా గన్సుప్పుతుర్కెచ్చుల్లాం. గీ సెప్పెల్తాక్లో గ్రాటిష్మెంట్ లు ఉణిడ్లేసి ట్యాట్రోల్సె. న్యెల్సాచు స్థోన్సొ అం ఫొర్మమెండ్లా-

ნით გავხსნით; გასტროლებზე მოვარდოვა  
რებთ მის ჩეკნას. ერთი სტევია,  
„კავკასიური ცარცის წრე“ რუსთავე-  
ლის თეატრის სახეა. ეს უბრენდელი  
წარმოლგენაა. თოთქმის ყველნი მოვაუ-  
ცდით, სპექტაკლი კი ახალგაზრდაა. ჩე-  
მთვის ამ სპექტაკლში და რობერტ  
სტეურიას სხვა წარმოლგენებმი მონაწი-  
ლეობა უდიდესი ბეჭინირებაა.

ზ.ს. თქვენ, 60 წლის მსახიობი,  
რომელიც 40 წელია სცენაზე ხართ,  
ამ გადასახედიდან თუ გადააკლებთ  
თვალს თქვენს შემოქმედებას, რას  
გამოყოფთ? რა გეგმები გაქვთ?

**డ.३.** જ્ઞાનજ્ઞરંભોદિત 60 ચિહ્નોસ ગુ-  
ર્બેદ્ધાં, જ્ઞાન એવું ગુર્બેદ્ધાં ડા એવું જ્ઞાન  
મદ્દાલાખીંબ્ધાં. ઓદ્ધેદો માઝેસ, રોમ કોણેવ  
ગુર્તામાખેદ, કોણેવ શેવ્યેથો રામેસ. અઠોસિં  
સ્યુર્વાળીંબો માઝેસ ડા એવેરાંગાંબુ. હેમો ગુ-  
ર્બાસાખેદોદાં કો રા ગુંઠેરાત, હેમો શે-  
મેર્વેફેદેદા પુર્વેલંગાંસ સ્યુલસા ડા ગુ-  
ર્બેદ્ધે યોગ આપેદ્ધાંદો. ટ્ર્યાલ્રિનિસાટગોસ અના-  
સ્નોદેસ મિલાલાખીંબા. અનાસ્નોદેસ મેંનોના  
કેર્યેટ્રેન્સીંબોડો, અનાસ્નોદેસ મીન્દ્બેચ્વેરાંબા. એ  
દેદ્ધાં, રોમ ટ્ર્યાલ્રિનાં મ્સાબોંદો પુર્વે-  
લંગાં પાર્શ્વાં ગ્રહનોંદ્ધે તાવેસ. એ ગુ-  
ર્બેદ્ધાંસ દાખ્યુંગાંબીંબ ગેન્સેવા. હિંગાલદાંબ ડા  
ફાર્ન્યુમાંબેલ્લંગાંબુ. ટ્ર્યાલ્રિન અસ્યોતા.  
મ્સાબોંદો પુર્વેદ્ધ રોંદ્ધે સ્ન્યુલ્યુનોંગાંદ  
ગ્રેન તોમાંસેદ્ધાં. એ રોમ, એ બ્રેગરિ જે-  
રિંપેટ્ટિયા, માગુંથ ટ્ર્યાલ્રિન પુર્વ્યારસ  
ડા શેનો સાખ્મિસા ગ્રંથાંસ, દાઢ્રાંગલંગેદ્ધેદોસ  
એ ઉંદા શેર્પેનીંદ્ધ. અઠીંઠમ, ઓદ્ધેદો મા-  
ઝેસ. રોમ કોણેવ શેવ્યેદ્ધેદો એબાલો રોંદ્ધે-  
દોસ શેખ્મનાંસ, કાંગ્રેલ રોંગ્ષો, હેમો માઘ્ય-  
ર્યેલ્લંસાટગોસ, રોમેલીંબો દાલોંદાં મી-  
ગ્યારસ. ર્યેસટાગ્યેલિંસ ટ્ર્યાલ્રિન સાંગ્રાંનિ  
માઘ્યર્યેદ્ધેલ્લો ક્ષાગ્સ, રોમેલીંબો ચિંદ્ધેદોસ  
મનસિંદ્ધે મોસ ગ્રેરણીંદ્ધાં. સાય્રાંતોંદાં,  
જાર્યાંગ્યેલ્લો માઘ્યર્યેદ્ધેલ્લો સાચ્ચેટ્યેસો  
ટ્ર્યાસદ્ધેદોસ અમોંનીયા.

ზ.ს. ასე რომ, მნიშვნელასა და შე-  
მოქმედებით წარმატებებს გისუ-  
რვებთ, მაღლობას მოგასხენებთ, სა-  
ინტერესო საჭრიისათვის.

# ქართული კინოში

## ვასილ გიგნაძე

### გამოთხოვება

### მოკონტაქტი

„ის აღარ თავამოგდა“

ქობულეთის სანატორიუმ „საქართველოში“ მიგვარდა დასვენება. არაჩვეულებრივი ატმოსფერო იყო. მეოთხე სამმართველოს ეკუთხოდა და კვება კარგი ჰქონდათ. მთელი ელიტა აქ იყრიდა თავს. მარტო დასვენება კი არა, მუშაობაც სანალისო იყო. დღეში 4-5 საათს ვმუშაობდი. სანატორიუმის ხელმძღვანელობა ხელს მიწყობდა. თავს ბეჭდიერად ვერნობდი, მრომის შემდეგ რომ გავისეირნებდი ხოლმე.

ერთ წელს ვერიყო ანჯაფარიძესთან ერთად ვისვენებდი. ქალბატონი ვერიყო პირველ სართულზე ლუქსში ცხოვრობდა, საღამოს ეზოში გამოდიოდა. არაფერს განსაკუთრებულს არ იცავდა, მაგრამ ყველაფერი უხდებოდა. ერთხელ შეაგვანდა ეზოში გამოსვლა. ნომერში ვეწვი. ოთახში რომ შევედი, უცებ შეკვრთი. სავარძელში იჯდა დაუძლურებული, ნაოჭებით დაღარული ღრმა მოხუცი. თოთქოს ვერიყო კი არა, ვიდაც სხვა მოხუცი იჯდა სავარძელში.

— ქალბატონ ვერიყო, ავად ხომ

არა ხართ? — ექითხე.

- საშინლად!..
- ექიმს გამოვიძახებ!..
- ექიმი ვერაფერს მიშველის!..
- რა გტკივათ?
- სიბერე!..
- გულს მომეშვა.
- რას ამბობთ, რა დროს თქვენი სიბერეა, სანაპიროზე გავისეირნოთ...
- ვასო, სიბერებზე საშინელი ტკივილი არ არსებობს...
- ამიტომ ხართ მოწყენილი? თქვენ თავს არ ჰგავხართ.
- ბიჭო, შენ სიბერე მარტო წლები გვინია?

— ხო, ვიცი, რუსთაველმა ხომ თქვა, სიბერე მჭირს, ჭირს უარესიო.

- ვითომ წავისუმრესავით.

- მარტო ვარ, უსკინდისოებმა ვავლამ მიმატოვა...

— ქ-ნო ვერიყო, ვისხე ამბობთ? ქვეყნა თავზე გევლებათ, შვილები... — სიტყვა არ დამამთავრებინა.

რა შეაშია ეგენი, რა გითხარი, ვერ გაიგე? რა სისულელეს მელაპარაკები... ჩემი თაობიდან ყველა მოყვდა, მეგობრებიც და მაყურებლებიც, ყველა წავიდა, დავრჩი მარტო, იცი, ეს რა საშინელებაა? ახლა ხომ მიხვდა?!.

თავის დაძარღვულ, დაბერებულ ხელებს დახედა. საოცრად ნაღვლიანად დასცექერდა. ისეთი ღუმილი ჩამოვარდა, სუნთქვა შემეკრა. ერთხანს ხმა არ ამომიღია, უხერხელდად ვიგრძენი თავი. გასვლა აღარ შეიძლებოდა. თითქოს ფიქრების მოშორებას ლამობსო, ისე გაიწია თავი. ასეთი მელაქელიური ვერიყო არასოდეს არ მენახა და ვერც ვერასოდეს წარმოვიდგენდი. ჩემს წინ იჯდა ენერგიისაგან სრულიად დაცლილი, ჩაფერიულილი,

ღრმად მოხუცი ქალი.

- იქნებ, მაინც წამოწოლილიყავით?
- რაღაც უადგილოდ ჩაიღლაპარაკე.
- რას სულელობ, ბიჭო, რა დროს ძილია, მეყოფა...

— კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

- ქნო ვერიყო, ვითომ ასე დიდი ხანი გავიდა, უუხენას როლში გენიალურად რომ ცეკვავდით, მართლა საოცრება იყო! მართლაც, რა გენიალური იყავით. რის სარა ბერნარი, რის დუშე... — რიტორიკულად გავუტიე და გავუტიე.

— მართლა ასე მოგწონდა? — თქვა და თვალებში შემომხედა.

მისი თვალებიდან, თითქოს, ლაზერის სხივივით წამოვიდა შუქი, გაჩნდა სინათლე, რომელმაც საოცარი იერი მისცა მის სევდიან სახეს.

— მე ხომ წერილი დავწერე!..

— ჰო... მახსოვი, ჩემი როლებიდან რომელი უფრო მოგწონდა, პირდაპირ მითხარი, არ დაიწყო მიყიბულ-მოყიბული ლაპარაკი, — ოდნავ გაიღიმა. პასუხს არ დაელოდა და დაუშატა, არ მითხრა ახლა. რომ ფერდაფერი მოგწონდა, იცოდე, არ დაგიჯერებ, ფერდაფერი მე არ მომწონდა.

— ნუ დამიჯერებო, მაგრამ მართლა ფერდაფერი მომწონდა. — ცოტა ვიცრუე.

— გამოდის, რომ მე მოგწონდი, როლები რა შეჲშა?!?

— სწორია, თქვენ ახლაც ისე გამოიყერებით, რომ... — ნამდვილად მეტი-სმეტი მომივიდა, პირდაპირ გადავამლაშე, მაგრამ არაფერს დავექებდი, ოდონდ გამოცოცხლებულიყო. თუნდაც უყვირა, გაველანძლე სიცრუისათვის, ოდონდ შეცვლილიყო მისი განწყობილება.

— მართლა, ბიჭო? — იროვნიული ლიმილით თქვა, თვალები მოჭუტა და რაღაც უცნაურად შემომხედა, უკვე სხვა ადამიანი იყურებოდა.

— მართლა! — თავხედურად არ დავიხი უკან.

აბა, რაღა გიჭირს, გაყეთებულა შენი საქმე! — თქვა და სიცილი აუტყდა. სავარძლის სახელურებს ხელი დაპერა. უცებ ისე სხარტად წამოდგა, რომ გავოცდი. სარევეთან მივიდა და სახეზე რაღაც მიისუ-მოისვა, კაა გაისწორა, შემომხედა და ლიმილით მითხრა: — მაშ, გავისეირნოთ, არა? სად მეპატიუებიძი?

პირდაპირ განსაციიფრებელი იყო მისი ფერისცვალება. სულ სხვა ადამიანი იდგა ჩემს წინ, — ბებია უუხენა კი არა, ვიღაც სხვა ახალგაზრდა, იქნებ მეღვა ან მარგარიტა გოტიე? არ ვიცი, რამ შეცვალა ასე უცებ, საიდან გაჩნდა სიცოცხლის წყარო, რომელმაც უცნაური ძალით გაანათა მისი შინაგანი სამყარო.

ხელი გამიყარა და ისე გავედით ქწოში. დამსენებლები ყველანი ქალბატონ ვერიყოს უურებდნენ. მოედნის ცენტრში ისე იდგა, თითქოს სცენაზე იყო. კველას ულიმოდა, ესალებოდა. პირდაპირ დამსენებელთა ერთი ჯგუფის ალყაში მოვყვით. უცებ, მოულონებელად იხურა:

— იცით? ვასო მეარშიყება...  
მე უხერხულად გავიღიმე.  
— რამ შეგაშინა, ბიჭო!..  
ძალიან მესიამოუნა სიტყვა „ბიჭო“.  
სანაპიროსკენ გავისეირნეთ.  
შიგადაშიგ უურნალისტივით ვაპარებ შეკითხვებს.  
— ქნო ვერიყო, რა გრძნობა გქონდათ მარგარიტა გოტიეს სიკედილის



სცენაში? აღბათ, ყველაზე ძნელია სცენაზე „სიკვდილის თამაში“, თუმცა, თქვენ ისე ლამაზად კვდებით ხოლმე, პირდაპირ სიკვდილი მოგინდება კაცს.

— არძანის ფეხის ხმას რომ გავიკრინებდი, მართლა ისეთი შეგრძენება მქონდა, რომ უკანასკნელად ვჰკვდებოდი. არ მინდოდა ჩემს სიკვდილს დასწრებოდა. თითქოს მართლა მოვკედებოდი. მთელი სხეული ნელ-ნელა მიცივდებოდა...

— სცენაზე ყოველთვის ახალგაზრდა ჩანსართ, რატომ? რა ხდება?

— სცენა ენერგიის ხარჯვის პროცესია. არ შეიძლება ხალხის წინ იდგე დაუძლეულებული ბებერი... მაყურებელი დაუნდობელია. მისთვის სულ უნდა იხარჯო. უკვარს, როცა სცენიდან ენერგია მოიდის. სცენაზე სიბერე არ შეიძლება, სიბერის თამაში — კი... მაყურებელი არაფერს გაპატივებს. ტორებლორების ბრძოლა ხომ გინახავს? ბასრ ხანჯალს ვინც უფრო ძლიერად ჩაარჭობს საცოდავ ხარს, მაყურებელი მას მეტ ტაშს უკრავს. ხალხს უხარია, ზეიმობს, როცა ხარი კვდება. განა ეს საშინევლი არ არის? სხვისი სიკვდილის სიხარული ხალხს დემონულ ბრძოდ აქცევს. უარესი რამ არ ხდებოდა ნერონის დროს? ცოცხალ ქრისტიანებს შშიერ ვეფხვებს უყრიდნენ სტადიონზე. ხალხი ოვაცით ხდებოდა, როცა ვეფხვი ადამიანს შეჭამდა.

— ბრწყინვალედ აქვს აღწერილი სენკევიჩს რომანში „ვიდრე ხვალ, უფალო.“

— ვიცი, ქართულ თეატრში იდგმებოდა.

— გამოდის, რომ ადამიანში მხეცი ზის...

— ზოგჯერ უარესიც. მხეციმა ერთი მიერთ იცის, რა არის წამებით სიკვდილი. ადამიანმა კი იცის და ამას სიამოვნებით აკეთებს. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ აკეთებს, ხომ ადამიანი აკეთებს.

უცებ შევცვალე საუბრის თემა. მაინტერესებდა დიდი მსახიობის აჩრი სცენაზე თანამედროვეობის შესახებ. მაშინ ეს აქტუალური საყითხი იყო.

— ქ-ნო ვერიყო, რა არის თეატრში თანამედროვეობა?

— ვასო, არათანამედროვე რაღაა? — კითხვა შემომიბრუნა და გამომცდელად შემომხედა. დავიწყე თანამედროვეობის ჩემეული ახსნა, შემაწყვეტინა.

— ნუ ლაპარაკობთ, თეატრში არათანამედროვეობა არ არსებობს. ადამიანი ყოველ ღროში ადამიანია, თუ მას აცოცხლებ, რა მნიშვნელობა აქვს ღრიას? მთავარია, ცოცხალი ადამიანის სახე შექმნა. ის უსათუოდ თანამედროვე იქნება. ხომ არ შეცვლილა ადამიანში სიყვარული. სიძულვილი, შძობლიური გრძნობები, უნება, — ყველაფერი მარადიულია. გამოვლენის ფორმებია სხვადასხვა. თქვენ თემებზე ლაპარაკობთ, თეატრი კი თემები არ არის. თეატრი ადამიანის ცხოვრებაა და თუ ადამიანია სცენაზე, მისთვის დრო პირობითია...

— სადმე ჩამოვჯდეთ, — მითხრა და მიმოიხედა.

ჩამოვჯევით. შესანიშნავი საღამო იყო. ზღვა არ ღელავდა. უცებ, სრულიად მოულოდნელად, კარგა ხნის ამბავი გამახსენდა.

— ქ-ნო ვერიყო, გახსოვთ დეზერტირების ბაზარი?

— რაზე ამბობ?

— მე ხშირად დავდორდი, ერთხელ ერთად ვივაჭრეთ. ბაზარში შევხვდით.

თქვენ დატვირთული იყავით. ერთმა ყველის გამფიდველმა გოგომ ხურდა რომ დაგიბრუნათ, თქვენ არ აიღეთ.

— პო, მახსოვს, თავისი ჭკუით მა-  
ტქუებდა...

ქნა ვერიყომ ერთი გოგოსგან ყველი იყიდა. გოგომ ჯერ ვერ იცნო, ვის მიჰყიდა ყველი. როცა ვერიყო წა-  
ვიდა, გერელით გამფიდველმა უთხრა  
სატრაბახოდ გექნება, ვერიყო ანჯაფა-  
რიძემ შენგან ყველი იყიდა.

გოგო გადაირია. უცებ გამოეკიდა ვერიყოს, ხურდა დაგრჩაო და ფული გაუწოდა. ხურდა იმდენი იყო, რაც ყველში გადაიხადა ვერიყომ.

— გოგონი, მე ხურდა არ მეტ-  
ოვნის...

— ქალბატონო ვერიყო, ნამდვილად  
დაგრჩათ.

ვერიყომ მოისინჯა საუელე და გო-  
გოს უარი უთხრა.

— მე იმდენი ფული მაქვს, რამდე-  
ნიც უნდა მქონდეს.

გოგოს გულწრფელად უნდოდა ვე-  
რიყისთვის პატივი ეცა და თავისი  
ჭკუით „ხურდის“ ფორმა მოიგონა, მა-  
გრამ არ გამოუყიდა.

— წავიდეთ, — თქვა ქნა ვერიყომ  
და წამოდგა, მქლავი გამიყრა მქლავში  
და ნელ-ნელა სანატორიუმისკენ წავე-  
დით. მის ღუქუშში რომ შევედით, მო-  
წყვეტით ჩაეჭა სავარძელში. მოდუ-  
ნდა, წელში მოიხარა.

ის აღარ თამაშობდა.

## პასტორალური მელანეოლია

სოფლიდან სამ-ოთხ კილომეტრზე  
მივერეკებდით საქონელს სამოვრე-  
ბზე. სადილად ცივი მჭადი და ყველი  
მქონდა. ტანხე მუდამ მმების გამონა-  
ცალი ტანსაცმელი მეცვა. ფეხსაცმე-

ლიც, რა თქმა უნდა, ბერჯერაფრთხოებული  
მოყვენებისა იყო. საქონელს მოკეთებული  
ბდი საძოვარზე და დიდი დრო მრჩე-  
ბოდა ფიქრისათვის.

ასე იყო იმ დღესაც. მე პანტის ხის  
ძირას წამოუწევი. მოწყენილი გაცემე-  
როდი ერთფეროვან პეიზაჟს და სევდი-  
ანი ღექვების გახსენებით ვიღიბიანე-  
ბდი თავს.

სევდა მმაგივით საიმელოა და სა-  
სიამონია მარტოობის ჟამს. რა მი-  
ნდოდა, მე თვითონ არ ვიცოდი. იქნებ,  
ეს გარდატეხის ასაყის ბრალი იყო. ნა-  
ხირში ერთი ძერწი და ხნიერი ძროხა  
ერია. იმ ღლებში უპირებდნენ და-  
კვლას. ფიქრებში გართული ვიყავი,  
ძროხა რომ ხის ძირას მოვიდა და იქ  
დაიწყო ბალახის ძოვა. რატომდაც  
თვალი სულ მისკენ გამირბდედა. მიწაზე  
წამოწოლილი ვიყავი და ვფიქრობდი,  
როგორ წაატცევდნენ, შეუკრავდნენ  
ფეხებს. როგორ გამოუსვამდნენ ყელში  
დანას, რისთვის, რა დაშავა?

ადამიანმა რომ ხორცი შეჭამოს?  
კაცმა რომ თქვას, საშინელება!  
მინდია არ ვიყავი, მაგრამ რაღაც  
ამგვარი განცდა დამეუჯვლა, როცა ვუ-  
ფურებდი ძროხას, რომელიც მშეიდად  
ძოვდა ჩემს გვერდით. წამოწევი, მი-  
ვედი და შუბლზე ხელი გადავუსვი,  
მოვეუვრე. გაჩერდა. ესიამოვნა მოვე-  
რება. მომეჩვენა, რომ უცნაურად ნა-  
ღვლიანი მიყრებდა.

ისევ წამოწევი მინდორზე. ძროხამ  
ისევ დაიწყო ბალახის ძოვა. არ მშო-  
რდებოდა. შერიახლოს ტრიალებდა.  
ვუფურებდი და ვფიქრობდი, ძროხაზე  
ექთილი და სასარგებლო ხომ არა-  
ფერი შეუქმნია ბუნებას-მეტქი:

იძლევა ხორცი, რძეს, კარაქს,  
ყველს, ნადულს, შრატს, ტყავს, ბუნე-



ბრივ სახუქს, ყველაფერს ადამიანისათვის, არაუის ერჩის, არავის მტრობს, არავის აწყინიებს.

ერთი წუთით, პირობითად რომ წარმოვიდგინოთ ასეთი სარგებლიანი და კეთილი ადამიანი, როგორი იქნება იგი?

იდეალური!

კაცი რომ თქვას, ასეთი ღირსებუბით შემცული ადამიანები რეალურად ალბათ, არც არსებობენ.

ძროხები კი არსებობენ!

მაშინ ამდენს არ ვფქრობდი, მაგრამ მეცოდებოდა ძროხა, რომელიც თითქოს განგებ არ მშორდებოდა.

ფიქრებში ჩამეძინა.

სახუქ უწევეულო სითბო და რაღაცის შეხება ვიგრძენი. ცხელი ორთქლი. თვალები გამიშტერდა, როცა ძროხა დავინახე: თავზე მაღალა და არ იძვროდა. წამოვდექი, ძროხას ფეხი დაჭირა გველის თავზე, რომელიც ჩემსკენ მოცოცავდა. გველი საშინად იყლანებოდა. ვურტყი ჯოხი, ქვა, ძროხა ადგილიდან არ დაიძრა, სანამ გველი არ მოვალი. შებლზე ვაყოცე და საბალახოდ წაიყვანე. რაღა დამაძინებდა, არაფერი ისე არ მძაბს და არაფრის ისე არ მეშინა, როგორც უხსესნებლის.

ძროხამ ნაღდად გადამარჩინა!

საქონელი მდინარეში შევრეკე. ვაბანავე, მეც ვიბანავე. მანც გამორჩეული ყურადღებით ვექცეოდი დაბერებულ და უსარგებლოდ მიჩნეულ ძროხას, რომელსაც შეეძლო სიკვდილამდე სარგებლი მოეტანა ადამიანისათვას.

სკოლადან რომ დავბრუნდი, ძროხა დაქლული დამხვდა.

პატარა ბავშვებმა იციან შეწეული ქათმის, ცხვრისა თუ თხის დაკვლის

დროს ტირილი. მე პატარა აღარ ჰქონილი ყავი და სახლში ტირილისა შემრცხება. ვერავინ ვერ გაიგებდა ტირილის მიზებს, მაგრამ ძალიან განვიცადე. გული ჩამწყდა. თითქოს ახლობელი დაუკარგე.

\* \* \*

ფანტასტიკურია შეგუების უნარი.

ეს არის ადამიანის უნივერსალური უნარი.

სრულიად განსაკუთრებული ფეხომენი.

ადამიანი ეგუება ყველაფერს.

ეგუება შმობლების დაკარგვას...

ეგუება შვილის დაკარგვას...

ეგუება მეუღლის დაკარგვას...

ეგუება მეგობრის დაკარგვას...

ეგუება ძმებისა და დების დაკარგვას...

ეგუება საშმობლოს დაკარგვას...

ეგუება რწმენის დაკარგვას...

სიცარულის დაკარგვას...

დალატს...

შერცხვენას...

სიბერეს...

ეგუება სიკვდილს...

— დედა, სიკვდილის არ გეშინა? — ვეუბნები ოთხმოც წელს გადაცილებულ დედას.

— რატომ უნდა მეშინოდეს იმისი, რაც კელას თავზეა? ცას ხომ არ გამოვეკრები? როცა მოვა, მოვიდეს...

რაღაც დაუზინებით მიმზერს, თითქოს რაღაცის ამოკითხვა უნდა ჩემს ნათქვამში, იღიმება და თვალებში მიყურებს.

— ვის რას ვუშვებ?.. არ გაგიგა: სიკვდილმა ჩამოიარა,

რათ არ წამიყვან მაღლეო...

— რას ამბობ, დედა? რა დროს წასკლაა. ასი წლის იუბილე უნდა გადა-

გიხადოთ. შვიდი შვილი, თერამეტი შვილიშვილი, რამდენი შვილთაშვილი, დიდი იუბილე იქნება...

— ოკ, ოკ... არა, მაგრენ ხანს არა, სასჯელია, შვილო, სასჯელი...

— რატომ, რატომ?

— შვილები ცოცხალი ხომ მყაფს, იმით არის სიცოცხლე კარგი. თუ შვილები დაიხოცებან, მე რაღა მინდა?..

დედა სიკვდილზე ისე ლაპარაკიბდა, როგორც ყოველდღიურ საოჯახო ამბავზე.

— დაილოცა ეს ცხოვრება, ისე ღლის ადამიანს, რომ სიკვდილის აღარ ეშინა. მე ჩემი დრო მოუპამე... თქენ იყვათ კარგად, მე წავალ პავლესთან...

ვინანე, რომ დედას სიკვდილზე დაუშვე ლაპარაკი.

უტაქტობა იყო უთუოდ!..

## დიდი მინისტრი

ოთარ თაქთაქიშვილი ქართული კულტურის საამაფო მინისტრი იყო. ფართო ერუდიცა, მაღალი ეროვნული ცნობიერება, მოქალაქეობრივი სისაქტეები და დაბლობათის ნიჭი თავის შემოქმედებასთან ერთად მას სრულიად განსაკუთრებულ ავტორიტეტს უქმნიდა.

ბატონ ოთარს იძლენად ფართო, მასშტაბური აზროვნება და პოლიტიკური ალლო პქონდა, ხშირად აღტაცებას იწყებდა. ბევნიერად კოვლი თავს, რომ მასთან მომიწია მუშაობა. მთელი სამინისტროს ორგანიზატორული ცხოვრება და მართვა მის მოადგილეს აკაცი დაღიშვილს მიჰყადა. ბატონი ითარებოდა დიდ პატივს სცემდა ბატონ აკაცის და საუსებით ენდობოდა მას. ხელოვანთან მუშაობა არასოდეს არ

არის ადვილი, მაგრამ ერთმანეთს ფასი იცოდნენ და კარგად შეუწერებია ამ პერიოდის კულტურის სამინისტრო, მართლაც, კულტურის სამინისტრო იყო.

მინდა გავიხსენო რამდენიმე ეპიზოდი:

... ბატონი ოთარის კაბინეტში ვართ. რეგავს „ვეჩე“, ანუ მთავრობის საგანგებო ტელეფონი. მოსკოვიდან ელაპარაკება კულტურის მინისტრი, რომელიც ბატონ ითარებს წინადაღებას აძლევს გადავიდეს სამუშაოდ მოსკოვში, ჩაიყოს სახ. კონსერვატორიის რექტორის თანამდებობაზე.

ბ-ნი ოთარი პასუხობს:

— დიდი მაღლობა, არ ველოდი, თუ თქენებ ასე მაღალი შერის იყავით ჩემს შემოქმედებაზე. მოსკოვის კონსერვატორია უდიდესია მთელს შესველიოში. მისი რექტორობა საამაფო და დიდი პატივია ჩემთვის, მაგრამ მე ვერ წამოვალ...

— საყითხი ცენტრალურ კომიტეტში შევათანხმეთ, ჩენებ თქვენს კანდიდატურაზე შეუჩერდით...

— არა, არა, არ შეიძლება...

— რატომ, რა მიხეში გაქვთ?..

— კონსერვატორია რუსი ხალხის სიამაფეა, რექტორი აუცილებლად რუსი უნდა იყოს.

— გმაღლობით, ასეთი მოსახრებისათვის, მაგრამ თქვენი ინტერნაციონალური ბუნება და რუსული კულტურისადმი პატივისცემა გვაძლევს საფუძველს კანონიერად დაიკავოთ რექტორის ადგილი...

— ვერ შევძლებ, იფიქრეთ რუს კომპოზიტორებშე. მანდ არაან ღირსეული კანდიდატები. ჩემი უარი საბოლოოა.



ცოტა ხანს კიდევ ისაუბრეს. ოთარი ვერ გატეხეს, ვერ დაყოლიეს... მე გაოცებული კუჭურებდი, ვერ მიეხვდი, კომპოზიტორმა რატომ თქვა უარი, მართლაც, მსოფლიო მნიშვნელობის კონსერვატორიის რექტორობაზე. ბატონმა ოთარმა შემატყო გაოცება და ღიძილით მითხრა:

— აი, შენ ახლა გაგიყვირდა. ჩემი მოტყუება ეგრე ადვილი არ არის, ვასო, მაგენს რომ ჰგონათ.

— რა, ტყუილად შემოგთავაზეს?..

— არა, რექტორად მართლა უზნდივართ, მაგრამ მანდ ძალის თავია დამარტელი. იცი, რატომ უნდათ ქართველი რექტორი?

— არ ვიცი, ვერ ვხვდები...

— ჩემი ხელით უნდათ გააკეთონ თავიანთი საქმე. მაიძულებენ, გამაკეთებინებენ და მერე რექტორად რუსს დასვამენ. არ გამოიუვათ, მე მაგას არ ვაზამ. იძლენად უნდათ ჩემი გადავვაწანა, რომ მინისტრის მოადგილეობაც შემომთავაზეს შეთავსებით. პრზიციები გექნება მაგარიო, სულელებმა, ამით ხომ მთლად გახსნეს ჩანაფიქრი. კონსერვატორიაში წმენდა უნდათ ჩამატარებინონ... ვერ მივართვი...

— ბ-ნო ოთარ, რა წმენდაზეა ლაპარაკი?.. ვერ ვხვდები...

— რას მიხვდები. არ იცნობ მოსკოვის კონსერვატორიას. მოელი კონსერვატორიას ებრაელებს უჭირავთ. რა-მდენი ხანია, რუსები წუწუნებენ, ახლა უკვე გაცოფდნენ. უნდათ მათგან გაწმენდა, ჰოდა, მე შემარჩიეს, არ უნდათ რუსმა გააკეთოს ეს. ქართველზე კი ვერ იტყვიან, ებრაელებს მტრობს, ანტისტიტიზმს ვერ დააბრალებენ. იციან ჩვენი ურთიერთობები, ამიტომ ყველაფერზე მიდიან, ოლონდ

დაუთანხმდე და ჩემი ხელით განაცილებული ვნონ ებრაელები კონსერვატორიიდა...

გამარცა ბატონი ოთარის ალლომაც და სულგრძელობამაც. არ ველოდი, ასეთი მზაკვრული ჩანაფიქრი თუ იდო ამ ამბავში. მე წინადაღება გულუბრყვილოდ, პირდაპირი მნიშვნელობით, ქვეტექსტის გარეშე მივიღე.

— ბატონობ ოთარ, ამის შესახებ რამე იცოდით?..

— ვასო, მე ხომ მოსკოვის კონსერვატორიას კარგად ვიცნობ, იქ მომუშავე რუსი კომპოზიტორების აჩრი ვაცი... არა, მაგენი მე ვერ მომატყუბენ...

ერთხელ ასეთ ამბავსაც შევესწარი მის კაბინეტში: ცნობილი ფაქტია, რომ ტრიაქტიფით დამთავრდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქართული კულტურის დღეები. ბატონმა ოთარმა იქ თავი გამოიჩინა, როგორც დიდი კულტურის მეორე ქვეყნის მინისტრმა. მან თარჯიშინებად ქართველი გერმანისტები წაიყვანა. მაშინ ეს ძალიან დიდი გაბეჭდულება და უნიკალური შემთხვევა იყო. როგორც წესი, თარჯიშებად მიჰყევდათ რუსები. რადგან რუსელი უნდა ყოფილიყო ურთიერთობის ენა. ამ შემთხვევაში კი რუსელი არც ერთ მხარეს არ დასჭირდებოდა.

ქართული კულტურის დღეების შემდეგ პოლიტიკურობის მ. სუსლოვის შეთაურიბით საგანგებოდ განიხილა მოძმე რესპუბლიკების კულტურის დღეების საკითხი და მიიღეს მათთვის ჩვეული იმპერიული გადაწყვეტილება. არამცუ დემოკრატიულ ქვეყნებში, არამედ რესპუბლიკებსაც ერთმანეთთან კულტურის დღეები ასეთი ფორმით აღარ უნდა ჩაეტარებინათ. შემოიღეს



„საბჭოთა კულტურის ღლევები“, რაც  
ნიშნავდა რესერვის მონაწილეობას  
კულტურულ რესპუბლიკის კულტურულ ღე-  
კადაში. ამ დროს საქართველოს და  
ესტონეთს უკვე ჰქონდათ გადაწყვე-  
ტილი. რომ ესტონეთში ჩატარებუ-  
ლიყო ქართული კულტურის ღლევი.  
ბრძენების საქართველოში ყოფნის  
დროს შევარდნაძის სიტყვაშიც გა-  
იცნირა ამ ფაქტმა.

მაგრამ დადგენილების შემდეგ კვე-  
ლაფერი შეიცვალა. როგორც ვთქვი,  
აირძალა მომექ რესპუბლიკების წა-  
რმომალებელთა ერთი-ერთზე შეხვე-  
ლრა.

— აი, ახლა, რა უნდა ვქნათ. აგვი-  
კრძალეს ესტონეთში მარტო წასკლა,  
რაღაც უნდა მოვიფიქროთ — ამბობს  
ბატონი ოთარი და ..ვეჩეთი “ რეკას  
მოსკოვში, ცეკაში. დაუკავშირდა ერთ-  
ერთ მდივანს. მგრინი დემიჩეს. დემი-  
ჩევი პასუხობს, გადატორეევთ ნახევარი  
საათის შეძლევა, საკითხებზე სუსლოვს  
დავილაპარაკებით.

ბატონი ოთარი იმწამსევე რეკავე  
ესტონეთის ცეკას ძესამე მდივანთან.  
ესტონეთს ძალიან უნდოდა ქართული  
კულტურის ღლების ჩატარება. რუსე-  
ბისაღმი საოცარი ხიძელვილი ჰქო-  
ნდათ.

ბატონი ოთარი მდივანს ისე ელაპა-  
რაკება, რომ მიახვედროს, თუ როგორ  
უწდა ჩატარდეს ეს ღონისძიება.

- ხომ გახსოვთ, ქართული კულტურის დღეები ესტონეთში, პოლიტიკურის დადგენილებამდე იყო გადაწყვეტილი. თქვენ ხომ უკვე გმირაცხადეთ ამის შესახებ. აღბათ, რადიოშიც იქნებოდა, კველებან. აბა, ხალხის მოტეულება როგორ შეიძლება, რას იტყვის ხაკვარელი ესტონელი ხალხი... მე ნახე-

კარ საათში კიდევ უნდა დავიწყოთ  
ამხ. დემიჩევს და აი, ვეტერი, რომ  
ესტრონეტში დიდი სამაღისია უკვე ჩა-  
ტარებული. თანაც პრეზენტვაც იცის.  
შევარდნაძემ თავის სტატიაში ხომ  
ახსენა ესტრონეტში ჩვენი კულტურის  
დღების შესახებ... ასე როგორ შე-  
იძლება ხალხის გაითიერება...

მიეცვდი, რომ ესტონეთის მდივანს  
მთელი სამოქმედო ინფორმაცია გადა-  
სცა. გააგებინა, თუ როგორ უნდა ემო-  
ქმედათ.

მე კაბინეტიდან გასასვლელად წა-  
მოვდექი.

— ნუ მიდიხარ, დარჩი, არ გაინტერესებს?..

ათი წუთის შემდეგ რეკაჟს ესტონეთის ცეკვას მდივანი და ბ-ნ ოთარს ეუბნება:

— ესტონეთის რადიომ ეს-ეს არის  
გადასცა მასალა ქართული კულტურის  
დღეების შესახებ. ჩვენ უკვე და-  
უკავშირდით მოსკოვში ცეკვას, ყველაძ  
იცის ქართული კულტურის დღეების  
შესახებ. ხალხი ვერ გაგვიგებს, ხა-  
ლხში უქმდობილება იქნება, თუ ჩა-  
მორიგეობა ლონისძიება.

ბაზიონი ღთარი იკინის:

— აი, ვასო, რა ჭეკვიანი ხალხია ესტონელები. ხელად მიხვდა ჩემს საუბარს. ათ წუთში ვველაფერი გაავეთეს — ახლა მე დავურეკავ ამხ. დემიჩევს.

დარეკა. ამს. დემიტერა უთხრა,  
რომ ესტონეთი შემფოთებულია ღონი-  
სძიების ჩაშლით. რაც ბრეჭნევი  
ინფორმირებულია, დეკადა უნდა ჩატა-  
რდეს.

ბ-ნა თოთარმა პირდაპირ დემონსტრაციულად მჩქვენა, თუ როგორ უნდა გამოიყენება ეროვნული საქმე. ამ

მხრივ ის ხომ, მართლაც, დიდი პატრიოტი იყო, – საქმით პატრიოტი.

## მინისტრის პარადოქსები

ხანდახან პარადოქსებიც უყვარდა ბატონ ოთარეს. სამინისტროს ერთ-ერთ ძეველ თანამშრომელზე ბევრს ლაპარაკობდნენ, თითქოს სუკ-ის ინფორმატორი იყო. ერთ-ერთი რეფისორი პირდაპირ ხელს ადგება, მე დამაპირისპირებო და ოთარმა, ჩანს, უფრო მეტი იცოდა მასშე. ამიტომ არ უყვარდა, მოშორება უნდოდა, მაგრამ ვერ იშორებდა. ერთხელ სერიოზულად მეუბნება:

– ვასო, ძალიან მიყვარხარ, პატივსა გცემ, მაგრამ ნაწევნი ვარ შეწევ, ხანდახან არ მიჯერებ.

– რას არ გიჯერებთ, ბატონო ოთარ!

– ვიცი, შენც არ გიყვარის აი, ის მავანი...

– არ მიყვარს, მერე?...

– ხომ იცი, რაც არის, ახლა ჩვენ გვინდა ასეთი ადამიანი?

– არ გვინდა, მაგრამ რა ვქნათ?

– აბა, თუ ეგრეა, აიღე და მოხსენი...

– გაოცებულმა შევხედე. მე განყოფილების უფროსს, ბრძანების დაწერის უფლება რომ არ მქონდა, ძალიან კარგად იცოდა ბ-ნმა ოთარმა და ამიტომ გაკვირვებულმა შევხედე.

– ხო... ხო... აიღე და მოხსენი...

– ბრძანებას თქვენ წერთ, თქვენ მოხსენით, მე მხარს დაგიჭროთ, თუ ეს გჭირდებათ...

– არა, ჩემგან არ შეიძლება...

– რატომ? მაშინ მოადგილეებმა გაათავისუფლონ.

– რა შეუაშა მოადგილეები, მე შენ

გენდობი. როცა სამინისტროში არ ჰყდა მინისტრი, შენც აიღე და გაათავისუფლე... ქნება, შენც აიღე და გაათავისუფლე...

– ეს ხომ ფიქტური ბრძანება იქნება, კიდევ რომ დაწერო, არავითარი რეზიდენცია ძალა არ ექნება...

– რატომ არ ექნება? აი, ხომ ხედავ, არ მიჯერებ, ხომ გითხარი, არ გიყვარება და იმიტომ...

– როგორ არ მიყვარხარი, მაგრამ არ მესმის, რა მნიშვნელობა აქვს ჩემს ბრძანებას. გაიგებენ და სიცილს დაიწყებენ.

– იცინობ მერე, რა გენალვლება. მე ავდგები და უფლებების გადამეტებისათვის საყვედლურს გამოგიცხადებს. მიხდი რაშია საქმე? ხომ მიხდი?...

– მერე, ინიცილებს და თავს აღიდგენს, თანაც უმიზებოდ იქნება განთავისუფლებული.

– აი, შენ კიდევ შენსას ამბობ, მე განთავისუფლების ბრძანებას არ გავაუქმებ. თუ ინიცილებს, ვეტყვი, ჩემი მეგობარი ვასო უკანონო მოქმედებისათვის დავსაჯე, მეტი რა ვქნა... ბრძანებას კი ვერ გავაუქმებ...

გაოცებული უუფრებდი ბ-ნი ოთარის საოცარი გულუბრევილობის თამაშს. მიმიხვდა და გულწრფელად მითხრა:

– იცი, რა გითხრა, ჩემი ვასო? ჩენ ხომ მეგობრები ვართ. ზოგჯერ ასეთი პარადოქსებით კარგი საქმე კეთდება. გიჩივლოს სასამართლოში, თუ აღადგენენ...

– რა თქმა უნდა, აღადგენენ...

– ჰოდა, ხომ ინერვიულებს, გაწვალდება, აბა, სხვას ამდენს ანერვიულებს, ის კარგია?..

მე სიცილი ამიტყდა.

– რას იცინი? არ მოგეწონა? აბა, ჩემმა მოადგილეებმა რომ დაწერონ



ბრძანება, სერიოზული ამბავი იქნება, გაეძით უძრდებით. ასე უფრო კარგია... თუ ვინმე იცინებს, იცინოს... შენც ხომ იცინი!...

ორივემ გაყიცინეთ.

- კი არ ვხურობ... რა ვუყოთ?...
- გადაიყვანეთ საღმე...
- ვინ შიიღებს, ხომ იციან, რაც არის...

მაგრანდება მეორე პარადოქსი.

განყოფილების უფროსებს დაგვა-ვალა შეგვედინა ხუთწლედის სამუშაო გეგმა. ასეთ ბიუროურატიულ და-ვალებებს გვერდს ვერ ავუვლიდით. გეგმიანი სახელმწიფო ბრივი სისტემა იყო.

მე დავჯექი და შევადგინე ხუ- თწლედის გეგმა. რა თქმა უნდა, ძა- ლიან პირობითი გეგმა იყო. ბევრი რამ ფორმალური ხასიათისა იყო, რადგან იმის დაგეგმვა ხუთი წლის შემდეგ რომელი პიესა დაიწერებოდა ან რას დადგამდნენ თუატრები. შეუძლებელი იყო. ასეთივე როტული შესაღები იყო მუხიყალური განყოფილების გეგმაც. განყოფილებას ცნობილი კომპიუტ- ტორი ნოდარ მამისაშვილი ეღდა სათა- ვები. ცნობილმა მუხიყისმცოდნებმ ანტონ წულუკიძემ, რომელიც მაშინ სამინისტროში მუშაობდა, მითხრა, რომ კომპიუტორების ერთი ჯგუფი ოთარის წინააღმდეგ იძრდების, მას ახლა ძალიან სჭირდება ნოდარ მამი- საშვილის მხარდაჭერა. ბატონი ნო- დარი ისედაც დიდ პატივსა სცემდა ბატონ ოთარს, მაგრამ ბატონი ოთარი ცოტა ეჭვით უფრებდა ხოლმე თა- ვისი კოლეგების დამოკიდებულებას.

- თუ ქმა ხარ, მიჩვნე ერთი, რა გეგმა შეაღეთნე, - მითხრა ბატონმა ნოდარ მამისაშვილმა.

ვაჩვენე გეგმა.

- არა, მათ, ამის შემდგენელი შე არა ვარ! - მითხრა ბ-ნმა ნოდარმა.

- გეგმები კოლეგიაზე გადის დასა- მტკიცებლად, აბა, რას გაიტან...

- არ ვიცი, რა ვქნა, რაღაცას მო- ვიფიქრებ...

ამ დროს შემოვგესწრო ჩევნი ანტონი - საოცრად სპეტაკი და სიმა- რთლის მოვარული კაცი. ძალიან შე- წებდა, არ უნდოდა, რომ ოთარი კო- ლეგიაზე ნოდარს დაპირისპირდებოდა, რაც გეგმას ვერ გაიტანდა. ანტონმა მითხრა, ოთარს არაფრით არ უნდა ნოდარს აწევნინოს, სულ იმის ცდაშია, რომ ასიმოვნოს და ახლა რა უნდა ვწნაოთ.

- რა ვქნათ ახლა? რამე მოვიფი- ქროთ! - თქვა ანტონმა, წამოდგა და ოთახში ნერვიულად გაირა-გამოიარა.

- არა, არა, ნოდარი რაღაცას მო- ვიფიქრებს!...

- აგრე, ვასოს გეგმას გადავიწერ, ხადაც თეატრია ნახსენები, იქ მუსიკას ჩავწერ, მორჩა და გათავდა, - თქვა დიმილით და რბილი იუმრიოთ.

ანტონი ჯერ შეცბა, მერე დაფი- ქრდა. ვინმებ რომ გაგვიგოს, მერე რას შვრებთ?...

- კოლეგიაზე ასე გავცრებით და მერე თანდათან რაღაცას მოვიფიქრებ, შევცვლი...

ანტონი ნერვიულად წამოდგა, გა- იარ-გამოიარა, ხელები გაასაკავა და ოთახიდან გავიდა.

- თუ ქმა ხარ, გადამაწერინე, - მი- თხრა ნოდარმა.

მართლაც გადაწერა, რაღაცები ჩა- ამატა და ასე გავედით კოლეგიაზე.

კოლეგიაზე ჯერ მე გამოვედი ჩემი გემით, შემდეგ გამოვიდა ბ-ნი ნოდარი.



ბატონი ოთარი ქმაყოფილი დარჩა, მაგრამ უნდოდა, როგორმე ნოდარისათვის ესიამოვნებინა, განსაკუთრებული თბილი დამცირებულება გამოიხატა.

— აი, ვასო როგორ კარგად შეუდგენია ნოდარს გეგმა, ნახე და შეც გაითვალისწინე ბატონი ნოდარის გამოცდილება. კაცს რამდენი უშუალესია, ნიჭირი კომპოზიტორია ჩეკინ ნოდარი, აღმინისტრაციულ საქმეებსაც ხედავ როგორ ითავსები?

ანტონმა სიცილი ვერ შეიგავა, მრავალმნიშვნელოვან იღიმებოდა ბ-ნი ნოდარი, ნიშნისმოგებით მიყურებდა. მე ხომ ვერ ავდგებოდი და ვერ ვეტყოდი რაში იყო საქმე. მინისტრმა ანტონის ღიმილში რაღაც იგრძნო და თავის სიტყვას დაუშატა: არა, ვასომაც იცის მუშაობა, კაცს უწვალია. ძალას მნელია ხეთი წლის გეგმის შედგენა, ისე არ არის, ზოგიერთს რომ იოლი პჰონია, ბეკრი რომ ლაპარაკობს ზოგიერთი კომპოზიტორი. აი, აიღოს და ნოდარ მამისაშვილისნარი გეგმა შეადგინოს, თუ ბიჭია, მურე ვნახოთ. რაც იქნება...

ანტონი ძლიერ იყავებდა თავს და სულ მე მიყურებდა.

დამთავრდა კოლეგია. პირველი ბატონი ნოდარი მომვარდა და სიცილით მეუბნება:

— არა, ძმაო, ვასო! ჩემგან უნდა ისწავლო გეგმის შედგენა!...

კოლეგიას წევრები რომ წავიდნენ, ანტონი მინისტრის თახმში დარჩა.

ანტონ წელუები თარა თაქტექი-შეილის უახლოესი და უართგულესი მეგობარი იყო, მაგრამ იმდენად უნდოდა თარასა და ნოდარს კარგი ურთიერთობა პჰონდათ, მანც ვერ უთხრა რაც მოხდა, თუმცა, ის კი

უთქვამს, ვასომ და ნოდარმა გეგმის შედგინება, ვასოს გეგმაც კარგი იყო, შენ უფრო მეტად უნდა აღვენიშნაო.

ამ საუბრიდან ერთი საათის შემდეგ ბ-ნამ აოთარმა გამომიძახა:

— ვასო, ხომ არაუერი გენერინა, ჩვენ ხომ მეგობრები ვართ, ხომ ვთქვი, რომ კარგი გეგმა იყო, ხომ ვთქვი?..

— კი თქვით, ბატონო ოთარ, მაგრამ მთავრია საქმე. სიტყვას რა მნიშვნელობა აქვს — ვუთხარი ნაწყენი კოლოთი.

— აი, ხომ ხედავ, შენ ნაწყენი ხარ. კაკო ხომ ჩეკინ მეგობარია და რატომ არაუერი თქვა? ხომ იცი, როგორ ვენდობი კაკოს?

— კაკო რა შუაშია?

— არა, კაკოს შენ ძალიან უყვარხარა, მაგრამ რა მოხდებოდა, ერთი სიტყვით მაინც რომ ეთქვა. მე ხომ ვთქვი... .

იმდენად შეწუხებული იყო და ისე ბავშვივით მეცვერებოდა, რომ შემრცხვა და პირდაპირ ვუთხარი:

— ბ-ნო ოთარ, ნამდვილად არაუერი არ მწყენია, მე უიცი, რომ პატივსაცემთ და ჩემს შრომას ყოველთვის აფასებთ...

— აბა რა უნდა ჩეკინს ტატოს, გამიჭირა საქმე თავისი შენიშვნებით, ვასოზე ასე არ უნდა გეთქვაო... აი, ვაკეუცერად ხომ მითხარი, არაუერი არ მწყენია.

— არ მწყენია!

ადგა და გადამეხვია. ბავშვივით გაეხარდა ჩეკინი შერიგება.

\* \* \*

როცა რუსთაველის თეატრის დორექტორის დორიან კიტიას განთავისუ-



ულების საკითხი გადაწყდა, მის ადგილზე ათასი კანდიდატურა წამოტივტივდა. ბატონმა აკადი დეპლიმულმაც გადაწყვიტა, წასულიყო თეატრში.

— წავალ, დავუბრუნდები თეატრს, თანათან იქნებ ჩეს პროფესიასაც დაუბრუნდე, — მოთხრა ბატონმა აკადი. ბევრი ვისაუბრეთ და დაურწმუნდი, რომ მართლაც ძალიან უნდოდა გადასვლა, მაგრამ მინისტრი მხარს არ უჭირდა მის წასვლას.

— კაო, შენ დირექტორის თანამდებობაზე გინდა გადასვლა და მინისტრი წინააღმდეგა? — ვკითხე გაკვირვებით, როცა ეს ამბავი შევიტყვე.

— ასეა, სხვა კანდიდატურას უჰქოს მხარს.

— ვის?...  
— ?...

— კარგი კაცია, მაგრამ მან ხომ თეატრი არ იცის. პრემიერებზეც კი არ მინახავს... სად შენ და სად ის?

— ასეა და რას იხამ...

— მე ახლა შევალ მინისტრთან და პირდაპირ ვეტყვი, რომ ასეთი რამის გაკეთება უსამართლობაა.

— შედი, მაგრამ არა მგონია, რამე შეიცვალოს.

შევედი მინისტრთან. ჩვენ შორის ასეთი საუბარი გაიმართა.

— ბ-ნო ოთარ! ქალაქში ჭორი დადის, რომ რესტავრაციის თეატრის დირექტორის თანამდებობაზე ორ კანდიდატს — აკადი დეპლიმულსა და მაგანს შორის თქვენ მეორეს უჭირთ მხარს. ეს, ალბათ, მართლა ჭორია...

— არა, ვასო, რატომ ჭორი, მე კაკოს ვერ გავუშვებ...

— ძალიან უნდა...

— მერე რა, რომ უნდა, კაო ჩემი მეგობარია და ცოდვაა, არა, შენი მე-

გობარიც ხომ არის, შენ ურჩევდა რომელ წავიდეს...

— ძალიან უნდა და კარგიც იქნება. თეატრს ეშველება.

— არა, ვასო, არ შეიძლება.

— რატომ ბ-ნო ოთარ?

— კაომ ძალიან კარგად იცის თეატრი და მუშაობა გაუჭირდება. იმან კი სულ არაფერი იცის თეატრისა და მისთვის ადგილი იქნება მუშაობა.

გაოცებულმა შეეხედე მინისტრს. არ ველოდი საყითხის ასე შემობრუნებას. ასეთ პარადოქსებში დიდი სიმართლეა ხოლომე.

\* \* \*

„ოთარ თაქთაქიმვილი მეუბნება: რომანტიკა მოგონილია, ადამიანების წადილია მხოლოდ. მთავარია სისადავე და სიმართლე. მე რომ ვწერ, ღმერთს ველაპარაკები — მუსიკის ენით ველაპარაკები ღმერთს...

ასეა ირაკლი აბაშიძის ლექსშიც. სწორედ ღმერთთან საუბარით მოიპოვა გამარჯვება. მე მუსიკაში გადამაქას მისი საუბარი“.

ეს ჩანაწერი 1966 წლის 30 მაისის დღიურიდან არის.

## ფრაგმენტები დღიურებიდან

დღიურის ჩანაწერი: „რა დიდებული საღამო მოუწყო გიგა ლიორთებული გასო გოძიაშვილს ოპერის თეატრში. მე პრეზიდიუმში ვიჯექი. გავიგე, ლადოს მისალოცი დეპეშა მოსულა ქივიდან. თურმე წაკითხვა არ უნდოდათ. ვასო აღელდა, ეს ამბავი რომ გაიგო. დეპეშა წაიკითხეს. იყო ხანგრძლივი ტაში. საღამო ერთ დიდ სკეტუალს უდრიდა.

1965 წლის 21 დეკემბერია. ვასო კოძიაშვილის საიუბილეო ბანკეტი გა-



იმართა. კ. მარჯანიშვილის თეატრის ფოიეში. ნამდვილი საჩეიმო განწყობილება იყო. ხან ერთ სტუმართან მივიღოდა, ხან მეორესთან. ყველასგან კომპლიმენტს ისმენდა, და გაძაღრული სახით ტრიალებდა სტუმრებს შორის.

**სტუმრები კი ბევრი იყენებ!**

— რაღაც უფრებო, აბა, მოილხინეთ! დაბრძანდით! — გასცა განკარგულება ბატონშა ვასომ.

ჩემი და ნოდარ გურაბანიძის წინ ცნობილი რუსი პოეტი ევგენი ევტუშენი იჯდა. არ ვიცი, ვინ დაპატიჟა, მაგრამ ქართველ პოეტებთან მევობრიობდა და, ალბათ, მათ მოიწვიეს ბანეტზე. ევტუშენის პირველად 1958 წელს შეკველი მოსკოვში, სასტუმრო „ქარაბინის“ ბოლო სართულზე, რესტორანში. ევტუშენისთან ერთად იყვნენ ჯ. ჩარკვაინი, მ. მაჭავარიანი და სხვა ახალგაზრდა ქართველი პოეტები. დიდი ლენინი გაიმართა. დამამახსოვრდა ევტუშენის ლექსის კითხვის მანერა. კითხულობდა რაღაც მაიკონების სტატუსი. ჩამიტრია: „ევტუშენი ისე კითხულობს თავის ლექსის, თითქოს ბაღროს სტორცნის“.

...ბანეტზე კ. კალაძე ევტუშენის პირდაპირ იჯდა. გონიუნივერტლივ ხუმრიობდა. ევტუშენიმ ქაშუთზე ლექსი წაიყითხა. ტაში დავუკარით, კალაძე იხუმრა:

— ქართულ სუერაზე კი გიყვარით ჩვენი ქება და საღლეგრძელოებიო...

ევტუშენის ეწყინა. კარლოს დაუწყო ფრენება. კარლო გაბრაზებული უჭირებდა. შემდეგ ევტუშენიმ გაუღიმა, კარლომაც ღიმილით უპასება და ასე შერიგდნენ.

ბანეტს ესწრებოდნენ ცეკას მდი-

ვანი დევი სტურუა. დევი აქტივური მაწინაურებელი იყო რუსთაველის თეატრის ცნობილი კონფლიქტისა. ის დირიჟორობდა. თეატრიდან უკვე წასული იყვნენ თამარ ჭავჭავაძე, ნინო ლაფაჩი, ალექსანდრა თოიძე და სხვები. თამარი და ნინო სოხუმის თეატრში წავიდნენ, მაგრამ ამ დღეს ბანეტს ესწრებოდნენ.

ბანეტზე სიტყვა წარმოთქმა ემანუელ აფხაიძემ.

— ვახილ დავიდიჩ! — შენ მოიქვეხალხის დიდი სიყვარული. ყოველთვის არ ხდება ასე. გახედე რით დამთავრდა თამარ ჭავჭავაძის და ნინო ლაფაჩის ცხოვრება. დოღო საქართველოლან გააქციეს...

ცეკას მდივნის წინ ასეთი ღაპარაცი რაღაც დამტკრატიულ ელემენტებს შეიცავდა.

გასო გომიაშვილმა უპასება:

— ამხანაგებო! მე აღმუოთუბული ვარ, რაც რუსთაველის თეატრში მოხდა, ბანდიტებმა გაიმარჯვეს. მაშ, ასე შეიძლება? ჩალით არის დახურული ქვეყნა?

სიტუაცია დაიძაბა. ბანდიტების თქმა მეტისმეტი იყო. მაგრამ არავინ გააპროტესტა. ცხელ გულზე ნათექამმა ემოციურმა სიტყვამ მმიმე ღლები ჩააგდო დ. სტურუა. იგი წამოღვა და ნინო ლაფაჩითან მივიდა.

— ბოლოს გიხდით, რაც მოხდა, უნდა დაბრუნდეთ თეატრში. ყველაფერი გადაწყვატილია.

დევი სტურუამ არჩილ ჩხარტიშვილს დაუქანა.

— ბო არჩილ, ხომ გადაწყვეტილია მათი თეატრში დაბრუნება?

— რა თქმა უნდა, — დაეთანხმა არჩილი.



სიტუაცია განიძებტა. დევი სტურუამ იცრუა, უძრალოდ გამოსავალი იპოვნა, მაგრამ არჩილიც ხომ მონაწილე გაიზადა ამ სიცრუისა? იქნება მართლა გადაწყვეტილი ეკონათ და თეატრის რალაც ძალებმა არ დააბრუნეს ისინი?!..

ბანკეტი გვიანობამდე გაგრძელდა.

გამოთხოვებისას ვასო გოძიაშვილი  
გვეუბნება:

- ხომ მაგარი ამბები იყო? მაშ, უნდა ვაპატიოთ? არა უშავს, ბიჭებო, კველაფერი კარგად იქნება. დოღო ჩვენთან ძოვა, მაშ... არა, ისე, ხომ მაგარი სალაშო იყო?

— არაჩვეულებრივი! — ვეუბნებით.  
ვასო უსახლვროდ ბეღნიერია. დღეს  
ყველაფერი მისია, მის ირგვლივ ტრი-  
ალებს, მის სულში დიდი ზემითა. „მა-  
რტოობის ჟამია. ვუკრავ ფირფიტებს.  
მესმის მარიო ლანცას, კარუზოს, ჯი-  
ლის საოცარი ხმები. ბოლოს ვუკრავ  
ფალიაშვილის თქერების ფირფიტას.  
მაინც რა არის მმობლიური ხმები.  
თათქოს შენი მიწაც მღერის. შენი ფე-  
სვები იღვიძებს. კარგ ფირფიტას რომ  
ვუკრავ ფანჯარას ვაღებ საჭებით, მი-  
ნდა, რომ ქუჩაში გამვლელებმაც მო-  
ისმინონ. ყველამ განიცადოს სიხარუ-  
ლის, მუსიკის სიტყბო. განა, ასე არ  
იქცოვდნენ ძეველად მამები და ბაბუები,  
უღრაან ტყეში რომ ვაშლსა და მსხალს  
ამნობდნენ, უნდოდათ ყველასთავის  
ფოფილიყო ტყის ნამყენი ხილი, გა-  
ეხარა გამვლელსაც და გამომვლე-  
ლსაც“.

„ქალთა დღე მოდის. ვახტანგ ჭე-  
ლიძე მეუბნება, რომ თინას კარგი  
რამე ვაჩუქრო“. ძალან უნდა, რომ  
თინა შევიტო. ვთამაშობთ ლატა-

რიას, ვის ვინ შეხვდება. ბატონიშვილი მართვა-  
ხტანგი წრიალებს, ხან ვის ექიმისუ-  
ლება და ხან ვის, ოფიციალური თინა შე-  
მხვდეს „ლატარიაში“. საოცრად  
თბილი კაცია ვახტანგ ჭელიძე. ნა-  
ძღვილი ჯანტლემენი.

მე და ბატონი ვახტანგი ჩაედიაროთ  
მაღალიაში. ვირჩევთ საჩუქრებს. მგონი  
წესიერი საჩუქარი შევარჩიეთ. თინამ  
საჩუქარი ძიიღლო. მერე ვიმზიარუ-  
ლეთ“.

\* \* \*

„გახაფტელი დგება. გაცვირტა ხე-  
ები. ნუთუ ზაფტელს უცოლო შე-  
ვხვდები“?

\* \* \*

„ქუთაისში მივდივარ. გამოვეხოვე  
თინას. ეს თვეც წავიდა. ივნისის ბო-  
ლოს უნდა მოვიყენო თინა. კაი გო-  
გოა. რაღაც არაამქვეყნიური, წმინდა,  
სოდეთა...“

\* \* \*

„დღე იყო საცხე, ნათელი, დაძა-  
ბული — მარიანას კონცერტზე ვიყავით  
სპორტის სასახლეში. მარიანო სლა-  
ბინო შევარუვი იტალიელ მოძღვალს,  
მაგრამ სხვა ამბავი იყო კარგი. შე-  
ვხვდი თინას დას ლილის მეორედ. გა-  
უშინაურდი. ფეხით ვარიეტ კარგა  
ხანს. უნივერსიტეტთან თინას ამხანა-  
გები შეხვდნენ. ერთმა გოგომ თინას  
უთხრა: ა, ის, ეგერ რომ ბიჭი დგას,  
უნდა გაგირიგოო. თინას შერცხვა. სი-  
ცილი აუტყდა. ლილი ცოტა გაბრაზდა  
იმ გოგოზე. თინა მანქანაში სულ იცი-  
ნოდა, მე კი მაინცდამაინც არ მეცინე-  
ბოდა. მივედით სხალში ლილისთან. ცოტა ხანს ვისაუბრეთ. საქმე წინ მი-  
დის. მგონი ბოლო ეღება ჩემს მოსა-  
წყენსა და მარტოხელა ცხოვრებას“  
(9.VIII.1966).

水 水 水

„ორი დღე მიდიოდა მწერალთა ქრისტიანობა. მოსაწყენ ბანკეტსა ჰგავდა. .



რევაზ ჯაფარიძე გამოვიდა გრ. რობა-  
ქიძის დახაცავად. ეს იყო ერთი კარგი  
საქმე, მაგრამ რეზო კინაღამ დატუ-  
ქსებს. ა. გომაშვილს შეუტია. ირაკლი  
აბაშიძეს ისე მიპყავდა სხდომა, თო-  
თქოს სუფრის თამაღა იყო\*.

\* \* \*

„ერთი კვირაც და მე ცოლიანი  
კაცი ვიქენები. ჩემ ჭერევებ მოდის  
თინა, კეთილი გზა მას. ბერზიერი იყოს  
ახალი ცხოვრება, სავსე და ნათელი.  
მანი!“...

(3.IX.66).

\* \* \*

„აკაცი გეწაძემ დამირექა. რაყი ჩა-  
მოხვედი, უკვე დაქმშვიდლიო. გამეხა-  
რდა, ამ კეთილ კაცს საოცრად სუფთა  
გული აქვს. რაღაც განსხვავებულად  
ნაღდია. მისი მუსლინე ლილი სიკეთის  
განსახიერებაა, მეგობრების მოყვა-  
რული.

რა კარგია, რომ ქვეჭად არიან  
ასეთი ადამიანები.

რა კარგია, რომ, როცა თბილისში  
ბრუნდები, გელოდებიან.

დმტრთმა გაუმარჯოს მათ!

სიკეთე მათ!

ლხინი მათ!“...

(15.III.66)

\* \* \*

„ნოდარ ჩეხიძემ სასტუმრო თბილი-  
სის კაფეში დამპატიება. ცოტა და-  
ვლიერ. საოცრად გულაჭრილია ცხო-  
ვრებაზე. ბევრი რამ მითხრა ისეთი,  
რაც არ ვიცოდი.

- ვასო, თუ მმა ხარ, ცოტა გონს  
მოღი, ნუ ხარ თეატრზე ასე შეევარე-  
ბული...

- რატომ? - გაოცებული ვევი-  
თხები.

- იმიტომ, რომ ხულ ნიღბების თა-  
მაშია. ჩევნ სულ ვთამაშობთ. მე დავი-

დალე, აღარ მინდა მათ გვერდით უნდა გადა-  
მაში...

მეორე დღეს სამხატვრო საბჭოს  
სხდომა გაიმართა. ეს 1955 წლის 26  
აგვისტოა.

თეატრის დირექტორმა პავლე კა-  
ნდელაშვილმა წაიყითხა ნ. ჩხეიძის განცხა-  
დება თეატრიდან წასვლის შესახებ. ბევრისთვის მოულოდნელი განცხადება  
იყო. არც მე მეგონა, თუ აქამდე მივი-  
ღოდა საქმე. საბჭოს კველა წევრი ნო-  
დარის განცხადების წინააღმდეგ გამო-  
ვიდა. უარი ეოჭეასო განცხადებაზე. მე  
ოქმს ვწერდი. ოქმში ჩავწერ აკაცი ვა-  
საძის გამოსვლა: „ჩემი მეგობრული  
რჩევაა, დაუკერო კოლეგებიც, რომე-  
ლიც კოველთვის სიყვარულით და პა-  
ტივისცემით იყო გამსხვალული შენს  
მიმართ. განცხადება აჩქარებული გა-  
დაწევებილებაა. თქვენ თეატრის კო-  
ლეგებიც არ გავიშვებთ“.

თეატრმა არ გაუშვა. ნოდარი და-  
რჩა თეატრში“.

### „იპითხეთ გალაპტიონი!“

თბილისში მოვდიოდი. დედაჩემი გა-  
უთავებლად ჭეკას მარიგებდა: თბილი-  
სი შენი სოფელი არ გეგონის, არც  
ხონი. დიდი ქალაქია, ათასი ჯურისა  
და ჯილაგის ხალხის ცხოვრობს, ყა-  
ჩაღები, ქურდები, ხულიგნები, რა  
ვიცი, ვინ არ არის, მთელი მიღეთის  
ხალხია თავმოყრილი. ურთხილად  
იყავი, არაფერს გადაეფარო.

- რა უნდა იყოს, იქაც ადამიანები  
არიან - ვეუბნები მე.

- მერე, შენ რა იცი, როგორი ადა-  
მიანები არიან, ვინ რა არის, ღამე ნუ  
იწანწალებ.

- სქექტავლები ღამეა და, აბა, რა  
ვქა!...

— დროშე მიდი სახლში, პატარა რამდისათვის შენებურად წუ დაიწყებ კამათს. მოერიდე...

ასე „მაგრად დამუშავებული“ ჩამოვედი თბილისში. როცა შედამდებოლა, არ მსიამოქნებდა ქუჩაში ყოფნა, ერთხანს გამფება დედის დარიგების განცდა.

ქრთ საღამოს მარჯვინიშვილის თეატრიდან ..„ზემელისაკენ“ მივდიოდი. ხილშე მაღალი კაცი მოდიოდა. შეორუე მხარეს ხილის თავთან სამი-ოთხი ახალგაზდა იდგა და წვერებიან კაცს უყურებდა. ცუდად მენაშნა, მეორე მხარეს გადავალ-მეტქი, ვითიქრე, მაგრამ შემრცხე. ისე გამოდიოდა, რომ შექმინდა. ჩქარი ნაბიჯით წავედი, ისე ჩქარი, რომ პირდაპირ ჩავუქროლე წვერებიან კაცს, მაგრამ უცებ ჩამავლო ხელი. შემეშინდა, მტკარს რომ თვალი მოკარი, სულ გაუფირდი. გამახსენდა დედაჩემის დარიგება, ამ კაცმა რომ გადამაგდოს მტკარში, ვინ რას გაიგებს, ირგვლივ შეველელიც არავინ ჩანდა. უცნობი ხითხითებდა და მკლავშე მაგრად მიჭერდა ხელს. არ გძელესო — ფიქრობდა. როცა შევატყვე, რომ ნასვამი იყო, მთლად წავხდო.

— ძამიკო!... ლექსები გიყვარს?...

რა დროს ლექსებია, ვითქრობ ჩემთვის, მაგრამ მაინც მეშედავათა, რადგან რთულ კითხვას არ მისვამდა, თუ ვერ ვუპასუხებდი. გაბრაზდებოლა და წყალში გადამიძახებდა. ასე ვფიქრობდი მე. პირდაპირ არანორმალურ სიტუაციაში აღმოვჩნდი. აბა, სად გაგლილა, ვიღაც სოლიდური კაცი ხილშე გაჩერებს და გეუბნება, ლექსები თუ გიყვარსო. ნორმალურია ახლა ეს? — ვფიქრობდი ჩემთვის. უცნობი კი ხან

მიღიმის, ხან ხაოცარი სერიოზულად ბით მეკითხება: ძამიკო, აბა, თქვი, რომელი ლექსი გიყვარს? ზეპირად არ იცა?...

ვიფიქრე, ჯანდაბას ამისი თავი, ოღონდ მომეშვას და ვეტყვი რომელიმე ლექსს.

— ლექსების მეტი რა ვიცი — ვუთხარი მე.

— მაინ-მაინც, ვისი ლექსი იცი, ძამიკო?...

— ბარათაშვილის...

— რომელი ლექსი?

— ბევრი...

— მაინ-მაინც?... „მერანი“, „შემოღამება მთაწმინდაზე“.

— აბა, მითხარი, აბა, მითხარი!...

მხარეშე მომხვია ხელი და ხილის მოაჯირთან მიმიღწვედია. საქმე მართლა ცუდად არის — ვიფიქრე და წყალს გადავხედე. ნეტავი, ახლა გადამარჩინა და აწი დამე რაგა გავივლი ხილშე — გამიელვა თავში. ამ დროს უცნობმა ხმას აუწია.

— ძამიკო, იტყვი ლექსს თუ არ იტყვი...

— ვიტყვი, ბატონო, როგორ არ ვიტყვი!...

დავიწყე: „წარვედ წყლის პირას, სევდიანი ფიქრო გასართველად“...

უცებ არ მესიამოვნა არჩევანი და გავჩუმდი, რაღა მაინც და მაინც ეს „ფიქრი მტკარის პირას“ გამახსენდა, მე კიდევ მტკარი მინდოდა?

— კიდე რომელი იცი? — მეითხა და ჟინებით.

ახლა „მერანი“ დავიწყე, შემაჩერა.

— ბარათაშვილის გარდა სხვა პოეტების ლექსები არ იცი?...

— ვიც!

— მაინც ვისი?

- მაგალითად, მაშაშვილის...
  - მაშაშვილის?... მაშაშვილის?...
- რომელი მაშაშვილის?

ისე დამარცვლით, ხაზგასმით და ნაღვლიანად მითხრა, რომ თითქოს რაღაც დავაშვე, რაღაც ცუდი ვთქვი, მაგრამ უცნობი გაბრაზებული კი არა, ნაღვლიანი ინტონაციით მიძეორებდა: ძამიკო, მაშ, სხვა პოეტის ლექსი არ იცი?... გალაკტიონის ლექსი არ იცი?...

- ო... გალაკტიონის ბევრი ლექსი ვიცი!...

უცნობი გამოცოცხლდა, გაიღიმა და უკვე მოფერებით მომხვა ხელი.

- მაინც, მაინც, რომელი გიყვარს, აბა, თქვი რომელი?...

დავასახელე სამი თუ ოთხი ლექსის სათაური.

- აბა, მითხარი, ზეპირად იცი?
- დავიწყე მოყოლა.
- კაია, ძამიკო, კარგია, წადი ახლა და იყითხე გალაკტიონი...

ხელი გამიშვა. გამათავისუფლა და წავიდა. ამოვისუნთქე. გადავრჩი. ხილის თავში ახალგაზრდები ისევ იღვნენ, რაღაცას ჩურჩულებდნენ, არც ეს მესიამოვნა. ჩემსენ წამოვიდნენ. ერთ უბელურებას გადავრჩი, ახლა მეორეს გადავეჭარე-მეთქ, ვფიქრობდა. რაღა დროს სირცებილი იყო, გადავედი ხილის მეორე მხარეს... ახალგაზრდებიც იმ მხარეს გადმოვიდნენ. ერთი პირი გაქცევა დავაპირე. მაგრამ საშუალება არ იყო, შიშმა ამიტანა, მომიახლოვდნენ და დამიახეს:

- ჩვენი ძმა!
- შევჩერდი
- რაო გალაკტიონმა, რას გელაპარაკებოდა ამდენ ხანს?
- ვინ?

- ვერ იცანი? - გალაკტიონ ტანკები იყო!...

გავოგნდი. გული თუ არ შემიწუბდებოდა, არ მეგონა. ცოცხალი გალაკტიონი ვნახე. პოეზიის მელქის შეკევდი. ამას როგორ ვიფიქრებდი. მე ხომ ცოცხალი პოეტებიდან მალვალორთქიფანიის გარდა. არავინ მევადა ნანახი. ეს ხომ საოცრება იყო. ყველაუერი გადამავიწყდა. გამტერებული ვიღები და გალაკტიონის გზას გაუშურებდი...

წარვიდნენ წლები. გალაკტიონის სახელი სიცოცხლეშვე ლეგენდად იქცა. ერთმანეთში აიარია მითი და სინამდვილე.

ტრაგიკული იყო მისი ცხოვრება. ბედნიერად თვლილი თავს, როცა თავის სიკვდილზე ფიქრობდა. „ვინა თქვა შენი გარდაცვალება, არა, დღესა ხარ შენ ბედნიერი“ - ამბობდა, რადგან სწამდა თავისი ჟკვდავებისა.

ნოვალისი წერდა: „მე სიხარულით უნდა მოვკვდე. მე ახლა ვსწავლობ და ვეცნობი ჩემს თავს. ამიტომაც უნდა წავიდე სიცოცხლიდან“.

ნოვალისში სატრფოს დაკარგვით გამოწვეული განცდები კოსმოსურ მასტრაბებს იძნება.

გალაკტიონში მეუღლის დაკარგვა ტრაგიზმით აღაესებდა მის სულს.

რაღაც გროტესკულ სახეს იძნება მის მკერდზე ლენინის ორდენი.

პარადოქსულ წინააღმდეგობებში იხლართებოდა მისი პიროვნება და უსაჩლვროდ სტანჯვადა გაორების წუთები.

მისი პოეტური გენია მოიცავდა მთელ სამყაროს, მთლად საწუთოს, რომელმაც მას უკვდავებაში მიუჩინა ბინა.

ვ. ჯუგაშვილების თავის შესანიშნავ წიგნში „უცნობი“ აქვს ერთი ასეთი ეპიზოდი: ერთხელ გალაკტიონი ქუთაისში რომ მიღიოდა, მისი მანქანის მინას ჩიტი შეასკდა. გალაკტიონში მანქანა გააჩერებინა, გადმოვიდა, მევდარი ჩიტი ხელში აიყვანა, მოეფერა. გზის ნაპირშე გადავიდა. ამოთხარა პატარა საფლავი და ჩიტი დაკრძალა. საფლავს ჯოხი დაურჭო, ერთხანს მდუმარედ იდგა ჩიტის საფლავთან. ქუთაისიდან დაბრუნებისას მანქანა შეჩერა ჩიტის საფლავთან. გადმოვიდა და წამიერი დუშმილით პატივი სცა მისი მანქანის მიერ მოყლულ ჩიტს.

...ერთხელ თურმე ვაჟა ფშაველა და მისი მეუღლე სათიბებზე წასულან. ვაჟა უფრებდა, მისი ცელის ყოველ მოსმახურე როგორ ეცემოდნენ მთის ყვავილები, ბალახები. უცებ შეწყვიტა ცელვა და თავევე დაეშვა. ცოლი უყვიროდა, სად მიდიხარო, მაგრამ ვაჟას არ ესმოდა მეუღლის ხმა. ცოლმა განაგრძო თიბვა.

მეორე დღეს, როცა მეუღლე შინ დაბრუნდა, ნახა, რომ ვაჟას მოუღლი დამე წერაში გაეთვაზებინა.

მაგიდაშვილები ედო „გველისმჭამელი“. ვის შეუძლია ახხნას, თუ რა ხდება გენოსების სულში? – არავის!...

გალაკტიონს, ჩანს, არასოდეს შორდებოდა თვითმკვლელობის სურვილი, „სამღერებში ვკედებიო“ – ამბობდა მეფეპოეტი.

დადიოდა ჩეენს შორის, მოკვდავთ შორის უკვდავი სული და არავის უკვირდა, ხშირად თვალსაც კი არიდებდნენ. ის კედებოდა თანდათან, კედებოდა ყოველ დღე, ყოველ წეს,

კედებოდა ნელა, თითქოს შეკრისებული კლად, უნდოდა, ბოლო მოკედოდა მის ტანჯვას, გაქცეოდა დედმიწას, რომელიც მას ასე ეპატარავებოდა.

იქ შორეთში, მიღმეულ სამყაროში, რომელსაც არც სასრული აქვს და არც საწყისი, იქ უნდოდა ეპოვა თავშესაფარი.

ეს დღეც მოვიდა. 1959 წლის მარტის მწუხარე დღეს გალაკტიონი გადმოვარდა მე-4 სამმართველოს სააკადემიუროდან. დაეცა შიწახე და მისმა ხმამ შეძრა საქართველო. ჩემს ყურადღეც მოაღწია და გაონგებული გავიქცით სააკადემიუროსაცენტრი. იმ დროს მიევდით მე, ნოდარ გურაბანიძე, მირიან აბულაძე, გ. ხერხეულიძე, ა. ხინობიძე, როცა გალაკტიონის გაპატიონებული ცხედარი ჩამოჰყავდათ.

ჩვენც მიევეველეთ, რომ მანქანაში დაედოთ ცხედარი. ხელით შევეხე გალაკტიონის ცხედარი და არ მიევირდა, ვერ ვგრძნობდი წამის ისტორიულობას. არ დამავიწყდება, მწერალთა კავშირში დამით როგორ ტიროდა ოთარ ჭელიძე, დაწყო დამის თევები მწერალთა კავშირში და რელიგიური მისტერიების მსგავსი რიტუალები.

ხომ არავის ისე არ უყვარს მიცვალებული, როგორც ქართველებს.

რა ბენიირებაა, როცა მთელი ერი ერთად არის, ერთად გლოვობს.

სხვა დროს ქართველებს ხომ იშვიათად გეაჯილდოვებს ღმერთი ერთსულოვნებისა და ერთობის განცდით.

გალაკტიონის სიკვდილმა ეს დვთავებრივი წუთები გვაჩუქა...

**(გაგრძელება იქნება)**

# გამოთხოვება

## ლადი კაპანაძე



დიდი დანაკლისი განიცადა საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში — გარდაიცვალა მუზეუმის ღვაწლისას მუშაკი, სამუზეუმო ფონდების მთავარი მცენერი ლედი კონსტანტინეს ასული კაპანაძე.

ლ. კაპანაძე დაიბადა 1935 წლის 6 ივნისს დაბა სურამში, 1954 წ. დაამთავრა თბილისის მუ-4 საშუალო სკოლა, ხოლო 1959 წ. — ი. ჯვარიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი.

1960 წლიდან ლ. კაპანაძე მოღვაწეობდა თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში მუცნიერმუშაკად, იყონოვალების და ხელნაწერთა განცილების გამგედ, ხოლო ბოლო 20 წლის მანილშე გარდაცვალებამდე, მუზეუმის ფონდების მთავარ მცენერად.

მას დიდი ამაგი მოუძღვის მუზეუმის ფონდების შეესხასა და გამდიდრებაში, მისი უშესალო მონაწილეობით შემოვიდა მუზეუმში ნუცა ჩხეიძის, მიხეილ ქორელის, სერგო ზაქარიაძის, არჩილ ჩხარტიშვილის, მიხეილ ჭიათურელის, ვერიე ანჯაფარიძის და თეატრის სხვა მოღვაწეთა არქივები.

მისი ძალისხმევით გამდიდრდა იყონოვაფიული განცილება თანამედროვე ქართული სცენოგრაფიების ნამუშევრებით (გ. ალექსა-მესხებიშვილი, გ. გვრია, ს. სუმბათაშვილი, გ. ბუღაძე და სხვ.).

ლ. კაპანაძე ეწეოდა ინტენსიურ სამუცნელო მოღვაწეობას, მის კალაბს ეყუთნის: მონოგრაფია „მიხეილ ქორელი“, სხეადასხვა ფერნალ-გაზეუდებში გამოქვეყნებული მრავალი ნარკევი და სტატია. მუზეუმის ფონდებში დაცულია მისი ნაშრომები: „ხაშურის თეატრი“, „სურამის თეატრი“, „მაღლა დადიანის კინისცენარები“, „პირველი ნაბიჯები თეატრისაკენ“ (შ.დადიანზე), „საბავშვო წარმოღვენები საქართველოში“ და სხვა.

ლ. კაპანაძე დღიდან პირველი რეპეტიციისა აწარმოებდა რ. სტურუას სპექტაკლების „კავკასიური ცარცის წრე“ და „რიჩარდ III“-ს სტენოგრაფიულ ჩანაწერებს, რაც დიდ შეაბეჭნ წარმოადგენს ქართული თეატრის უახლესი ისტორიისათვის.

ლ. კაპანაძე დაჯილდოებული იყო ღირსების მედლით.

საქართველოს თეატრის, კინოსა და მუსიკის სახელმწიფო მუზეუმი საქართველოს კულტურის სამინისტრო  
საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი

## გარეკანის პირველ გვერდზე:

გიგა ლორთებიშვილი მაულელისთან – ძ. პირაძისთან,  
შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად

## გარეკანის გერთხე გვერდზე:

სცენა რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიური  
თეატრის საექტაკლიდან „გოდოს მოღოღინვი“

### „თეატრი და ცხოვრება“

"THEATR AND LIFE" "Theatre and life"

№5.

2002 წ.

ტექნიკური რედაქტორი  
ნელი თვალიშვილი

კორექტორი  
მარინე ვასაძე

გადაეცა წარმოებას 22. IX. 2002წ.

სააღმოცემო-საგამომცემლო თაბახი 7.5

ნაბეჭდ თაბახთა რაოდენობა 6.5.

ფასი სახელმწიფო ცენტრი

რედაქციის მისამართი: თბილისი-380007, გ. ლეონიძის ქ. №11-ა. ტელ: 99-90-96

აიწყო და დაგამაღლონდა გამომცემლობა „გლობალ-პრინტი“  
დაიბეჭდ გამომცემლობა „საარმი“

